

სერბუი ესენინი

კაჩალოვის ძაღლს

მოდი, ჯიმ, ჩემთან, თათი მომეცი,
ასეთ თათს, აბა, რა შეედაროს,
და შევუყუფოთ მთვარეს მოვერცხლილს,
ამ დიდებულ და მშვენიერ ტაროსს.
მოდი, ჯიმ, ჩემთან, თათი მომეცი!

არ გინდა ლოკვა, ფეხქვეშ გორება,
გაიგე ჩემგან მარტივი აზრი, —
შენ როდი იცი, რაა ცხოვრება,
არ იცი რაა სიცოცხლის ფასი.

შენ პატრონი გყავს სახელოვანი,
მის სახლს სტუმარი არ დაეღევა,
ყველა მათგანი — ყრმა თუ ხნოვანი
შენ გილიმის და შენ გეფერება.

შენ ლამაზი ხარ პირუტყვის დარად,
გიყვარს დახვედრა, არგანშორება;
ვით არამკითხე, ვით მეტიჩარა,
ვით მთვრალი იწევ საამბორებლად.

ჯიმ, ჩემო კარგო, ბევრნი დადიან
აქ... სად ნიადაგ სიხარულია,
მაგრამ ყველაზე ჩუმ და დარდიან
ქალს თქვენთან ხომ არ შემოუვლია?

მერწმუნე, მოვა ის უსათუოდ,
და მოკრძალებით, ალერსით მწველით,
ჩემს მაგიერად ნაზად, სათუთად
ამბორჰყავ მისი ლამაზი ხელი.



სამი საქმრო

ხორვატული სიმღერა

პირველი საქმრო სისხამზე ცხენით მოვარდა ჩემთან,
მკერდი ოქროთი ემოსა, მკერდს თეთრი წვერი სცემდა.
ბედაურს ქაფი სდიოდა, ნიავექარივით მქროლავს:
— ვოევოდა ვარ. ლამაზო ქალო, გამომყევ ცოლად!
თუ გინდა ვარდი ყელამდე გესხას ედემის დარად,
გადაგავიწყო ობლობა, მზისებრ ბრწყინავდე მარად!

უმაღვე სარკმელს მოვცილდი ზიზღით, ნაბიჯით ჩქარით,
ბერიკაცს კუშტად შევხედე და არ გავუღე კარი,
და მე, ქორფამან, იმ უცხო სტუმარს გავძახე ასე:
— არ მინდა შენი დილეგი, განძეულობით სავსე!

იღგა ივლისის თაკარა, ცა იყო ალისფერი,
მეორე საქმრო გამოჩნდა, გზას ასდიოდა მტვერი.
შავ ანაფორას შევხედე, ძლივს გავუმართე თვალი,
ბრჭყვიალა ჯვარი კისერზე ენთო ვით ცეცხლის ალი:
— წამო, ლამაზო, სამოთხედ გქონდეს სავანე ჩემი,
იქ ღვთის პატარძლად გამყოფებ, აგავსებ პატივცემით.

ურდულით გადავუკეტე მას ალაყაფის კარი,
და მივუსიე ქოფაკნი, დავეცი შიშის ზარი.
— გასწი! აჭკეცე ცალთები! მე სულ სხვა ვინმეს ველი,
მძაგს შენი ბინა-სამოთხე და სანთელ-საკმეველი!

ცაზე ვარსკვლავი გაბრწყინდა, გზაზე ჩამოწვა ბინდი,
მესამე საქმრო მოვიდა სავსე კრძალვით და რიდით,
ერთი სოფლელი მწყემსია, აუგს ვერ იტყვი ენით,
მან სიჭაბუკე მომართვა, როგორც ძვირფასი ძღვენი.
უსიტყვოდ დადგა კარებთან. მხოლოდ ძლიერს და გამრჯეს
ვაჟკაცურ ხელებს მაჩვენებს, მაღლიანსა და მარჯვეს.
განიერ მკერდზე მივეკარ, მხარზე მივადე მხარი:
— დღეიდან გეზარებოდეს ობლის სახლი და კარი!



წერილები

აპრილია. გაზაფხულო,
ახლა, რაც შენ დაგვიბრუნდი,
სამკუთხედად დარაზმული
წეროების გაჩნდა გუნდიც.
ვერცხლისფერი მათი ფრთები
ცას აბრწყინებს, თვალს იტაცებს,
წინ მოუძღვით მეთაური
თავის ძმებს და სახლიკაცებს.
დაბლა ტბა რომ დაინახეს
და გადიქცნენ სიყვარულად, —
სწორედ მაშინ აღიმართა
ბურქებიდან თოფის ლულა.
და ნასროლი მოხვდა ფრინველს
ზედ შიგ გულში... და განგმირა,
და მშვენიების ნაპერწკალი
წამოვიდა თავდაყირა.
და ორი ფრთა — ორი სევდა
ჩაეხვია ტბის ცივ ტალღას,
დაიკვნესეს წეროებმა
და გასწიეს მაღლა-მაღლა.
იქ კი, ციურ მნათობებთან,
თავის ცოდვის შესანდობლად
მათ ბუნებამ დაუბრუნა
აქ სიკვდილმა რაც შესცოდა:
დიდი სული, დიდი სწრაფვა,
ბრძოლის ჟინი, ამტანობა,
ის, რაც მუდამ წინ მიუძღვის
თაობისგან ამ თაობას.
ის წერო კი — წინამძღოლი —
ტბის ზვირთებში ჩაიკარგა,
და რიჟრაჟმა ზედაპირზე
გააბრწყინა სისხლის ლაქა.

რუსულიდან თარგმნა არნო ონელოვა

კლესანლა მამირაძე

* * *

მე ყოველ დილით
აქ შენეულ ნიშანს დავეძებ:
დამწვარ პაპიროსს —
პომადისგან წითლად შეფერილს,
ლალისფერ ჭიქას —
მიკარებულს ლამაზ ბაგეზე
და წყალს, შიგნით რომ
ჩაგრჩენია დაულეველი.

მე მეშინია, —
დაგივიწყებ, ვიცი, ასეა,
ალარასოდეს
მოგიგონებ გულის ცახცახით;
აქ ყოველივეს
შენი კვალი როგორ აჩნია,
მხოლოდ ჩემს სულში
შენი კვალის არ სჩანს ნასახიც!

ლიპიტრი კლკინი

ფ ი რ ფ ი ტ ა

როცა მოგვდები, ხმას დაგიტოვებ,
ჩაწერილს შენთვის ამ ფირფიტაზე,
თმის ხელა ნემსით მას გაიგონებ
და მეც გავჩნდები შენთან იმწამსვე.

ხმა ყრუ იქნება, ენადაბმული,
და წაგიკითხავ სევდიან პწკარებს,
როცა იქნები ფიქრში გართული,
მე წყნარად გკითხავ: არ დაიღალე?

და მარტოობის უამურ სევდას
გადაგავიწყებს ჩემი ხმა მაშინ,
თითქოს კინოში მივდივართ ერთად
და გიკრეფ ვარდებს დაცვარულ ბაღში.

სიწითლე დაჰკრავს ანაზდად ლაწვეებს,
გაგახსენდება დინება დღეთა, —
ჩემს შემიდეგ მომხდარს იგონებ ამბებს—
და ჰკივი მწარედ: სადა ხარ, ნეტა?

მაშინ ფირფიტის ჩქამი მიწყდება,
გაქრება მისი ცეკვა ხმიანი,
ხანმოკლე, როგორც თავდავიწყება,
ხანმოკლე, როგორც ბედის ტრიალი.

სილვა კაკუბიკიანი — სოფხეთი —

* * *

წახვედი...
მაგრამ ეს კარგად მჯერა,
ვერ დამივიწყებ მაინც სრულიად;
მარად შენთან ვარ, ვით ბედისწერა,
ვერ გამექცევი, გზა დახშულია.
მე შენი გზა ვარ, შენი სახლი ვარ,
ჩემზე იფიქრებ ღამით თუ დღისით,
შენს გულში ისე დიდად ვმარხივარ,
რომ აღარ არის ადგილი სხვისი.
ბევრსაც რომ შეხვდე თვალებს ლამაზებს,
ჩემს თვალებს ნახავ იმათში მხოლოდ.
ერთი ვარ შენთვის ამ ქვეყანაზე,
შენი სიცოცხლის თავი და ბოლო.
ვისიც არ უნდა გესმოდეს ხმები,
მე გამიგონებ იმ ხმაში მწარედ,

ბალის ქარივით შემოგეხვევი,
არ მოგაშორებ ღამეულ თვალებს,
და როცა გვიან მარტოდ დარჩები,
არ მოგასვენებ, არსად არ წავალ,
მე პაპიროსის კვამლში გავჩნდები
ან ფანჯარაში მთრთოლავ ვარსკვლავად.
და რომ ეცადო ბევრიც, ნუ მიწყენ,
ვერ დამივიწყებ, ვერ დამივიწყებ!..

თარგმნა ოთარ მამფორიამ

ტულორ კრებუნი — რუბინეთი —

ლაკარბული ფურცლები

ორმოცდაათი წელიწადია
ანათებს, ქრება როგორც ცთომილი —
ძვირფასი ლექსი —

და რაც მწადია
რჩება მარადის მიუწვდომელი.

აი, ფურცელზე სიტყვები სდუმან,
გულში ღვთიური ცეცხლი ინთება
და ბურუსიან ფსკერიდან უმაღ
იწყება ლექსის ამოზვირთება.

და მოჭიმული სიმივით ელის
კენტი სტრიქონი ხელის შეხებას,
რომ ჩაუქროლოს ზეციურ ველებს
და იბრჭყვიალოს მზის ნატეხებად.

და ისევ სიტყვა —

ვფიქრობ და მუდამ
სულგანაბული სიტყვას მოველი,
აჰა, ეს ლექსიც, მაგრამ რაც მსურდა
რჩება მარადის მიუწვდომელი.

თარგმნა გივი ალხაზიშვილმა

ქილი ნების

სიწყნარეა, ფრთოსანთ სტვენა
მიწყდა, თვლემენ გვირილები,
ყველაფერმა მოისვენა, —
ქილი ნების!

წკრიალა ხმა ნაკადულის
დედის ნანას დაემგვანა.
ტყეც დუმილში განაბულა,
ნანა, ნანა.

ტბის სარკვეზე სიზმრად მდგარი
მოჩანს გედი ლელის ძირას.
ფრთა დახურა ნიავექარმაც,
დაიძინა...

ნათობს მთვარე, ირგვლივ მეფობს
სიმყუდროვე პირველქმნილი.
ოცნებებო, ზმანებებო...
ტკბილი ძილი!

თარგმნა თედო გაქიშვილმა

ლ ა შ ქ რ ო ბ ა

მივდივართ, ფეხდაფეხ მოგვდევენ ფიჭვები,
ლაჟვარდი სავსეა მთვარით და ნისლებით,
და გული სავსეა ფიქრით და იჭვებით,
გზას ვეძებთ თოვლნარში დაღლილი ბიჭვები,
და მთვარის რძისფერი სინათლით ვივსებით.
სულს გვიფორიაქებს მჭმუნვარე აზრები:
— მშვიდობით, მშვიდობით, მღეროიან ნაძვები.
და მთვარე გულმშვიდად მიცურავს თავზეთ.
მივდივართ თოვლჭყაპში და მხრებით მივათრევთ
იმედებს, ზურგჩანთებს, რწმენას და ტყვიამფრქვევს,
რომ ხალხს დავუბრუნოთ ცვლავ მზე და სინათლე!

თარგმნა მედეა კახიძემ

სიყვარულის მონები

მ ო თ ხ რ ო ბ ა

თარგმნა ბრიგოლ ჩიქოვანმა

1

ეს ბარათი მე დავწერე. დღეს დავწერე, გულის დარდი რომ გადამეყარა. სამსახური დავკარგე, სიცოცხლის ხალისი დავკარგე, ყველაფერი დავკარგე. კაფე „მაქსიმილიანში“ ვმუშაობდი. ნაცრისფერკოსტუმიანი ახალგაზრდა კაცი ორ მეგობართან ერთად ყოველ საღამოს მოდიოდა ჩვენს კაფეში და ერთ-ერთ ჩემს მაგიდას მიუხსდებოდნენ. კაფეში ბევრი მომსვლელი იყო. ყოველი მათგანი პოულობდა ჩემთვის ორიოდ კეთილ სიტყვას, ის ნაცრისფერკოსტუმიანი კი არასდროს. მაღალი, გამხდარი იყო, რბილი, შავი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა, ამ თვალებს დროდადრო მომაპყრობდა ხოლმე. ზედა ტუჩზე ოდნავ შესამჩნევი ღიწლი ეტყობოდა.

პირველ ხანებში ზედ არ მიყურებდა. მთელი კვირა ყოველ საღამოს მოდიოდა. ისე მივეჩვიე, როცა ის კაფეში არ იყო, თითქოს რაღაც მაკლდა. ერთ საღამოს სულ არ მოსულა. ადგილს ვერ ვპოულობდი. შემოვიარე კაფე, ვეძებდი და უცებ დიდი კოლონადის იქით, სხვა შემოსასვლელი კარის წინ დავინახე. მასთან ერთად ცირკის მსახიობი ქალი იჯდა. ქალს ყვითელი კაბა და გრძელყელიანი ხელთათმანები ეცვა. ახალგაზრდა იყო, თაფლისფერი მშვენიერი თვალები ჰქონდა. მე კი ცისფერი თვალები მაქვს.

ცოტა შევიცადე, ვცდილობდი გამეგონა, რაზე საუბრობდნენ. ქალი რაღაცას საყვედურობდა, თავი მომაბეზრე, მომცილდით, ეუბნებოდა. დედაო ღვთისაგ, ვევედრებოდი უფალს, ნეტავ ჩემთან მოვიდოდეს!

მეორე საღამოთი, ჩვეულებრივად, თავის მეგობრებთან ერთად მოვიდა და ჩემს მაგიდას მიუხსდნენ. მე ხუთ მაგიდას ვემსახურები. მაშინვე არ მივეარ-

დნილვარ, როგორც ეს უწინ ვიცოდით, გავწითლდი, თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერ დავინახე. თვითონ მიხმო.

— გუშინ არ მოსულხართ. — ვუთხარი.

— შეხედეთ, რა ტანადია ჩვენი ოფიციალტი ქალი, — უთხრა მეგობრებს, — რა მომხიბლავია!

— ლუდი? — ვკითხე.

— დიახ. — მიპასუხა.

კი არ მივდიოდი, მივფრინავდი სამი ტოლჩა ლუდის მოსატანად.

2

რამდენიმე დღე გავიდა.

ერთხელ სადარბაზო ბარათი გამომიწოდა და მითხრა:

— იმას მიუტანეთ...

სიტყვის დამთავრება არ ვაცალე, ბარათი გამოვართვი და ყვითელ ქალს მივუტანე. გზად მისი სახელი წავიკითხე, ვლადიმერი — ეწერა ბარათზე.

კვლავ რომ მივუბრუნდი მის მაგიდას, მოლოდინით შემომხედა.

— მივუტანე, — ვუთხარი.

— პასუხი არ დაგაბარათ?

— არა.

ერთი მარკა მომცა, გამიღიმა და მითხრა:

— როცა პასუხი არ არის — ესეც პასუხია.

მთელი საღამო იჯდა, თვალს არ აშორებდა იმ ქალს და მის თანმხლებთ. თერთმეტ საათზე წამოდგა და იმ მაგიდასთან მივიდა. ქალი ცივად შეხვდა. ქალთან მსხდომი მამაკაცები დასცინოდნენ და ხარხარებდნენ. მალე დაუბრუნდა თავის მაგიდას. პალტოს ერთი ჯიბე ლუდით ჰქონდა სველი. სწრაფად გაიხადა პალტო, მკვეთრად შეტრიალდა და აღშფოთებით მიიხედა იმ თაფლისფერთვალემა ქალის მაგიდისაკენ.

პალტო გავუწმინდე. გამიღიმა.

— გმადლობთ, მონავ.

პალტოს ჩაცმაში მივეშველე. ზურგზე მალვით შევახე ხელი.

ჩაფიქრებული იჯდა. ერთმა მისმა მეგობარმა კიდევ მოითხოვა ლუდი. ავიღე მისი ტოლჩა, ვლადიმერის ტოლჩაც მიხდოდა ამელო.

— არა, — მითხრა და ხელი ხელზე დამადო.

ამ შეხებისაგან ხელი ულონოდ ჩამომეკიდა. შემატყო და ერთბაშად გასწია თავისი ხელი.

იმ საღამოს საწოლთან ჩაჩოქილი ვლოცულობდი. ბედნიერი ვიყავი. ვკოცნიდი ჩემს ხელს, სადაც ის შემეხო.

3

ერთხელ ყვავილები მაჩუქა, დიდი თაიგული. კაფეში შემოვიდა თუ არა, მაშინვე იყიდა მეყვავილე ქალისაგან, ახალი დაკრეფილი ყვავილები იყო, ალისფერი. თითქმის მთელი კალათა ამოაცარიელა და მაგიდაზე დაყარა. ამჯე-

რად მარტო მოვიდა. როგორც კი თავისუფალ დროს ვიხელოვებდი, კოლონა-
დას მოფარებული, თვალს ვერ ვაშორებდი და ვფიქრობდი... მას ვლადიმერი
ჰქვიო.

ასე გავიდა კარგა ხანი. ის თვალმოუშორებლივ დასცქეროდა საათს.

— ვის ელოდებით?

უაზროდ შემომხედა.

— არავის. ვის უნდა ველოდო?

— მე კი ვიფიქრე, იქნებ ვინმეს ელოდებით-მეთქი.

— მოდი თქვენი, — მითხრა მან, — აი ეს თქვენი. — თაღული გამომიწოდა.

მინდოდა მადლობა მიეთქვა, მაგრამ ხმა ვერ დავიმორჩილე. ბედნიერებით
სულშეგუბებული ბუფეტთან ვიდექი, არ მახსოვდა, რა უნდა შემეკვეთა.

— რა გნებავთ? — მკითხა მებუფეტე ქალმა.

— თქვენ არ იცით? — ვუპასუხე კითხვითვე.

— მე საიდან მეცოდინება?! ხომ არ შეიშალებთ?!

— არ იცით, ვინ მომართვა ეს ყვავილები?

ჩემს გვერდით მმართველმა ჩაიარა.

— იმ ხისფეხიან ბატონთან ლუდის მიტანა დაგავიწყდათ, — გავიგონე
მმართველის ხმა.

— ყვავილები ვლადიმერმა მაჩუქა, — ვთქვი და მაგიდისაკენ გავეშურე,
რომ ლუდი მიმეტანა.

ვლადიმერი ისევ იქ იჯდა. ბოლოს, როცა წასასვლელად წამოდგა, კვლავ
ვუთხარი მადლობა. იგი შეჩერდა და მითხრა:

— იცით, მე ეს ყვავილები თქვენთვის არ მიყიდია.

მერე რა! იქნებ მართლა სხვისთვის იყიდა, მაგრამ მე მითავაზა. მე მომ-
ცა, მე მივიღე და არა იმან, ვისთვისაც იყიდა და ნება დამართო მადლობა მი-
თქვა. ღამე ნებისა, ვლადიმერ.

4

მეორე დღით წვიმიდა.

რომელი კაბა ჩავიცვა დღეს — შავი თუ მწვანე? მწვანე. მწვანე კაბა
ახალია. ამ კაბას ჩავიცვამ. რა ბედნიერი ვარ!

ტრამვაის გაჩერებასთან ქალი იდგა. წვიმიდა. ქალს ქოლგა არ ჰქონდა. ჩე-
მი ქოლგა შევთავაზე. ქალმა უარი მითხრა. ქოლგა დავკეციე. „დაე, ორივე
დავსველდეთ“.

სალამოხანს ვლადიმერი კაფეში მოვიდა.

— გმადლობთ გუშინდელი ყვავილებისათვის, — ვუთხარი ამაყად.

— რა ყვავილები?! — აღარ მიხსენოთ ის ყვავილები.

— მხოლოდ მადლობა მინდოდა მიეთქვა, — ვუთხარი მე.

ვლადიმერმა მხრები აიჩეჩა.

— მე თქვენ არ მიყვარხართ, მონაც.

მას მე არ ვუყვარვარ. მერე რა მოხდა! გულზე დარდს არ ვიკარებდი,
რადგან მას ყოველ საღამოს ვხედავდი, ჩემს მაგიდასთან ჯდებოდა და არა

სხვის მაგიდასთან. და მე, მე, მიმიქონდა მასთან ლუდი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ვლადიმერ!

მეორე საღამოს გვიან მოვიდა.

— ფული გაქვთ, მონაგ?

— ფული არ მაქვს. ღარიბი ქალიშვილი ვარ.

ღიმილით შემომხედა:

— ვერ გამიგეთ. ცოტაოდენი ფული მასესხეთ ხვალამდე.

— შინ ასოცდაათი მარკა მაქვს.

— შინ?

— თხუთმეტი წუთი დამიცადეთ, კაფე დაიკეტება და ფულს მოგიტანთ.

ვლადიმერმა თხუთმეტი წუთი დამიცადა და ერთად გავედით ქუჩაში.

— მხოლოდ ასი მარკა მომეცით, — მითხრა მან.

არ რცხვენოდა, გვერდით რომ მომყვებოდა, არც წინ მიდიოდა, არც უკან მომიდევდა. ისე არ იქცეოდა, როგორც თავმომწონე ბატონები იქცევიან.

— ერთი ციციქნა ოთახი მაქვს, — ვუთხარი, ჩემს სახლს რომ მივუახლოვდით.

— არ ამოვალ. აქ დაგელოდებით.

ქუჩაში მიცდიდა.

დავბრუნდი. ფული დაითვალა.

— აქ ასზე მეტია. ათ მარკას გაჩუქებთ. დიახ, დიახ, გესმით! ათ მარკას გაჩუქებთ.

ათი მარკა გამომიწოდა, ღამე მშვიდობისაო, მითხრა და წავიდა. ქუჩის კუთხეში შედგა და ერთი შილინგი ბებერ კოჭლ მათხოვარ ქალს აჩუქა.

5

ძალიან ვწუხვარ, ვალს რომ ვერ გიბრუნებთო, მითხრა მეორე საღამოს, მადლობა მოვასხენე, რომ ფულს არ მიბრუნებდა. ქეიფში შემომეხარჯაო, გულახდილად გამანდო.

— რა გაეწყობა, მონაგ! თქვენ ხომ იცით ყვითელი ქალი!

— რატომ ეძახი ჩვენს ოფიციალს ქალს მონას? — ჰკითხა ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა. — შენ უფრო მორჩილი მონა ხარ.

— ლუდი? — ვკითხე მათ და ამით ლაპარაკი შევაწყვეტინე.

ყვითელი ქალი შემოვიდა. ვლადიმერი ადგა და მიესალმა. ისე მდაბლად დაუკრა თავი, რომ თმა სახეზე ჩამოეშალა. ქალმა გვერდით ჩაუარა და თავისუფალ მაგიდას მიუჯდა. მაგიდას ორი სკამი მიაყუდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მაგიდა დაკავებული იყო. ვლადიმერი მაშინვე მივიდა ქალთან და ერთ-ერთ სკამზე დაჯდა. რამდენიმე წუთის შემდეგ წამოდგა და ხმაშალა უთხრა:

— კარგი. მივდივარ და აღარასოდეს დავბრუნდები.

— გმადლობთ, — უთხრა ქალმა.

სიხარულისაგან ფრთები შემესხა. ბუფეტთან მივირბინე, მებუფეტე ქალს რაღაცას ვეუბნებოდი. ალბათ იმას, ვლადიმერი აღარასოდეს დაუბრუნდება-მეთქი იმ ქალს. გვერდით მმართველმა ჩამიარა, მკაცრად შემომხედა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

კაფე რომ დაიკეტა, ვლადიმერმა შინ მიმაცილა.

— გუშინ რომ გაჩუქეთ, იმ ათი მარკიდან, ხუთი მომეცით, — მითხრა მან.

მინდოდა ათივე მიმეცა. ვლადიმერმა გამომსართვა, მაგრამ ათიდან ხუთი დამიბრუნა. არ მინდოდა მოეცა. არ დამიჯერა.

— რა ბედნიერი ვარ, — ვუთხარი, — ნეტა შემეძლოს შეგბედოთ და შინ მიგიპატიჟოთ, მაგრამ ერთი ციციქნა ოთახი მაქვს...

— არ ამოვალ თქვენს ოთახში. ლამე მშვიდობისა.

წავიდა. ბებერი მათხოვარი ქალი ისევ იმ კუთხეში იდგა. მათხოვარმა თავი დაუკრა. ვლადიმერს ფულის მიცემა დაავიწყდა.

მათხოვართან მივირბინე, მოხეტია მივეცი და ვუთხარი:

— ეს, ახლა რომ ჩაიარა, იმ ნაცრისფერკოსტუმთანმა ბატონმა გამოგიგზავნათ.

— იმ ბატონმა, ნაცრისფერი კოსტუმი რომ აცვია?

— ჰო, იმ შავთმთანმა ბატონმა. ვლადიმერმა.

— თქვენ მისი მეუღლე ხართ?

— არა. მისი მონა ვარ.

6

რამდენიმე საღამო ზედიზედ მეუბნებოდა, ვწუხვარ, ფულს რომ ვერ გიბრუნებთო. ვთხოვე, ფულზე სიტყვა არ ჩამოეგდო. ხმამალლა მელაპარაკებოდა. ყველას ესმოდა და დასცინოდნენ.

— არამზადა ვარ, გათახსირებული ვარ. ფული გესესხეთ და ვერ გიბრუნებთ ორმოცდაათი მარკისათვის მარჯვენა ხელს მოვიჭრიდი.

ეს სიტყვები ჟრუანტელს მგვრიდა, ფიქრით თავი მისკდებოდა — სად მეშოვა ფული.

გაიარა ცოტა ხანში. ისევ გამომეღალაპარაკა:

— თუ გსურთ გაიგოთ, რა მოხდა, გაამბობთ: ყვითელი ქალი თავის ცირკთან ერთად გაემგზავრა. დავიფიწყე ყვითელი ქალი. აღარ მახსოვს.

— შენ დღეს ისევ გაუგზავნე წერილი მას, — უთხრა ერთ-ერთმა მეგობარმა.

— უკანასკნელად გავუგზავნე, — მიუგო ვლადიმერმა.

მეყვავილესაგან ვარდი ვიყიდე, მინდოდა მისი პიჯაკის სადილეში გამეყარა, მაგრამ ხელზე მისი სუნთქვა ვიგრძენი და დიდხანს ვერ ვიპოვე სადილე.

— გმადლობთ, — მითხრა ისევ ვლადიმერმა.

მოლარეს ის რამდენიმე მარკა გამოვართვი, კიდევ რომ მეტრებოდა და ვლადიმერს მივეცი.

— გმადლობთ, — მითხრა ისევ ვლადიმერმა.

მთელი საღამო ბედნიერი ვიყავი, ვიდრე არ მითხრა:

— ამ ფულით გავემგზავრები. ერთ კვირაში დაგბრუნდები და ვალს დაგიბრუნებთ. — შემომხედა, ხელი ხელზე დამადო. — მიყვარხართ.

გონება ამერია. ვლადიმერი მიემგზავრება და არ მეუბნება სად. ვკითხე, მაგრამ არ მითხრა. კაფე, ჭაღები, უამრავი მომსვლელი — ყველაფერი დატრიალდა ჩემს თვალწინ. ვეღარ მოვითმინე და ხელი ჩავჭიდე.

— ერთ კვირაში ჩამოვალ, — მითხრა და უცებ წამოდგა.

მმართველის ხმა მომესმა:

— თქვენ სხვა სამსახური უნდა მოძებნოთ.

„რა გაეწყობა! რა მნიშვნელობა აქვს! ერთ კვირაში ვლადიმერი დამიბრუნდება“. მინდოდა მადლობა მეთქვა ვლადიმერისათვის, შემოვბრუნდი, მაგრამ ის უკვე წასულიყო.

7

ერთი კვირის შემდეგ, საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, ვლადიმერის ბართი დამხვდა. სასოწარკვეთილი იყო. ყვითელ ქალთან ჩავედიო, მწერდა. ფულს ველარასოდეს დაგიბრუნებ, გავლატაკდიო. კვლავ ავინებდა თავის თავს, სულმდაბალი ვარო. ბარათზე ქვევით მიწერილი იყო: „მე ყვითელი ქალის მონა ვარ“.

მთელი დღეები ვტიროდი. ვერ დავმშვიდდი. ერთი კვირის შემდეგ სამსახურიდან დამითხოვეს და ახალი სამსახურის ძებნას შევუდექი. შევდიოდი სხვა კაფეებში, სასტუმროებში, ვურეკავდი კერძო პირებს, მაგრამ ამაოდ.

გვიან საღამოს ნახევარ ფასად გაზეთს ვყიდულობდი, შინ ვბრუნდებოდი, ყველა განცხადებას გულდასმით ვკითხულობდი. ვფიქრობდი, იქნებ სამსახური ვიშოვო, ვიხსნა ვლადიმერი და ჩემი თავი-მეთქი.

გუშინ საღამოს გაზეთში მისი გვარი წავიკითხე. მაშინვე სახლიდან გავედი. ქუჩაში დავეხეტებოდი, შინ დილით დავბრუნდი. იქნებ, სადმე მეძინა, ან იქნებ კიბეზე ვიჯექი და განძრევა არ შემეძლო, არ მახსოვს.

დღეს ხელახლა წავიკითხე ის გაზეთი. პირველად კი გუშინ საღამოს. ხელებს ვიმტვრევდი, სკამზე დავეშვი, შემდეგ რატომღაც იატაკზე დავჯექი, სკამს მივეყრდენი. ხელებს იატაკს ვურტყამდი და ვფიქრობდი. შეიძლება, არც ვფიქრობდი. არაფერი მახსოვს. შემდეგ ალბათ ავდექი და გარეთ გავედი. იმ ქუჩის კუთხეში, ეს კი მახსოვს, ბებერ მათხოვარს ერთი მონეტა ვაჩუქე და ვუთხარი:

— ეს იმ ნაცრისფერკოსტუმიანმა ბატონმა გამოგიგზავნათ. თქვენ იცნობთ მას.

— თქვენ მისი საცოლე ხართ?

— არა. მე მისი ქვრივი ვარ.

დილამდე დავეხეტებოდი ქუჩებში. ისევ წავიკითხე ის გაზეთი. მას ვლადიმერი ერქვა.



მ ო თ ხ რ ო ბ ა

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

მეტყევე მირყასიმი უნაგირზე გვერდულად იჯდა, ფაფახიც მოგვერდებინა და მიიმღეროდა. არა, ნაქეიფარი არ იყო, ისე — უბრალოდ! თჟმცა სიმღერა ლალ რიტმზე იყო აგებული, ხმაში მაინც ნალველი დაჰკრავდა. მსუბუქი ნალველი და არა მწუხარება. ეგ კი არა და, ამ სამოცი წლის ფალავანივით გაუდრეკელ კაცს სწორედ მწუხარების უკუსაყრელად მოეგდო ფაფახი ეგრე დარდიმანდულად. ჯერ სიმღერას დახეთ:

ოთხშაბათს, წყაროზე რომ ჩავიარე,
თვალი ერთ ჭროლთვალა გოგოს დავკარი.
წარბები შეშვილდა, განა შეშინდა,
ღიმი ჰქნა, ჩამიგდო ეშხის კანკალი.

ამას მღეროდა და თან გასწვრივ გაშლილ სანახებს თვალში იძვრენდა უცნაური გრძნობით. ტყესთან გამოსამშვიდობებლად გამოსულიყო მეტყევე დღეს.

სიმღერა ჩათავდა. მეტყევეს ერთი ბაიათიც მოაგონდა, მაგრამ რაკი ეს ბაიათი სიკვდილზე და განშორებაზე იყო, გულიდან ამოიგდო. ჩანთა, წინათ რომ დილიდან საღამომდე, ხანდახან შუალამემდეც ეკიდა და კინალამ თავისი სხეულის ერთ ნაწილად მიაჩნდა, ახლა მხარსა სტკენდა. ჩექმები, გაგანია სიცხეში რომ დღეყოველწამს გაუხდელად ეცვა და ამხანაგვით იყო შეჩვეული, ამ ცივი შემოდგომის დღეს აღმოდებულ შემასავით უწვავდა ფეხებს.

მაგრამ მეტყევე ამის დავიწყებასაც შეეცადა. ფაფახი გაისწორა, უნაგირზედაც გასწორდა და ფოთლების სურნელით სავესე ჰაერი ღრმად შეისუნთქა. ერთ ბებერ მუხას გაუარა ქვეშ, ფოთლებს ხელით მოეფერა და მერე თავისი ლურჯა ულაყის ბზინვარე კანსა, მსხვილ, ძლიერ ბეჭებსა და ატალღულ ფაფარს დახედა.

— ეგრეთა საქმე, ლურჯა ულაყო, მაშა! ეგრეთა! — თავის სიცოცხლეში პირველად დაიწყო საკუთარ თავთან ლაბარაკი სამოცი წლის კაცმა, — ამდამ დავწვებით და ხვალე ავდგებით: ეს ერთი დღეა; ხვალამ დავწვებით და, როცა ავდგებით — ეგეც ორი დღე! მესამე რომ ჰქვიან, იმ დღეს ლენტი გაიჭრება, რაბი გაიხსნება და ჩვენს ტყეს წყალი დაფარავს...

ლურჯა ულაყის სიარული მეტყევეს რაღაც არ მოეწონა. ცხენმა ტრიალ მინდორზე, ერთი კენჭი და გორახი რომ არსად ეგდო, უცებ წაიფორხილა.

მეტყევის ერთი შვილი რაიკომის მდივანი იყო, ერთიც ბაქოში სწავლობდა. სულ ნაბოლარას წელს დაემთავრებინა ათწლელი და ახლა კაშხლის მშენებლობაზე მუშაობდა. როგორც ყველა მამას, მასაც თავისი შვილები უყვარდა, მაგრამ ლურჯა ულაყისა შვილებზე ნაკლები ხათრი არა ჰქონდა. ამიტომაც ამ ტაშივით მინდორზე ცხენის წაფორხილებამ და ზედაც ორ-სამჯერ ჩაფრუტუნებამ მეტყევე შეაშფოთა. მაგრამ ეს წამით იყო. ახლო მომავალში დიდი დასაკარგის დაკარგვამ ეს შეშფოთებაც მალე დაავიწყა.

მირყასიმმა აღვირი შეატოკა და მსხვილი, დაკორძილი ხელი ულაყს ბეჭზე მოუტყაპუნა.

— ნუ ბორძიკობ, ნუ, გენაცვალე! ნურა გეფიქრება! კაშხლის მშენებლებიცა და ტყის დამბორავებიც ჩემი შვილები არიან. წყალი უფრო ძვირფასიაო, ასე ამბობენ. წყალი გვქონდეს, თორემ ამ გველმოსისინე, მინდვრებზე ასობით ამნაირ ტყეს გავაშენებთო. იქნებ გგონია, ვერ გააშენებენ? გააშენებენ, ჩემო ლურჯავ, გააშენებენ... მე და შენც მოვესწრებით იმ დღეს. ასი წლისამ თუ ცხენზე ჯდომა და მეტყევეობა ველარ შევიძლო, ის მამა წამიწყდეს!

მეტყევემ ისევ დარდიმანდულად მოიგდო ფაფახი და ისევ წამოიწყო სიმღერა:

ნისლო, ჩაიარე ამ ადგილებზე —
ხვატმა არ დაშაშროს, არ დაიღაროს.
მოდო, თვალმა გნახოს, ხელი შეგეხოს,
ეს გული დამიტკბეს და გაიხაროს.

ბევრი ფიქრისაგან იყო თუ აშუღის სიტყვები რომ ეგრე მუნასიბად გადააკეთა — იმისაგან, ამ უკაცრიელ ტყეში, ისევ სიცოცხლეში პირველად, თავისთვის გადაიხარხარა.

— აშუღი აბასი მთის კაცი იყო, მთებს უმღეროდა. მე ბარის კაცი ვარ და ბარის დარდი მაქვს. ის ამბობს, გული დამინისლიანდესო, მე კიდევ — გული დამიტკბეს-მეთქი. რომელს უფრო კარგად გვითქვამს, ჰეი, ლურჯა ულაყო?

ულაყმა კიდევ წაიფორხილა. მეტყევე ახლა კი მართლა განცვიფრდა.

— ვაჰ, შენ რაღა მოგდის, შე ბეითალმანო, შენა?! ჩემი არ მეყოფა, რომ შენც ხასიათს მიფუჭებ? მამაჩემის საფლავსა ვფიცავ, ღვთისა და კაცის ჯავრს შენზე ამოვიყრი, იცოდე!

გაბრაზებულმა ერთი კარგი მათრახი უჭირა ცხენს. წინათ მეტყევეს ხელის გატოკებაც არ სჭირდებოდა, ისე ელვასავით მოსწყდებოდა ხოლმე ცხენი ადგილიდან, ახლა კი ძვრაც არა ქნა, ყურები გააპარტყუნა ოდნავ და ბეჭებზე კანი აუკანკალდა.

მეტყევემ ამოიხვნეშა.

— ჩემი დარდის მოზიარე ხარ თუ რა მოვდის, ჰეი, ღვთის ცხოველო?

ულაყს თავი ჩაელუნა და ნელ-ნელა მიაბიჯებდა. მეტყევემ თავი ჩაპკიდა, მხრები ჩამოყარა და მოიბუზა. მართლა მისი დარდის მონაწილე იყო ულაყი?

— ეგრეა ჩვენი საქმე, ლურჯა ულაყო, მაშა! — ამოაყოლა დაღლილად და მეტად აღარც ამოუღია ხმა.

ტყეში საოცარი სიჩუმე ჩამდგარიყო. არც სადმე ჩიტი უსტვენდა, არც ფოთოლი ირხეოდა. მეტყევეს არც ულაყის ფეხისხმა ესმოდა. ახლა ის გულში მღეროდა: „რა მოვიდა, რა წავიდა ამ ქვეყნიდან, ამ ქვეყნიდან“.

უცებ ულაყი დადგა. მეტყევემ ამოიქშინა და ირგვლივ მიმოიხედა.

გზა რაც არ უნდა გრძელი ყოფილიყო, თუ სადმე ნაცნობ ადამიანსა ან სხვა სულიერს არ მოჰკრავდა თვალს, ლურჯა ულაყი, ჩვეულებრივ, არასდროს შედგებოდა. ახლა მეტყევეს ირგვლივ ყურად მდგარი ხეების მეტი არაფერი დაუნახავს.

ლურჯა ულაყს ერთი ხასიათიცა ჰქონდა: თუ მოსართავეები მოეშვებოდა ან გაუწყდებოდა, მაშინვე შეჩერდებოდა და პატრონს ამით აცნობებდა.

მეტყევემ ხელით მოსართავეები მოსინჯა და რაიმე ცვლილება ვერაფერი იგრძნო. მაშ, ულაყს რა მოუვიდა?

ცხენიდან ჩამოვიდა.

ულაყს ლაშებში მოყვითალო დუჟი მოუჩანდა.

მეტყევემ ყოველგვარი ზიზღის გარეშე მოსწმინდა დუჟი და მუჭა ცხვირთან მიიტანა. მაშინვე იგრძნო შხამაბალახის სუნნი.

ულაყს შეხედა. მსხვილსა და ლამაზ თვალებში ცხოველს შიში და შფოთი ჩასდგომოდა. ლაშებიდან ისევ მოსწვეთავდა მოყვითალო ქაფი. მეტყევემ ერთხელაც უსუნა და კიდევ შეიგრძნო ის ნივრის წანაგვარი სუნნი.

ლურჯა ულაყს, ეტყობა, სადღაც შხამაბალახი ეჭამა და მოწამლულიყო. მეტყევემ გამოცდილებით იცოდა, თუ ახლავე რამეს არ იღონებდა, ლურჯა ულაყი აქვე, მის თვალწინ წაიქცეოდა და გათავდებოდა. მაინც იდგა და ულაყის ლაშებზე, ბუშტებად მონადენ ქაფს თვალს არ აცილებდა.

თავისი ცხოვრების ორმოცი წელი ცხენის ზურგზე ჰქონდა გატარებული, ტყე ნაბიჯ-ნაბიჯ მოევლო. ათასნაირი ყვავილისა და ბალახის სახელი იცოდა. იმ ათასში იშვიათად თუ მოაგონდებოდა როდისმე შხამაბალახი, რადგან ეს მავნებელი მცენარე მისი ტყიდან შორს, მთებში ხარობდა. მაშ, ეს რა საშინელება იყო, რამ მოშხამა ულაყი? ან იქნებ სულაც არ არის მოშხამული?

მეტყევემ ქვეყანამოთეული, გამოცდილი თვალები მეგობრის ტანზე მოატარა. ულაყს მკერდის ძარღვები უთრთოდა, მუხლები ედრიკებოდა და ძლივ-ძლივობით იდგა ფეხზე. კაცს ცხენი შვილივით უყვარდა და მისთვის ჯიბეში გამოუღევლად ჰქონდა შაქარი. ლურჯამ ეს იცოდა, მაგრამ ახლა პატრონს ზედაც არ უყურებდა, თავი გაებრუნებინა და ნაღველჩამდგარი თვალებით სადღაც განზე იყურებოდა, ასე უცაბედი დასაწყლებისა და დაჩაჩანაკების გამო თითქოს რცხვენოდა პატრონისა.

ერთბაშად მთელ ტანში ძაგძაგი აუვარდა. ისევ მოეკეცა მუხლები. ულაყმა ამოიხვნეშა და უკვე სირცხვილის გარეშე, რაკი ნახა, რომ სირცხვილის დრო აღარ იყო, თვალები პატრონს მიაპყრო, შველა სთხოვა.

— ამ წუთში, გენაცვალე, ამ წუთში! — წაიხურჩულა მეტყვევებ, მიბრუნდა, უსიერი ტყის სიღრმეს ჩააშტერდა. ულაცს თვალეებზე მოეფერა და — „ამ წუთშიო“ — დაამშვიდა კიდევ. მეორე მათრახი ჩექმის ყელში ჩაიტანა, თავზე ფაფახი გაიმაგრა, მანარის კალთები აიკეცა და დაიძრა კი არა, მოიგლიჯა ადგილიდან.

აქედან დაახლოებით ორ კილომეტრზე, წყალუხვი მდინარის გვერდით, ფართო ველზე, საბჭოთა მეურნეობა იყო. ხალხში მას „ძაღლის მეურნეობას“ ეძახდნენ. იქ სელაპის სხვადასხვა ჯიშები გამოჰყავდათ. ერთი თვის წინ მეურნეობა იქიდან გადასულიყო. შენობები დაენგრიათ, წყალზე გაჭიმული რკინის ბადეები მთლიანად აეგლიჯათ და წაეღოთ. მეურნეობის ადგილას ახლა მხოლოდ ქვისა და მიწის რუხი გროვები მოჩანდა. ნანგრევების განაპირებით ორი, გიგანტური ობობების მსგავსი ალაჩუხი მოჩანდა შავად. იქ მეურნეობის დირექტორის სიმამრს, დაშდემირ ქიშის, სიძის, თავისი და მეურნეობის რამდენიმე თანამშრომლის საქონელი ედგა. დღეს არა ხვალ დაშდემირიც უნდა გადაბარებულყო.

მეტყვევებ ორკილომეტრიანი გზა ერთი ამოსუნთქვით დაძლია. უკვე ალაჩუხებთან იყო. თვითეული ალაჩუხის ჩრდილში თითო ვეება, ბალნიანი ნაგაზი მოჩანდა.

ძაღლების ყეფაზე ერთი რუხშლაპიანი მალალი ახალგაზრდა გამოვიდა, ჩაცმულობაზე, ქალაქელ ინტელიგენტს წააგავდა. ახალგაზრდა გამოიქცა და ძაღლებს დაუცაცხანა, მეორე შედგა და განცვიფრებით შეაცქერდა მეტყვევებს, ოფლში გაღვრილსა და შესულწუხებულს. ის იყო, რაღაცას უნდა შეჰკითხოდა, მაგრამ მეტყვევებ დაასწრო:

— მე მირყასიმი ვარ, მეტყვევებ მირყასიმი, შვილო. ცხენი მომეწამლა. შენ აქ პირველად გხედავ, მაპატიე, გაცნობის თავი აღარა მაქვს. ერთი ვედრო რძე მჭირდება. დაშდემირი სად არის, რაღაც ვერ ვხედავ?

— რა იმოვივიდა, ჰეი, მირყასიმი? რას აგიდ-ჩაგიდის მკერდი? — ხუთი-ოდე ნაბიჯის სიახლოვეს ნაცნობი, აბრეშუმივით ხმა გაისმა. მეტყვევებ სწრაფად მიბრუნდა და ფართოდ გაღებულ მსხვილი ცისფერი თვალეები ხეებშია მოაცეცა. დაშდემირის ხმა ახლა თითქოს მიწის ქვეშიდან მისწვდა.

— ისე არ დავიხოცენით, შენი ყავლის გასვლაცა ვნახეთ, მირყასიმი!

— სადა ხარ, კაცო?

— აქა ვარ, მოვდივარ... იმას გეუბნებოდი, შენი ბოლოცა ვნახეთ-მეთქი! რო აგვიჭენ-ჩამოგვიჭენებდი ლურჯა ულაცს და საათში თითო ძროხა მიგიდიოდა ხრიხალში დასამწყვდევად, ის როგორ იყო? ამა და ამ ადგილას იფეხი არ დაადგათო, აკრძალულში არა გნახოთო! ეხლა ვისა რჩება ის შენი ყორულები? იქნებ, ყარაჯა ჩობანისა არ იყოს, ხეების ძირფესვიანად დაგლეჯა და წაღება გინდა?!

ერთი ფულტურიანი მუხა იდგა იქვე, დაშდემირი იმ ფულტურიდან მოკაკული გამოვიდა, ტანის ქვემოთა ნაწილი უჩანდა. შარვალი აიწია და შეეკვრა დაიწყო. მეტყვევებ პირი მიიბრუნა.

— კაცო, ადგილი ცოტაა, ფულტურში რო არ შეხვიდე?

— მე ეგრე მინდა! თუ აქაც აკრძალულია? — დაშდემირი ფულტურის წინ მობუქნავე დათვივით გაიჩაჩხა და ხონჯარი გაიმაგრა. მეორე ხელი პერანგის საყელოში ამოირილ სქელ, შავ ჯაგარში ჩაიტარა და იღლის ფხანით მეტყვევებს მიუახლოვდა.

— მაშ, რძე მინდაო, ჰა? რძე არა გვაქვს!

— მოდი, შენმა მზემ, დაშდემირ, ცხენი ხელიდან მიმდის!

— სად არის ცხენი?

— მინდორში დავანარჩუნე.

— რაო, წამოსასვლელი თავიც აღარა ჰქონდა?

— აღარ ჰქონდა. ნულარ მალაპარაკებ, შენი ჭირიმე, დაშდემირ, ჩქარა, შვილში არ გამომეჩრევა ის ცხენი!

ახალგაზრდა იქვე იდგა და სიგარეტს ეწეოდა. რაკი ძაღლები ელაქუცებოდნენ, ჩანდა, იგი ახალი კაცი არ იყო აქ.

მეტყევებს ახლა ყოველი წუთი ოთუსბირად უღირდა. წარსული გაიხსენა და მიხვდა დაშდემირი ლაპარაკს განგებ აჭიანურებდა, ამიტომ ახალგაზრდას გახედა. ახალგაზრდამ სიგარეტი მაშინვე გადააგდო.

— მე მოვიტან! — თქვა მან და სასწრაფოდ ალაჩუხებისაკენ გაეშურა.

მეტყევე განათლებულ ადამიანებს, ქალაქიდან ტყეში სასეირნოდ ჩამოსულ ინტელიგენტებს განსაკუთრებულ პატივს სცემდა. ყოველ მათგანს, რომელსაც კი იგი მწვანე მდელოზე, წყაროს თავზე ან ზის ჩრდილში გაშლილ სუფრასთან მიეწვია, მისთვის თითონაირი მოსაგონარი დაეტოვებინა. ახლაც ენიშნა ახალგაზრდის აღელვება და შეშფოთება. მიმავალ ყმაწვილს გახედა და მის გულში კაშხლის მშენებლობის დღიდან დაწყებულმა, თანდათანობით გაღრმავებულმა, მერე და მერე უფრო გაარჯლებულმა და ყრუდ მტკივნეულმა იარამ წამოყო თავი. ახლაც მიხვდა, რომ ლენტის გაჭრისა და რაბის გახსნისას, ტყესთან ერთად ტყეში გაჩენილი მეგობრებიცა და მეგობრობაც, ის თავაზიცა და ტკბილად ნაუბარი საღამოებიც წყლით იფარებოდა, ეკარგებოდა სამუდამოდ.

მეტყევეს წამიერად ლურჯა ულაყიც მიავიწყდა. ისიც ვერ გაიგო, ამ თავპირდასიებულმა ჯაგარა კაცმა ამ წუთში რა უთხრა ან რატომ გაიცინა.

— ეი, შენ არ გეუბნები? რატომ პასუხს არ მაძლევ?

— რას მეუბნები?

— იმას გეუბნები, რომ შენი შვილი რაიკომის მდივანია და ფულიც ბლომად ექნება; გამოართვი, დავხარჯოთ რაღა!

მეტყევემ წარბები შეჭმუსხნა.

— შენი სიძე კიდევ მეურნეობის დირექტორია, მაშ, ფული შენც ბევრი უნდა გქონდეს!

— ჩემს ტოპრაკს ძირი გახვრეტილი აქვს.

— ვითომ რათაო?

— ზომ იცი, რაკი ნორმის ზევით თითო-ოროლა საქონელს ვინახავ, ყველა გამვლელ-გამომვლელს ქრთამი უნდა. რასაც ტოპრაკში ფულს ჩავდებ, ქვემოდან გასდის. რამდენჯერ შენც გაგმასპინძლებივარ, დაგავიწყდა?

— ესე იგი, მეც ქრთამს მაძლევდი?

დაშდემირმა ჩაიციინა.

— მაშ, როგორ გეგონა! ვისთანაც არაფერი გამივა, იმას ერთ ლუკმასაც არ შევაჭმევ.

მეტყევემ ფიქრდაფანტულად, მოუთმენლად გაიხედა ალაჩუხის მხარეს.

სავსე ვედროთი მომავალი ახალგაზრდა რომ დაინახა, ძაღლების ღრენას ყურადღება აღარ მიაქცია და მისკენ გაეშურა.

— დიდი მადლობა, გენაცვალე!

— არაფრის, ბიძია, არაფრის! — ბიჭმა ნაზად გაიღიმა და ვედრო გაუწოდა. ცივ სახელურს რომ ხელი შეეავლო, მეტყვევსაც გულში სიცივემ გაჰკრა. ვედრო დადგა. ფიქრით ახლა იგი ლურჯა ულაყთან იყო. ეს ლამაზი, კეთილშობილი ყმაწვილიცა და დაშდემირიც მასთან იყვნენ, ვითომ ეხმარებოდნენ, ცხენი წამოექციათ და რძეს ასმევდნენ.

ამ ფიქრში იყო, რომ უცებ გადაქცეულ ვედროს მოჰკრა თვალი. მეტყვევ განცვიფრებული შემობრუნდა და ფართოდ პირდაღებულ, მოხითხითე, დაშდემირს შეხედა. დაღვრილი რძე, მწვანე ბალახებში მიედინებოდა. ძაღლები ეცნენ და ლოკვა დაუწყეს. დაშდემირი იცინოდა:

— ღმერთმანი, ვერ დავინახე, ფეხი მომიხვდა, მირყასიმ! ერთი ცხენი რა გაგხდომია, რომ იმის გულისათვის ეგრე გირბენია და ოფლში გაღვრილხარ? შვილებს უთხარი, სათითაოდ ფული დადონ და მანქანა გიყიდონ. ჩაჯექი, იარე და სწიე ქეიფი!

შავად გაბურღულ წვერში თეთრკბილებდაკრეჭილ კაცს რომ შეხედა, მეტყვევი მაშინვე მიხვდა: ის აქ სასურველი სტუმარი არ იყო. გულზე ცეცხლი მოედო, გადაწყვიტა ფული მიეცა რძეში, მაგრამ ხელადვე დაიოკა თავი. ძველი, ჩვეული მოთმინებით ხელსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა. უკვე საღამურის სუსხი იგრძნობოდა და ფაფახი რომ მოიხადა, მოპარსულ თავზე ბულის ნაცვლად თითქოს კვამლი ავარდა. ეგრევე, თავკვამლიანი გაბრუნდა უკან.

ლურჯა ულაყი უკვე წამოგვერდებულნი დაუხვდა. მეტყვევი დაიხარა და თვალეებზე ხელი გადაუსვა. მეორე ხელის ზურგით თვალეები მოიწმინდა.

— ეგრეა საქმე, ჩემო ლურჯა ულაყო!..

ლურჯამ უკანასკნელად ამოიხროტიხა და აღარც განძრეულა.

მეტყვევი ხელა წამოდგა. მოსართავეები და აღვირ-ავშარა მოხსნა ლურჯას. უნაგირი აიკიდა, შებრუნდა და სახალხო გზიდან მოშორებული, მხოლოდ მისთვის ნაცნობი ბილიკით გააბიჯა.

ქარი უბერავდა, ტყე შრიალებდა. მეტყვევს ფოთოლს აყრიდა. კისერში და უბე-ილლიაში სველი ფოთოლი ეყრებოდა, მაგრამ კაცი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. თვალეები სიბნელეში რუხად დაჩნეულ ბილიკისთვის მიეშტერებინა და შიძიმე, დაღლილი ნაბიჯით მიდიოდა.

როგორც კი ტყიდან გამოვიდა, საშინელი დაღლილობა იგრძნო, სიცოცხლეში რომ არ უგრძენია, ისეთი. ჟამმოთეული ბებერივით ამოიოხრა, უნაგირი მოიხსნა, მიწაზე დადო და ზედ ჩამოჯდა. მეორე მიბრუნდა, მხარუკულმა გაიხედა და ტყიურ ხმებს ყური მიუგდო.

— ეგრეა ჩვენი საქმე, ლურჯა ულაყო!.. ეგრეა ჩვენი საქმე, პეი, მეტყვევი მირყასიმ!..



ანტიკური საგალობლები

ძველ ელადაში შექმნილი საგალობლები ჩვენამდე აღწევს დიდი ადრის ჰომეროსის სახელით, ვინც თავად იქცა პოეტური თაყვანების კერპად. ამჟამად მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ჰიმნები არ არის ჰომეროსის ქმნილებები; ისინი შედარებით გვიან შეუთხზავთ ეპიკური სკოლის უცნობ პოეტებს. საგალობლებში ხოტბა ეძღვნება აპოლონს, დემეტრეს, ჰერმესს, აფროდიტეს, დიონისეს და სხვა წარმართულ ღვთაებებს. დღესასწაულებზე, რომლებიც საბერძნეთის სხვადასხვა ადგილას იმართებოდა, აედები ან რაფსოდები ქებას შესწირავდნენ ღვთაებას და მის შესახებ რაიმე ამბავი პოეტური ფორმით უნდა გაესენებინათ დღესასწაულის მონაწილეთათვის. ამ საგალობლებს პრელუდიებად წარუძღვარებდნენ ხოლმე ჰომეროსის პოემათა სიმღერებს, თუმცა, როგორც აღნიშნულია აკად. სიმ. ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ (I. 1590 წ.), თვითეული საგალობელი „მაინც დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოებია“ (გვ. 92). რამდენიმე ჰიმნის დიდი მოცულობა საეჭვოდ ხდის მათს პრელუდიებად წარმოდგენას. ვარაუდობენ, რომ ზოგჯერ მთხზველს მხატვრულ-ტექნიკური ხერხისათვის უნდა მიემართა, როცა ჰიმნს პრელუდიის ფორმას აძლევდა; მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ რამდენიმე საგალობელზე. ასე რომ სავსებით ბუნებრივია ჰიმნების სიანბლოვე ჰომეროსის ეპოსთან როგორც შინაარსობრივად (მითები შეადგენს მათს საერთო წყაროს და საფუძველს), ისე მხატვრული სახეების მხრივ. რაც შეეხება პოეტურ მეტრს, საგალობლები აგებულია დაქტილური ჰექსამეტრით — ჰომეროსის „ილიადისა“ და „ოდისეის“ საზომით.

ჰიმნების მხატვრულ მეტყველებას აღუბეჭდავს უძველესი შეხედულებები ცისა და ქვეყნის განმგებელ ძალებზე. ანთროპომორფულ ღვთაებებს მიეწერება ისეთი ნიშან-თვისებანი, რომლებიც აზროვნების განვითარების ადრინდელ საფეხურებს ასახავენ. მაგალითად, საგულისხმოა, რომ მთვარის ღვთაება— სე-

ლენე, თეთრ-მკლავება, რბილ-საამო ნაწნავებით დამშვენებულ დედოფლად რომ დაუსატავს პოეტს,— ფრთებგაშლილად (ταυσιπτερον) გვევლინება. ჰიმნების 1967 წლის გამოცემაში, რომელიც ლების ცნობილ სერიას ეკუთვნის და ბერძნული დედნების პარალელურად შეიცავს ინგლისურ თარგმანებს, მთვარის ღვთაების ზემოხსენებულ ეპითეტს („ფრთებგაშლილს“) დაერთვის განმარტება: „იგი შეიძლება აღნიშნავდეს უბრალოდ მთვარის სრიალს ჰაერში ფრინველის მსგავსად ან გულისხმობდეს მის შორს სვლას (ფრენას)“¹.

ვფიქრობთ, აქ რამდენადმე გამარტივებულია მთვარის ეპითეტის მნიშვნელობა. ღვთაება-ფრინველის სახე თავისი ფესვებით უკავშირდება უძველეს სარწმუნოებრივ წარმოდგენებს. სხვადასხვა ხალხის მითებში ღვთაებანი ფრთოსნებად გვესახებიან. ფრთებგაშლილ სელენეს პარალელები მოეპოვება „დაბადებაში“, რომლის თანახმადაც ადამის ძენი უფლის ფრთებქვეშ დაივანებენ („საფარველსა ფრთეთა შენტასა ვინარებდე“ — ფსალმუნნი, 62, 8. შდრ. იქვე 16, 8; 56, 2; 90, 4 და სხვ.)². სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ღვთაების ფრთები ზეცის და, ამდენად, ნათელის პოეტურ ხატებას შეადგენს. ბიბლიის მიხედვით ზეცის ძალნიც (სერაფიმი, ქერუბინნი თუ სხვანი) ფრთოსნები არიან. ქრისტიანულ მწერლობაში დამკვიდრდა სახე ანგელოზ-ქერუბინებისა, რომელთა ეტლზედაც იჯდა მზის ზედა სოფლის „სამ-მზე“ ნათელი, ელვარე რაშებზე ამხედრებული მზისა თუ მთვარის წარმართული ღვთაების მსგავსად. საყურადღებოა, რომ ბიზანტიურა ხანის ხელოვნების ოსტატებს შემოუნახავთ ანტიკური ტრადიცია ჩვენთვის საინტერესო მითოლოგიური სახის — მთვარის — ფრთოსნად წარმოდგენისა, რასაც მოწმობს ერმიტაჟში დაცული VI საუკუნის ოქროს გულქანდა; მის მედალიონზე გამოსახულია პერსონიფიცირებული, ფრთებ შესხმულ ადამიანებად წარმოდგენილი მზე და მთვარე,

¹ Hesiod, the Homeric Hymns and Homerica, with an English Translation by Hugh G. Evelyn-White, M. A., London, Cambridge, 1967, გვ. 459.

² об. И. Франк-Каменецкий, Вода и огонь в библейской поэзии, Яфетический Сборник, 1924, гв. 140—141.

რომლებიც გვირგვინს ადგამენ, აკურთხებენ იმპერატორს ¹.

ანტიკური საბერძნეთიდან ჩვენამდე მოღწეული ჰიმნები მეტად მაღალი ხელოვნების მაჩვენებელი ძეგლებია, რომელთაც ყოველი ეპოქის მკითხველი (ან მსმენელი) შეჰყავთ ჭეშმარიტი მშვენიერების სამყაროში. ზემოთ დასახელებული ინგლისური გამოცემის შესავალში აფროდიტესადმი მიმართული ვრცელი ჰიმნი შედარებულია ჰომეროსის „ოდისეაში“ წარმოდგენილ დემოდოკეს სიმღერასთან, რომელიც, შესავლის ავტორის სიტყვით, გარეგ-

ნულად ჰგავს აფროდიტეს საგალობელს, და აღიარებულია ჰიმნის უპირატესობა ჰომეროსის პოემის შესატყვის მონაკვეთზე (გვ. XXXVIII). ეს ფაქტი ადასტურებს გალობათა შემოქმედი აელების დიდოსტატობას.

ძველი ბერძნული ენიდან ვთარგმნეთ სიყვარულისა და სილამაზის დედოფლის — აფროდიტეს, მზისა და მთვარის ღვთაებათა საგალობლები ², აგრეთვე ჰიმნი, რომელსაც აედი უძღვნის პანს — ტყეების, საქოვართა და ხვასტაგის უფალს, პან-ხატირების მშობელს და მწყემსის სალამურის შემოქმედს.



მ ზ ი ს ა ღ მ ი

მზეს უგალობე ბრწყინვალეს, მუზავ, ზევსის შობილო,
ო, კალიოპე! ხარისთვალეზა დედა-ნათელმა*
მზე შვა მიწის და ვარსკვლავ-მდიდარი ზეცის ძისაგან;
დიდებით სავსე დას შეეუღლა ჰიპერიონი, —
ვრცელ დედა-ნათელს, ვინც დაუბადა თვალადნი შვილნი:
ვარდისმკლავეზა ცისკარი, მთვარე რბილ-თმადაწნული,
ჰელიოს ღმერთი, დალლას რომ ჯერ გრძნობს, უკვდავთა სწორი,
და ნათელს მოგვფენს ყოველ მოკვდავს, უკვდავ ღმერთებსაც, —
მზეჲ მხედარი. იგი მრისხანედ აელვებს თვალებს
ოქროს ზუზუნის ქვეშ, ხოლო კამკამა სხივებს აბრწყინებს
თვალისმომჭრელად და საფეთქლებთან ელვარე თმები,
თხემით ფენილი, შორს მნათობ სახეს უმშვენებს მაღლით;
უცხო სამოსი, ნატიფად თხზული, ტანთ ულაპლაპებს
ქართა სუნთქვისგან. ჰელიოსის ქვეშ მიჰქრიან რაშნი;
სად შეაყენებს ოქროსუღლიან ეტლსა და ცხენებს,

¹ А. В. Банк, Искусство Византии в собрании Государственного Эрмитажа, Ленинград, 1960, илл. 66.

² ჰომეროსის პოემებისა და მისი სახელით შემონახული ჰიმნების ცნობილი მთარგმნელი ვ. ვერესაევი ფიქრობდა, რომ საგალობელთაგან მხოლოდ ეს ორი — მზისა და მთვარის ღვთაებებისადმი — ეკუთვნის ერთსა და იმავე ავტორს. იხ. Гомеровы гимны, перевел с древнегреческого В. Вересаев, Москва, 1926. გვ. 6.

იქ დაივანებს ზეცის თავანზე, ვიდრე ღვთიური
ცით გადარეკდეს კვლავ თავის რაშებს ოკეანისკენ.

დიდება, მზეო! მწყალობელს გვედრებ კეთილად ყოფნას,
შენ მიწინამძღვრებ, მოკვდავ ღმერთ-კაცთა ვადიდო მოდგმა,
ვისნი საქმენიც ცნეს მუზათაგან სიკვდილის შვილთა.

ა ფ რ ო დ ი ტ ე ს ა დ ე ი

დიადს, თავშემკულს ოქროს გვირგვინით, სახიერ ქალღმერთს
შევწირავ ქებას, ზღვაში გართხმული კვიპროსის რომ ჰხვდა
ციხე-ქალაქნი; აქ აფროდიტე ზეფირის ფრენამ
წარმოავლინა, აზავთებული ზღვის დელვას მოჰყვა
ქაფის სილბოთი. მაშინ ჰორები* წინ მიეგებნენ,
შუბლს უმშვენებდათ ელვარე ოქროს დიადემები,
ღვთიურ სამოსით, მარად უხრწნელით, შემოსეს იგი
და უკვდავ თავზე ოქროს გვირგვინი დაადგეს უცხო,
კეთილად ქმნული; და შესამკობად ყურთა ენებათ
ორიქალკის და ძვირფასი ოქროს საყურეები;
ყელს უნატიფესს, ვერცხლისფრად მბრწყინავ გულ-მკერდს
ურთავდნენ

ოქროს გულქანდით, როგორც თავად ჰშვენოდათ ორთავ —
დიადემებით მოკაზმულ ჰორებს — მამის პალატში
ან ოდეს ღმერთთა მომხიბვლელ ფერხულს უერთდებოდნენ.
აასხეს ტანზე სამკაულები ათასნაირი,
მერმე ეახლნენ უკვდავთა გუნდთან, მათაც შეიტკბეს,
მოკითხვის უმაღ ისანატრელა მეუფემ ყველამ,
შინ წაეყვანა კითერეია** როგორც მეუღლე;
ჰკვირობდნენ იის გვირგვინოსანის სიმშვენიერეს.
ო, გიხაროდეს, მშვილდის წამწამო, საამებელო!
ძლევა შემოსე დღეს სარბიელზე, წამიძელ აედს.
ხოტბას მოგიძღვნი და შენთანავე სხვას ვუგალობებ.

* ჰორები („დრონი“) — აფროდიტეს თანმხლები ღვთაებანი: თალო („ყვავილოვანი“, „ყვავებული“) და კარპო („ნაყოფიერი“). თავდაპირველად ბერძნები ორ ჰორას აღიარებდნენ, რადგან წელიწადის დროთა რიცხვი ორით განისაზღვრებოდა. ჰორები განაგებენ დროთა ცვალებადობას, ამინდს, მოსავალს, ადამიანისა და ბუნების ყვავილობის, სილამაზის ქალღმერთები არიან; მათ აბარიათ ზეცის კარიბჭე; ხოლო, როგორც ჰესიოდეს პოემა მოწმობს, შემდეგ სამართლიანობისა და კანონიერების მფარველებადაც გვევლინებიან.

** კითერეია, ისევე როგორც კვიპროსი (კვიპრიდა) ეწოდებოდა აფროდიტეს, რადგან კითერა და კვიპროსი მისი მსახურების მთავარი ცენტრები იყო.

მ თ ვ ა რ ი ს ა ლ მ ი

ფრთებგაშლილი მთოვარის ქება იგალობეთ, მუზანო, ზევსის ამოხმიერო ასულებო, კრონოსის ძისა, იგალობელ-ხელოვანო. უგალობეთ სელენეს, ვისმიერი ნათელიც, მარადისი მწვერვალადან ზეცით გარდმოვლენილი, გარემო-იცავს ქვეყანას, და ამ ბრწყინვალე ნათლისაგან დიადი მშვენიერება ქმნილა იდუმალ. აელვარდება უნათლო ნის-ლი ოქროვანი გვირგვინით და სხივები შიშვლდებიან ღია ცის ქვეშე, რაჟამს ოკეანისგან მშვენიერ-სხეულგან-ბანილი და შორად მნათობი სამოსელით შემოსილი ღვთი-ანი მთოვარე, რომელს შეუბამს ეტლში ქედმაღალნი და ელვარე რაშნი, აღფრთოვანებული ქროლა-ჭენებით შორს გარეკს ცხენებს, მშვენიერ-ფაფარდაყრილებს, — მთოვა-რე მწუხრისა, მიმაგალი მოსაგანებლად. მაშინ ბადრზე მომდგარის დიდი ცა-სასრბოლი და უნათლესნი ელვა-რებანი სრულდებიან ზეგარდამო, ხოლო მოკვდავთა-თვის იქმნება ნიშანი და ბურჯი ზოდიაქოსი.

და იყო ჟამი, ოდეს სიყვარულით შეერთო მთოვარეს ძე კრონოსისა და იქორწინეს. მუცლად-მღებელმა შვა პანდეჟე, ქალწული ყოვლად ღვთიური, უკვდავ ღმერთთა შორის საჩინო.

დიდება შენდა, თეთრ-მკლავება ქალღმერთო, დედა-უფალო, ღვთიანო მთოვარევ, საამო ნაწნავებით დამშვენებულო, მწყალობელო დიდად. მე, სამთავრო და საუფ-ლო შენი, შევასხამ ხოტბას ღმერთ-კაცთა გმირობას, ვის საქმეებსაც გალობის-მოქმედნი, მუზათა მსახურნი, აღა-მალლებენ მომხიბვლელი სიტყვით.

პ ა ნ ი ს ჯ ლ მ ი

მიგალობებდე, მუზავ, ჰერმესის სანუკვარ შვილზე, — პანს, თნის-ფეხებას და წყვილ-რქადასხმულს, უყვარს მოლხენა, შუაგულ ტყეში მდელიოზე დაჰქრის მროკველ ნიმფებთან და ფერიებიც, უღალი კლდის თავს მოსრიალენი, უხმობენ მწყემსთა ტყიურ ღვთაებას ელვარეთმიანს, ვის წილად ერგო თოვლით მოსილი ყველა სიმაღლე — მთების მწვერვალნი, ქარაფოვანი თეთრი თავანი. ჩამოუქროლებს პანი მალიმალ გაბარდულ ჯაგნარს, მოიხიბლება რბილი და წყნარი ნაკადულებით ან ხეტილობს ძნელად აღსავალ ფრიალოებზე, თავს მოექცევა რა უმწვერვალესს, დაჰყურებს ფარას; ხან მოქათქათე მთებს, შორს წარზიდულთ, გადაევლება, ბევრჯერ ნადირსაც გასდევნებია ტყიან ფერდობზე და დაუხოცავს თვალმახვილ მდევარს; ოდენ მწუხრისას

ხშიანობს მაშინ, ნადირობიდან მობრუნებული,
სალამურების ხმაზე დაჰმღერის, — ვერ აღემატოს
გალობით ჩიტი, ყვავილ-მდიდარი გაზაფხულის ჟამს
მოთქმით რომ სტვენს და თაფლის ბგერებად ღვრის საგალობელს.
პანთან ერთად კი მთის ფერიები დაამღერებენ
წვრიალა ხმებით, შავად მბზინვარე წყლის ნაპირებზე
რომ გოგმანებენ, ნიმფა მოსტირის მწვერვალებს ექოდ*
და დასებს შორის მოფერხულეთა ნაგარდობს ღმერთი,
სწრაფად სრიალებს, წამოუგდია ზურგს სისხლიანი
ფოცხვერის ტყავი, ნაზი სიმღერით გულს განიხარებს
რბილ მდელოებზე, სად ბალახებში ზაფრანა ჰყვავის
კეთილ-საამო სურნელთა მფრქვეველ სუმბულთან ერთად.

ქებას უძღვნიან ნეტარ ღმერთებს და მაღალ ოლიმპოს;
მერმე უმღერენ ნიმფები ჰერმესს, კეთილად შემწვს,
სხვათა უმეტეს გამოჩინებულს: მაცნეა მალი
ყველა ღმერთისა, ცხვრით და წყაროთი უხვ არკადიას
მოსულა, ჰგიეს სად კვილენელის** საკურთხეველი,
სად იგი, ღმერთი, უხეშ-მატყლიან ცხვრის ფარას ედგა
მოკვდავთან ერთად. მძაფრი სურვილის მიჰხვდა ალმური,
რათა დრიობის*** ასულს შერთვოდა ნაწნავ-მშვენიერს,
და ყვავილობდნენ, როს იქტრწინეს. იშვა დარბაზში
ჰერმესის ძეჲ, ხმაურის მოთნე, მცინარი ამოდ,
უცხო სახისა — თხის-ფეხება და წყვილ-რქადასხმული;
ძრწოლით ევლტოდა ჩვილს დედამძუძე, უმაღ დააგდო,
თავზარი დასცა სახემ ტყიურმა და უაღერსომ.
კეთილად შემწე ჰერმესმა მყისვე მიირქვა წული,
ხელთ აღიყვანა, ხარობდა თვისი ნაშობით ღმერთი,
მერმე სათუთად გაუხვევია მთის კურდღლის ტყავში
და საყუდელად უნეტარესთა წარუტაცია.
ჯდა იგი ტახტზე ზევსის და სხვათა უკვდავთა გვერდით,
აჩვენა ჩვილი; სიამე მიჰხვდა მგტადრე ბახუსს,
ყველა უკვდავი იშვებდა სულით ჰერმესის ძისგან, —
პანი, ყოველთა საამებელი, მიტომ დაარქვეს.

ეჰა, იხარე და ჰმწყალობლობდე, მეუფევე, აედს,
მე კი შენს ქებას აწ შევუერთებ სხვა საგალობელს.

ძველბერძნულიდან თარგმნა
ლიანა ასლამაზიშვილ-კვირიკაშვილმა

* მითის თანახმად, ექო მშვენიერი ნარგიზის სიყვარულით ჩამომდნარი ფერიაა, უცხო ხმის გამოძახილად დაარჩენილი. არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც იგი ქალღმერთმა ჰერამ დასაჯა. სხვა მითები მოგვითხრობენ, რომ პანი ეტრფოდა ექოს და მანვე დაღუპა.

** კვილენელი ჰერმესის ეპითეტია: მითის მიხედვით, ზევსის და ნიმფა მაიას ძე — ჰერმესი — კვილენის მთის გამოქვაბულში დაიბადა.

*** გმირი დრიობი (Δρυόπη — „ტყის-სახოვანი“ თუ „ტყის-ხმიერი“), ზოგი თქმულების თანახმად, დანაიდს დაჰბადებია მდინარის ღვთაებისაგან. დრიობი ერთ-ერთი პელასგური ტომის ეპონიმია.

აკაკი ურუშაძე

მარკუს ტულიუს ციცირონი

კლასიკური რომის ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის ფუძემდებელთაგანი ციცირონი ანტიკური კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მან დიდი როლი შეასრულა რომაული ლიტერატურული პროზის ჩამოყალიბებისა და თანამედროვეთა შორის კულტურისა და განათლების პოპულარიზაციის საქმეში. მის უკვდავ შემოქმედებაში ყველაზე მეტად განხორციელდა ანტიკური ეპოქის ორი კულტურის — ბერძნული და რომაული კულტურის სინთეზი. ამით განისაზღვრება ციცირონის, როგორც ხელოვანის, ისტორიული მნიშვნელობა. ციცირონის ქმნილებები, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დღესაც ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“.

მარკუს ტულიუს ციცირონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დრო (ძვ. წ. 103—43) დაემთხვა რომის ისტორიის უაღრესად მღელვარე პერიოდს, როცა შინაგანი წინააღმდეგობებით დამძიმებული რომის მონათმფლობელური რესპუბლიკა მონარქიული რეჟიმისაკენ — იმპერიისაკენ მიექანებოდა. ციცირონი გააფთრებული პოლიტიკური ბრძოლების უშუალო მონაწილე იყო. ამ ბრძოლებს იგი მოევლინა როგორც ტიპიური წარმომადგენელი ე. წ. „მხედართა“ ფენისა, რომელსაც საშუალო ადგილი ეკავა „პლებსისა“ და „ნობილიტეტის“ წოდებათა შორის. უაღრესად განათლებული პიროვნება სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მარცხიანი, განუჭვრეტელი და მერყევი კაცი გამოდგა. იგი ჯერ ახ-

ლოს იდგა „პოპულარებთან“ (დემოკრატიასთან), მერმე „ობტიმატებისაკენ“ (არისტოკრატისაკენ) გადაინარა და ბოლოს ოქტავიანე ავგუსტუსის პრინციპატის იდეოლოგი გახდა. ციცირონის შემთანხმებლური, ე. წ. „წოდებათა პარმონიის“ (Concordia ordinum) მარცხიანი პოლიტიკა იმთავითვე განწირული იყო.

ციცირონის ისტორიული მნიშვნელობა მის ლიტერატურულ მოღვაწეობაშია. ციცირონის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულია 57 სიტყვა სრულად, 20 სიტყვის ფრაგმენტები და 30 სიტყვის სათაური; კარგადაა შემონახული რიტორიკული და ფილოსოფიური ტრაქტატები და მრავალი (900-მდე) წერილი.

ციცირონის ლიტერატურული მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეპოქის პოლიტიკურ მოვლენებთან. ფორმით ბრწყინვალე და შინაარსით მრავალფეროვან სიტყვებში, რიტორიკულ-ფილოსოფიურ ტრაქტატებსა და წერილებში ასახულია იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა მხარე.

„კელნის გაზეთის“ (№ 179) მოწინავეში მარქსი დაბეჯითებით მოუწოდებდა ყველას: ანტიკური ეპოქის შესაცნობად ციცირონი წაიკითხოთ!

ანტიკური ეპოქის უდიდესი მჭევრმეტყველი ციცირონი ეპისტოლური ჟანრის დიდოსტატიც იყო. ლიტერატურული წერილის ჟანრი ფაქტიურად მან შექმნა. ციცირონის წერილებს დიდი ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ზოგი წე-

რილი ლიტერატურულად უაღრესად დახვეწილია და განკუთვნილი იყო პუბლიკაციისთვის. წერილთა უმრავლესობა ინტიმური ხასიათისაა და დიდი უშუალობით არის დაწერილი. ამ წერილებში მიმოხილულია დიდძალი მასალა სამოქალაქო ომების ისტორიისათვის და წარმოგვიდგენს პირველი საუკუნის რომის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ნათელ სურათებს. წერილებში დახასიათებულია ციცერონის თანამედროვე მრავალი გამოჩენილი პიროვნება (გაიუს იულიუს კეისარი, მარკუს ბრუტუსი, ოქტავიანე ავგუსტუსი და სხვ.).

ციცერონის წერილები ოთხ კრებულად იყოფა: 1. წერილები შინაურებისადმი 2. წერილები პომპონი-

უს ატიკუსისადმი 3. წერილები ძმა კვინტუსისადმი და 4. წერილები მარკუს ბრუტუსისადმი.

ჩვენამდე მოღწეულ ეპისტოლეებში ყველაზე ადრინდელია ძვ. წ. 68 წელს დაწერილი წერილი, ხოლო უკანასკნელი ძვ. წ. 43 წლით თარიღდება.

ვერობის კულტურის ისტორიაში არც ერთ რომაელ მოღვაწესა და მწერალს არ ჰქონია ისეთი დიდი რეზონანსი, როგორც ციცერონს; მის ქმნილებებში სიბრძნის დაუშრეტელ წყაროს ხედავდნენ.

ვიმედოვნებთ, ქართველი მკითხველი სიამოვნებითა და მაღლიერების გრძნობით მიიღებს ციცერონის რამდენიმე წერილს.

ციცერონის წერილები

მარკუს კლავდიუს მარცელუსს, მიტილენში (ლესბოსი)

რომი. 46 წ.

მარკუს ტულიუს ციცერონის მოკითხვა
მარკუს მარცელუსს.

1. თუმცა აქამდე, ჩემი გაგებით, ისე რიგად იქცეოდი, ვერ გავხედავ და ვერ დავგმობ მე შენს საქციელს — განა იმიტომ, რომ ვეთანხმები, მე შენ ისეთი ბრძენი ჭკუის კაცი მგონიხარ, ჩემს აზრს შენსაზე მაღლა ვერ დავაყენებ — მაგრამ რახან იმდენი ხნის მეგობრები ვართ, ისე საოცრად იყავი ჩემდამი განწყობილი ბავშვობიდანვე, არ შემიძლია არ მოგწერო ის, შენს სასიკეთოდ რომ მიმაჩნია და არც ღირსებას შეგილახავს.¹

2. შენ რომ ის კაცი ხარ, ვინც პირფხვშივე შეამჩნიე ამჟამინდელი უბედურებანი, ვინაც დიდებულად ჩაატარე შენი კონსულობის ხანა, მე ეს ჩინებულად მახსოვს. მაგრამ იმასაც გამჩნევდი, რომ თვალში არ მოგდიოდა არც ასეთი ხერხი სამოქალაქო ომის წარმოებისა, არც გნეუს პომპეუსის ლაშქრის შემადგენლობა და მეტისმეტად უნდოდ ეკიდებოდი ამ ყოველივეს. მე მგონი, გახსოვს, რომ მეც მაგ აზრს ვიზიარებდი. ამიტომ არც შენ მივიღია დიდი მონაწილეობა სამხედრო საქმიანობაში და მეც მუდამ ვცდილობდი თავი ამერიდებინა მისთვის. ჩვენ ხომ იმ საშუალებე-

ბით არ გვიხდებოდა ბრძოლა, როგორც უფრო გვემარჯვებოდა და უპირატესობას მოგვანიჭებდა — ანუ საქმის სიმართლე, ბჭობა-რჩევა — არამედ კუნთების ძალით, ამაში კი თანასწორნი ვერ ვიყავით, ამიტომაც დავმარცხდი, ყოველ შემთხვევაში, თუკი სიკეთის დამარცხება არ შეიძლება, გავტყუდეს და უკუგვაქციეს. აქ კი შენს გადაწყვეტილებას ვერავინ მოიხსენიებს, თუ არ დიდზე დიდი ქება-დიდებათ, რამეთუ გამარჯვების იმედთან ერთად ბრძოლის სურვილიც უკუაგდე და დასტურჰყავი, რომ შესაძლოა გონიერი და პატიოსანი მოქალაქე ომში თავისი სურვილის წინააღმდეგ ჩაითრიონ, მაგრამ ვერავინ აიძულებს თავისი ნებით ბოლომდე გააგრძელოს ბრძოლა.

3. ვინც შენს მაგალითს არ მისდია, როგორც ვხედავ, ორ ბანაკად დაიყვნენ ახლა: ნაწილი შეეცადა ომი განეახლებინა (ესენი აფრიკაში მოგროვდნენ), ნაწილი კი, ჩემსავით, გამარჯვებულის² ნებას მიენდო. შენ შუაგზა აირჩიე; მეორე, ვგონებ, სულმოკლეობად მიიჩნიე, პირველი კი სიკერპედ და სიჯიუტედ. უნდა ვაღიარო, რომ უმრავლესობამ (ვიტყოდი კიდევ, ყველამ-მეთქი) შენი გადაწყვეტა ბრძნულად ჩათვალა, ბევრმა კი დიადი და მამაცი სულის გამოვლინებად. მე კი მგონია, რომ მაგგვარი საქციელი გარკვეულ ზომიერებას მოითხოვს, მეტადრე, თუ მთელი შენი ქონების დასაბრუნებლად მხოლოდ შენი სურვილია საჭირო. ვისაც ძალაუფლება ხელთ

¹ მარცელუსი იულიუს კეისრის მოწინააღმდეგე კონსული იყო. იგი კეისრის გამარჯვების შემდეგ რომიდან გაიქცა.

² იულიუს კეისარი.

უბყრია¹, მას ეშინია, რომ არ ჩაუთვლი ამას წყალობად. თუ მე რას ვფიქრობ ამაზე, მგონი, არც საჭიროა ვთქვა, რადგან ჩემი საქციელი ნათელია ყველასათვის.

4. მაგრამ უკეთუ ასე გადაწყვიტე და იმის ცქერას, რასაც არ გინდა უცქირო, უცხო მხარეში ნიადაგ ყოფნა ამჯობინე, მაინც უნდა იფიქრო, რომ ვისაც გაურბინხარ¹, იმის ბატონობას ვერსად ვერ გაექცევი. იმან რომც დაუშვას, შენ, სამშობლოდან გადახვეწილმა, ქონებადაკარგულმა, არხეინად და შენს ნებაზე იცხოვრო სადმე, შენც მაინც უნდა აწონდაწონო, სად გირჩევნია, რომში იცხოვრო, შენს ოჯახში, რა გარემოებაც არ შეიქმნას, თუ მიტილენში ან როდოსზე. მაგრამ რახან იმისი ძალა და უფლება, ვისიც ესოდენ ჩვენ გვეშინია¹, ისე დიდია, მთელ დედამიწას გადასწვდომია კიდით-კიდემდე, განა არ გიჯობს საკუთარ სახლში იყო უშიშრად, ვინემ სხვაგან ნიადაგ შიშში? რომც ვიცოდე, სიკვდილი მელის, მე მირჩევნია ჩემს სახლში და ჩემს ქვეყანაში დავლიო სული, ვინემ შორს და უცხოობაში. ამას ფიქრობს ყველა შენი დამფასებელი, ასეთნი კი შენებრ დიდებული სიქველის პატრონს ძალზე ბევრი ჰყავს.

5. მე შენი ქონების ამბავიც მაფიქრებს, ვინაიდან არ მინდა იგი ყაჩაღებმა დაიტაცონ. მართალია, უკანონოდ ვერავინ ხელყოფს, რამეთუ არც ის, ვინც სახელმწიფოს გამგებელია და არც თვით სახელმწიფო მოითმენს ამას, მაგრამ მე მაინც მეშინია, ყაჩაღები შენს ქონებას არ წაესიონ. გავბედავდი და კიდევ მოგწერდი, ვისაც ვგულისხმობ, რომ არ ვიყო დარწმუნებული, უამისოდაც მიმიხვდები.

6. შენს პატიებაზე ეაჯება შიში, შფოთი და უხვად დაღვრილი ცრემლი შენი ძმის მარცელუსის, ეგზომ შენი ერთგულისა. მეც ვწუხვარ და ვშფოთავ მასავით, მაგრამ ისე თავდადებით ვერ ვიხვეწები, ვინაიდან მე თვითონვე ვსაჭიროებ გამოსარჩლებას. ჩემი გავლენა ისეთია, ვით დამარცხებულს შეეფურება; მაგრამ რჩევასა და თავგამოდებას არკი ვაკლებ ჩემი მხრივ მარცელუსს. სხვა შენიანები ჩემთან არ მოდიან. მე ყველაფერზე მზად ვახლავარ.

მარკუს ტულიუს ციცერონი სალამს
უთვლის მარკუს მარცელუსს.

1. თუმცა ამ რამდენიმე დღით ადრე კვინტუს მუციუსს გადავეცი ჩემი წერილი, სადაც მოგწერე, ჩემი აზრით, რა განწყობაზე უნდა

იყო და როგორ მოიქცე, მიუხედავად ამისა, როცა შენი აზრები მონა თეოფილე გამოემგზავრა, შენი ერთგული და შენდამი ეგზომ განწყობილი, არ მინდოდა ისე მოგსვლოდა, ჩემი წერილი არ მოეტანა. მაშასადამე, კვლავაც და კვლავაც მირჩევია იმ მოსაზრებათა კვალობაზე, წინა წერილში რომ გირჩიე, რაც შეიძლება ჩქარა დათანხმდე აქ ჩამოსვლაზე. იქნებ ბევრი რამ ისეთი ნახო, რისი ნახვაც შენ არა გასურს, მაგრამ იმაზე მეტს არ ნახავ, რასაც ყოველდღე ყურით არ ისმენ. შენ არ გჩვევია აგაღელვოს მარტოოდენ თვალით ნახულმა და ნაკლებ დაგტანჯოს ყურით აღქმულმა იგივე ამბავმა — ჩვეულებრივ სომ უფრო დიდად ჩანს ყოველივე ამის შედეგად.

2. მაგრამ თავად კი მოგიხდება ის თქვა, რასაც შენ არ ფიქრობ, და ის გააკეთო, რაიც არ მოგწონს. ჯერ ერთი, შექმნილი გარემოების ანუ აუცილებლობის დამორჩილება—მუდამ ითვლებოდა ბრძენთა თვისებად; მეორეც, ახლანდელი მდგომარეობის კვალობაზე, ეს ნაკლად არ ჩაითვლება. რასაც ფიქრობ, იმისი თქმა, ვგონებ, არ შეიძლება; დუმილი კი სრულიად დაშვებულია. ყველაფერი სომ ერთის ხელშია¹, ის კი თავისი, და არა მისიანების მიხედულებით ხელმძღვანელობს. მდგომარეობა არცთუ მაინცდამაინც შეიცვლებოდა, სახელმწიფოს თავში რომ ის მდგარიყო, ვისაც ჩვენ უკან გავყევით;² განა შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვინც ომის დროს მხოლოდ თავისა თუ ყოვლად უგუნურ ადამიანთა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, რომ გაემარჯვა, ჩვენთვის ბევრად ხელსაყრელი იქნებოდა? როგორ გგონია, ვინც შენს ბრძნულ რჩევას არ მიჰყვა შენი კონსულობის უამს და არ ისმინა თქვენი რჩევები შენი ძმის კონსულობისას, ახლა რომ ჩვენი მბრძანებელი ყოფილიყო, ჭკუას გვკითხავდა?

3. სამოქალაქო ომებში სასიკეთო არა არის რა; რაც ჩვენს მამა-პაპათ არასოდეს არ განუცდიათ, ჩვენს თაობას არა ერთხელ დაატყდა თავზე. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაინც გამარჯვებაა, რაიც დიდებულ ადამიანსაც ამედიდურებს, ძალას კი უმცირებს, ვინაიდან გინდაც არ უნდოდეს, აუცილებლობა მაინც აიძულებს იმათ დაუთმოს, ვისი წყალობითაც გაიმარჯვა. განა მე და შენ არ განვსჭვრიტეთ, რაოდენ სასტიკი იქნებოდა მათი³ გამარჯვება? მაშასადამე, შენ ამ შემთხვევაშიაც დაკარგავდი სამშობლოს, რათა ის არ გეხილა, რისი ხილვაც არ გინდოდა. „არაო, — მეტყვი შენ, — მაშინ ქონება

¹ იულიუს კეისარი.

² გნეუს პომპეუსი.

³ პომპეუსის მომხრენი.

და ღირსება მაინც შემრჩებოდაო“. მაგრამ ხომ ვიცი, შენი სიქველის პატრონი რა მცირედ აფასებ პირად საქმეებს და რა დიდად სახელმწიფოზე ურვას. მაგ გადაწყვეტის შედეგი კი რა არის? აქამდე ხომ შენს საქციელსაც იწონებენ და შექმნილი ვითარების გამო კიდევ ხოტბას ასხამენ შენს ბედს: საქციელს იმიტომ, რომ აუცილებლობამ თუმც მიგაღებინა მონაწილეობა ომის დასაწყისში, კეთილგონიერებამ არ გაგაგრძელებინა იგი ბოლომდე; ბედს იმიტომ, რომ საპატიო უმოქმედობის წყალობით შენ შეინარჩუნე მდგომარეობა და დაფასებაც შენი ღირსებისა. ჰოდა, ამჟამად შენთვის არ უნდა იყოს მამულზე უფრო სანატრელი ადგილი და არც უნდა გიყვარდეს უფრო ნაკლებ იმის გამო, უარესი გახდაო. პირიქით, უფრო რე უნდა შეიბრალო და ამდენი დიდებული ვაჟკაცის დამკარგველს არ წაართვა შესაძლებლობა შენი ხილვისა.

4. დაბოლოს, დიდბუნებოვანს თუ არ სჩვევია ხვეწნა-მუდართით მიეახლოს გამარჯვებულს, ვაითუ მისი კეთილშობილების არად ჩაგდება ქედმაღლობაში ჩაეთვალოს. ხოლო თუ ბრძენს უწერია მამულის დაკარგვა, უგრძნობელს არ უწერია მასზე დარდი და მწუხარება. უკეთუ შენ არ შეგიძლია ისიამოვნო სახელმწიფო საქმეებში შენი მონაწილეობით, სისულელე იქნებოდა ხელი აგელო კერძო კაცის ცხოვრებაზე. თავი და თავი, აი, რა არის: თუკი შენ მანდ ცხოვრება უფრო საამოდ მიგაჩნია, მაინც უნდა აწონ-დაწონო, უფრო საშიში ხომ არ არის: თავისუფლება მახვილს დიდი აქვს მიცემული, შორ მხარეებში კი საქმე ბოროტი ნაკლებ აშინებთ. შენი ამბავი მე ისე მაწუხებს, რომ მხოლოდ შენი ძმის მარცვლუსის წუხილს შემიძლია გავუტოლო ჩემი წუხილი, ყოველ შემთხვევაში, მიახლოებით მაინც. შენ კი ვალად გაქვს ანგარიში გაუწიო ვითარებას და იზრუნო შენს გადარჩენაზე, სიცოცხლესა და ქონებაზე.

მარკუს კლავდიუს მარცელუსი ციცერონს მიტილენი, 46 წ.

მარკუს მარცელუსი სალამს უთვლის მარკუს ციცერონს.

1. მინდა იცოდე, რომ ჩემთვის საერთოდ ყველაფერში, მეტად რე კი ამ საქმეში, ნიადაგ დიდია შენი ავტორიტეტი. როდესაც ჩემი ფრიად მოყვარული ძმა გაიუს მარკუსი არათუ მირჩევდა, მეხვეწებოდა და მაფიცებდა კიდევ, შენს წერილზე ადრე მაინც ვერ დამარწმუნა, რომ თქვენი ორივესი რჩევა ყურად მელო და შესარგებლა. როგორ მოგვარდა ეგ ამბავი— მე თქვენმა წერილებმა

ამიხსენა და გამირკვია. თუმცა შენი მოლოცვა ძალიანაც მახარებს, რადგან ჩემდამი ეგზომ დიდ კეთილგანწყობას მოწმობს, მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად ის მსიამოვნებს და მუამაყება, რომ ჩემს საშველად წრფელი გულით ხელის გამომღებ ესოდენ მცირე მეგობრებისა და ნათესავ-მოყვრების პატრონმა გავიგე, რომ ჩემი დიდი კეთილისმოსურნე ხარ და კიდევ დამიმტკიცე, რა გასაოცარ გულისხმიერებას იჩენ ჩემდამი.

2. დანარჩენზე კი იმას ვიტყვი, რომ დროის შესაფერისად მე უამისოდაც იოლად ვცხოვრობ. მაგრამ ის კი დაბეჯითებით შემიმძლია ვთქვა: ეგეთ ვაჟკაცთა და მეგობართა კეთილგანწყობის გარეშე კაცი ვერ იცხოვრებს ბედის გინდ უკულმა და გინდ წალმა ტრიალისას. ასე რომ ჩემს თავს ამას ვულოცავ. ხოლო შენ რომ ისეთ კაცს გაუწიე სამსახური, ვინც შენი საუკეთესო მეგობარია, მე საქმიტაც დაგიმტკიცებ.

გაიუს ტორანიუსს, კორკირაში. ვიკულეუმის მამული, 45 წ.

ციცერონი ტორანიუსს.

1. მე რომ ამას ვწერ, ალბათ ან მალე დამთავრდება ამასობაში ეს დამლუპველი ომი¹, ან ზოგი რამ უკვე მოიმოქმედეს საამისოდ, მაგრამ მაინც ყოველდღე ვიხსენებ, რომ იმ მრავალრიცხოვან ლაშქარში² შენ ერთი იყავი ჩემი თანამოაზრე, მე კი შენი და რომ მხოლოდ ჩვენთვის იყო საჩინო, რაოდენი ბოროტება სდევს ამ ომს. რამეთუ დაზავების იმედის გადაწყვეტის შემდეგ სასტიკი იქნებოდა თვით გამარჯვებაც, რადგან მონობას მოგვიტანდა, დამარცხება კი ყველას დაგვლუპავდა.

ამიტომაც მე, ვისაც გულადი და ბრძენი ვაჟკაცები, დომიციუსები და ლენტულუსები მაშინ მშიშარას მეძახდნენ, მართლაც ვიყავი ასეთი, ვინაიდან მეშინოდა არ მომხდარიყო ის, რაიც მოხდა. ახლა კი უკვე არაფრის არ მეშინია და ყველაფრისთვის მზადა ვარ. როცა თითქოს კიდევ იყო შესაძლებელი რაღაც აგვეცილებინა, მე ვწუხდი, რომ ამ ამბავს უგულველყოფდნენ. ახლა კი, როცა ყველაფერი დაემხო, როცა შენი გონების მეშვეობით სასიკეთოს ვერაფერს იქმ, მე მგონი ისლა დაგვრჩენია მარტოოდენ, კეთილგონივრულად

¹ იგულისხმება ომი ესპანეთში კეისრის სარდლობით.

² იგულისხმება პომპეუსის ლაშქარი, სამოქალაქო ომის დროს რომ კეისრის წინააღმდეგ იბრძოდა.

მოვითმინოთ ყოველივე, რაც არ მოხდება, მეტადრე, რომ ბოლო ყველაფრისა არის სიკვდილი. მე ხომ ვიცი, ვინემ შემეძლო, მე ვზრუნავდი სახელმწიფოს ღირსებაზე, ხოლო მისი დაკარგვის შემდეგ მინდა კეთილი მდგომარეობა შევინარჩუნო.

2. ამას გწერ არა იმიტომ, რომ ჩემს თავზე ვილაპარაკო, გწერ იმიტომ, რომ შენ, ვინც სავსებით იზიარებდი ჩემს აზრებს და სურვილებს, იგივე იფიქრო. ხომ დიდი ნუგეშია იმის გახსენება, რომ შენ მაინც სწორსა და მართებულ აზრებს ადექი, თუმცა სხვა-ნაირად კი შეტრიალდა ყველაფერი. ოპ, ნეტამც ოდესმე მოგვეცეს საშუალება დავტკბეთ რომელიმე სახელმწიფო წყობით და სჯა-ბაასის დროს გავარჩიოთ მხოლოდ ჩვენი შფოთი და წუხილი.

3. რაც შეეხება შენს საქმეებს, მერწმუნე, თუ არ სახელმწიფოს დაღუპვისა, ნურაფრისა ნუ გეშინია. რაც შეეხება მე — ისე იგულვე, რომ შეძლებისდაგვარად მზადა ვარ დიდზე დიდი თავგამოდებით ხელი შევუწყო შენი და შენი შვილების კეთილად ყოფნას. კარგად მენახე.

სერვიუს სულაციუსს რუფუსს, აქაიის პროკონსულიუსი.

ასტურის მამული, 45 წ.

მარკუს ციცერონი სალამს უთვლის სერვიუს სულაციუსს.

1. პოი, სერვიუს, ამ ჩემს დიდზე დიდი უბედურების დროს მეც მინდა, როგორც იწერები, აქ იყო¹. რაოდენ შეგეძლო შენი აქ ყოფნით ჩემთვის გეშველა, ნუგეში გეცა თუ ჩემებრ გენადვლა, მაშინ დავრწმუნდი, როცა შენი წერილი წავიკითხე და ცოტაოდენი შვება ვიგრძენი. შენც ხომ სწორედ ის მომწერე, მწუნხარებას რომ შემიმსუბუქებდა და შენს არანაკლებ ჭმუნვას გაამჟღავნებდა. იმ სამსახურმა, შენმა სერვიუსმაც რომ გამიწია ვითარების შესაბამისად, დასტურჰყო, თუ რაოდენ მაფასებს მე და შენც. რაოდენ გაამებოდა ალბათ მისი ჩემდამი ეს სიკეთე. მართალია, მისი სამსახური მე მუდამ სიამებს მგვრიდა, მაგრამ ესოდენ სასიამოვნო არასოდეს არ ყოფილა.

ჩემთვის ნუგეშს არა მარტო შენი სიტყვები და ჩემი მწუნხარების გაზიარება წარმოადგენს, არამედ ავტორიტეტიც. მე ხომ სირცხვილად მიმაჩნია ჩემი უბედურება ისე არ ავიტანო, როგორც შენ, ეგზომი სიბრძნით

¹ ციცერონს გარდაეცვალა თავისი ასული, ტულია.

დაჯილდოებული, სცნობ საჭიროდ. მაგრამ მე ხშირად მჯაბნის დარდი, ვინაიდან არ მაქვს ის ნუგეში, ჩემივე ბედის წილხვედრით რომ გააჩნდათ, ვისი მაგალითიც ხშირად მომყავს ჩემი თავისთვის. დაკარგა კონსულარი ვაჟი კვინტუს მაქსიმუსმა, დიდებული ვაჟკაცი და მრავალ და მრავალ გმირობათა ჩამდენი, შვიდ დღეში გამოეცალა ხელიდან ორი შვილი ლუციუსს პაულუსს, დაეღუპა ვაჟი თქვენს გალსაც და მარკუს კატონსაც, დიდი ჭკუა-გონებისა და სიქველის მქონე. მაგრამ ისინი ხომ ცნოვრობდნენ ისეთ ხანაში, როცა მათ მწუნხარებას მაღამოს სცხებდა ის ღირსებანი, სახელმწიფო მოღვაწეობის წყალობით რომ ენიჭებოდათ.

2. მე კი, იმ პატივის ნიშანთა დაკარგვის შემდეგ, უდიდესი შრომით რომ მომიხვეჭია, ეს ერთი ნუგეშია დამრჩენოდა და ისიც წამერთვა. აღარც მეგობართა და აღარც სახელმწიფოს საქმეებისკენ ჰქროდა ჩემი აზრი და ფიქრი; არც მქონდა ხალისი რამე მოემეოქმედა ფორუმზე; არც მინდოდა კურიოსაკენ ცქერა; მე ვთვლიდი და ასეც იყო — რომ მე დაკარგე ყველა ნაყოფი ჩემი შრომისა და ბედის წყალობის. მაგრამ როცა ვფიქრობდი, რომ ეს საერთო მაქვს როგორც შენთან, ისე ზოგიერთებთან, როცა ჩემს თავს ვებრძოდი და ვაიძულებდი მოთმინებით ამეტანა ეს ყოველივე, მე მქონდა კუთხე, სად შემეძლო მეძია თავშესაფარი, სად მეპოვა ნუგეში, ვისთან ტკბილი საუბრით განმეფანტა დარდი და ტანჯვა. ახლა კი, ამ მძიმე ჭრილობასთან სხვა იარებმაც იჩინა თავი, მე რომ დიდი ხნის მოშუშებული მეგონა. ვინაიდან სახელმწიფო საქმეებით დამწუნხრებულს მე თუ სახლი მაძლევდა ნუგეშს, ახლა ჭმუნვით მოსილი სახელმწიფოს ვერ მივაშურებ, რა არის მისმა კეთილდღეობამ დარდი გამიქარგოს. ამიტომაც აღარ მივდივარ აღარც სახლში და აღარც ფორუმზე, რამეთუ არც სახლი მიქარწყლებს იმ მწუნხარებას, სახელმწიფო რომ იწვევს ჩემში და ვეღარც სახელმწიფო მაძლევს ნუგეშს ჩემს საკუთარ უბედურებაში.

3. ამიტომ უფრო მეტად ველი და ვესწრაფები შენს ნახვას; სხვა ისე არაფერი მომგვრის შვებას, ვინემ ჩვენი სიხალისისა და სჯაბაასის განახლება. თუმც იმედი კი მქონდა, რომ მალე ჩამოხვიდოდო; აკი ასეც მოვკარი ყური. მე, ჩემი მხრივ, ძალიან მინდა რაც შეიძლება მალე გიხილო — როგორც სხვა მრავალ მიზეზის გამო, ისე იმიტომ, რომ წინასწარ მოვიფიქროთ და მოვითათბიროთ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ ამჟამად, როცა ყველაფერში უნდა შევეწყოთ და შევეგუოთ იმ

ერთის 1 ნებას, ვინც გამჭრიახი, კეთილშობილი არის, მგონი, ჩემი გარკვევით, ჩემდამი არამტრულად განწყობილი, შენი კი საუკეთესო მეგობარი. თუმცა ასე კია, მაგრამ მაინც გულდაგულ გვმართებს მოვიფიქროთ, რა გზა ვირჩიოთ — არა იმიტომ, რაღაც ვქნათ და ვიმოქმედოთ, არამედ მშვიდად ვიცხოვროთ მისი ნებითა და მისი წყალობით.

ლუციუს ლუკციუსი ციცერონს,
ასტურიის მამულში.
რომი, 9 მაისი. 45 წ.

ლუციუს ლუკციუსი, ძე კვინტუსისა, მიესალმება მარკუს ტულიუს ციცერონს, ძეს მარკუსისას.

1. თუ ჯანზე მეგულვი, კარგია. მე, როგორც ყოველთვის, კარგად ვარ, თუმცა ცოტა უარესად, ვინემ ყოველთვის. მე ხშირად მქონია სურვილი შენი ნახვისა. ჩემი წასვლის შემდეგ რომში რომ არ ყოფილხარ, გამკვირვებია; მიკვირს ახლაც კი. მაინც ვერ გამიგია, მანდ რა გაკაგებს და აქ რად არ ჩამოდიხარ. თუ განმარტობა ამოა შენთვის, რამეთუ სწერ და იმას იქმ, რასაც მუდამ ხარ მიჩვეული — მიხარია და აღარ გაგაკაცხავ. აბა რა არის ამაზე კარგი არათუ ამჟამინდელ უბედურსა და სამწუხარო, არამედ მშვიდ და სანუკვარ ვითარების უამსაც. მეტადრე შენისთანა ჭკუის კაცისთვის, ვინც, ეგზომ გადაღლილი დიდი საქმეების შემდეგ, დასვენებას საჭიროებს ან, ეგზომ განსწავლული, მუდამ რაღაცის შექმნისთვის იღწვის.

2. ხოლო თუ შენ, როგორც ამბობ, ცრემლსა და დარღს მიეც თავი², მეც მწუხარება მეუფლება. და არ შეიძლება არ გისაყვედურო, თუ მომცემ ნებას თავისუფლად გითხრა, რასაც ვფიქრობ. როგორ, მხოლოდ შენ ერთი ვერ ხედავ იმას, რაც ცხადია? შენ, ვისი გამჭრიახი თვალი ყოველივე იდუმალსა სჭვრეტს? შენ ვერ ხვდები, რომ ყოველდღიური ვაება და მოთქმა არას გარგებს? შენ ვერ ხვდები, რომ ორკეცდება შფოთი და დარდი, რის შემსუბუქებასაც კეთილგონიერება გთხოვს?

3. და თუ ვერ შევძელ ჩემი რჩევით გარგო რამე, ჩემს მუდარას და გავლენას მოვიშველიებ — უკეთუ რამედ გიღირვარ, მოიშორე ეგ მწუხარება და დაუბრუნდი ჩვეულებრივ ცხოვრებას, თუ ჩვენს საერთო ადაჩჩვევებს არა, პირადად თვითონ რასაც ხარ მიჩვეული და რაც გსიამოვნებს. მე არ მინდა თავი შეგაწყინო, მაგრამ მინდა გაგიბნო ფი-

ქრები, რათა არ განვიმტკიცდეს ეგ განწყობა. ახლა მე მაწუხებს ეს ორი სულ სხვადასხვა გარემოება; ერთში, გეთაყვა, დამიჯერე შეძლებისდაგვარად, მეორეში კი არ შეცდვკარგად მენახვ.

ლუციუს ლუკციუსს, რომში.
ასტურიის მამული, 45 წ.

1. მთელი შენი კეთილგანწყობა ჩემდამი ყოველ მხრივ დასტურმიყო იმ წერილმა, ამას წინაზე რომ მივიღე შენგან. მართალია, აქამდეც კარგად ვიცოდი ეს ამბავი, მაგრამ მაინც გულს მომეფონა. ვიტყვოდი კიდევ, გამახარა-მეთქი, თუ რომ სამუდამოდ არ დამკარგოდა ეს სიტყვა — არა მართლ იმ მიზეზით, შენ რომ ეჭვობ და უსათუთესი სიტყვებით მისაყვედურებ, არამედ იმიტომ, რომ ესოდენ დიდი იარისათვის არ არსებობს არა წამალი².

2. აბა რა ვქნა? ვეძიო თავშესაფარი მეგობრებთან? განა რა იმდენი კი მყავს ისინი? ჩვენ ხომ საერთო მეგობრები გვყავდა, რომელთაგან ნაწილი დაეცა და ნაწილს რატომღაც გული გაუქვავდა. შენთან მე მართლა კი ვიცხოვრებდი და ძალიანაც მინდა ვიცხოვრო: დიდი ხნის მეგობრობა, სიამტკბილობა, მიჩვევა, ერთნაირი საქმიანობა — რა აკლია ჩვენს სიანლოვეს? მაშასადამე, შეკვიძლია ერთად ვიყოთ? გეფიცები, ვერ გამიგია, რა გვიშლის ხელს. მაგრამ ასეა თუ ისე, დღემდე ერთად არ ვყოფილვართ, თუმცაღა მეზობლები კი ვართ ტუსკულუმისა თუ პუტეოლის მამულებით. „რომში-მეთქი“, განა შემიძლია ვთქვა, სადაც მეზობლობა არცაა საჭირო, რახან ფორუმი საერთოა?

3. მაგრამ არ ვიცი, რა განგებით და — ჩვენი საუკუნე ისეთ დროს თანხვდა, რომ სწორედ მაშინ, როცა გაფურჩქვნის ხანი დაგვიდგა, პირში რომ სული გვიდგას, ისიც გვრცხვენია. მართლაც რა უნდა ყოფილიყო ჩემი თავშესაფარი, ვისაც წაართვეს სახლი, ფორუმზე პატივის ნიშნები და ნუგეში? ლიტერატურა, მწამს მე, და კიდევ მუყაითად ვიღწვი. მართლაც სხვა რა შემიძლია? მაგრამ — არ ვიცი, რატომ და — არც იგი მაძლევს ნავსაყუდელსა და თავშესაფარს, თითქოს მაყვედრის, რომ შევრჩი ამ ცხოვრებას, სადაც უბადრუკად უნდა ვაჩანჩალო ის დღეები, რაც დამრჩენია.

4. განა შენ ვიკვირს, რომ მე არ ვარ იმ

¹ იულიუს კეისარი.

² იგულისხმება ციცერონის ასულის, ტულიას სიკვდილი.

ქალაქში, სადაც ეგზომ ძლიერია სიძულვილი გარემოების, ხალხის, ფორუმის, კურიების მიმართ და სადაც არც სახლს ძალუბს მომანიჭოს სიამოვნება? ამიტომაც მოვიკიდე ლიტერატურას ხელი და ვახარჯებ მთელ დროს არა იმიტომ, რომ მიმკურნალოს, არამედ ცოტაოდენ მაინც გადამყაროს დარდი და ჭმუნვა.

5. თუ რომ მე და შენ ის გვემოქმედა, რაიც ყოველდღიური შიშისა და საფრთხის წყალობით არ გვიფიქრია, მაშინ ჩვენ მთელი ეს ხანი ერთად ვიქნებოდით, ისე რომ არც მე შემაწუხებდა შენი კარგად ყოფნის ამბავი და არც შენ ჩემი დარდი. რამდენადაც ეს შეიძლება, განვახორციელოთ იგი. მართლაც, რა უფრო შეგვფერის ჩვენ ორივეს? მაშასადამე, მალე გინილაგ.

წერილები იულიუს კეისრის სიკვდილის შემდგომ ხანისა

ტიტუს კომაონიუს ატიკუსს, რომში.

კუტიოლის მამული, 44 წ.

1. ეს რა მოხდა? ჩემმა და შენმა ბრუტუსმა ეს განა იმიტომ მოიმოქმედა¹, რომ ლანუკიაში ამოეყო თავი, რომ ტრებონიუსი შემოსავლელი გზებით პროვინციაში გაქცეულიყო, რომ ყოველივე ნამოქმედარს, ნათქვამს, შენაპირებს თუ ჩანაფიქრს კეისრისას უფრო მეტი ძალა ჰქონოდა, ვინემ ცოცხალი რომ ყოფილიყო? გახსოვს, მე რომ ვყვიროდი იმ პირველ დღეს კაპიტოლიუმზე, სენატი პრეტორებმა უნდა მოიწვიონ-მეთქი. ღმერთნო უკვდავნო! რის გაკეთება არ შეიძლებოდა მაშინ, როცა ყველა პატიოსანი კაცი გახარებული იყო, ყაჩაღები² კი მოკაკულნი. შენ ლიბერალიას ამტყუნებ. რა მოხდებოდა კი მაშინ? არა, ჩვენ დიდი ხანია დაღუპულნი ვართ. გახსოვს, შენ რომ ყვიროდი, დავილუბეთ, თუკი იმას³ დაკრძალვა მოუწყვესო. ის კი დაწვეს ფორუმზე და დიდებითაც შეამკეს, ხოლო მონანი და გლახაკნი ჩირაღდნებით მოუსიეს ჩვენ სახლებს. მერე კი? ისიც გაბედეს ეთქვათ: „მაშ შენ კეისრის წინააღმდეგ ხარ?“ მე არ ძალმიძს არც ამის და არც დანარჩენი ამბების ატანა⁴...

¹ იგულისხმება იულიუს კეისრის მოკვლა.
² იგულისხმება კეისრის მომხრეები.
³ იულიუს კეისარი.
⁴ ეს წერილი და მისი მომდევნო იბეჭდება შემოკლებით.

ტიტუს კომაონიუს ატიკუსს, რომში.

კუტიოლის მამული, 44 წ.

1. ოჰ, ჩემო ატიკუს! ვშიშობ, რომ მარტის იღებს სხვა არა მოუტანია რა ჩვენთვის, გარდა იმისა, რომ შური ვიძიეთ სირცხვილისა თუ მწუნარებისთვის. ეს რა ამბები მომდის თქვენგან! რას ვხედავ აქ! ჰოი, დიდებულო, მაგრამ არდასრულებულს საქმე!

2. ოქტავიანე დიდი პატივისცემით და მეგობრულად მექცევა აქა. მისიანები ისე მიესალმნენ, ვით კეისარს. ფილიპე — არა. არც მე მივსალმებივარ აგრე რიგად; ჩემი აზრით, პატიოსანი მოქალაქე არამც და არამც არ შეიძლება იგი იყოს. ჰოი, რამდენია ჩემ ირგვლივ, რომ ჩვენიანებს⁵ სიკვდილით ემუქრებიან; ამბობენ, ამის მოთმენა არ იქნებაო. როგორ გგონია, რა მოხდება, ყმაწვილი⁶ რომ რომში ჩამოვა, სადაც ჩვენს მხსნელთ საფრთხე მოელით? თუმცა ნიადაგ დიდებული იქნებიან ისინი, თავიანთი სამართლიანი საქციელის შეგნება კი ბედნიერთ განდით. ოღონდ ჩვენ კი, თუ არ ვცდები, დავმარცხდით: ამიტომაც მინდა იქ გავემგზავრო, „სადაც ძენი პელოპესი...“ როგორც არის ნათქვამი⁷. არა, არ მიყვარს არც ეს ახლად არჩეულნი. მეც მაიძულეს სიტყვა წარმომეთქვა, ისე რომ ამ სანაპიროზე ჩემთვის მოსვენება აღარაა. რა ვქნა, მეტიმეტად დამყოლი ვარ. მაგრამ ეს ხომ ოდესღაც აუცილებელი იყო; ახლა ასე არაა...

3. რა ხანია არაფერი მაქვს შენთან მოსაწერი! მაგრამ მაინც გწერ, არა იმიტომ, გასიამოვნო ამ წერილით, არამედ შენ რომ გამოგტყუო სამაგიერო. შენ კი მომწერე, თუ სხვა ამბები რამე მოხდა, ბრუტუსზე კი უეჭველად ყველაფერი გამაგებინე. ვწერ ამას კალენდებამდე ცხრა დღით ადრე. ამჟამად მხართემოზე ვარ წამოწოლილი ვეტორიუსთან, ვინც შორს გახლავთ დიალექტიკიდან, არითმეტიკაში კი ფრიად გამოცდილი კაცი ბრძანდება.

გაიუს კასიუს ლონგინუსს, სამხრეთ იტალიაში.

რომი, ოქტომბრის დამდეგი, 44 წ.

მარკუს ტულიუს ციცერონის დიდი სალამი და მოკითხვა გაიუს კასიუსს.

1. შენი მეგობარი დღითიდღე უფრო ბო-

⁵ კეისრის წინააღმდეგ შეთქმულნი.

⁶ ოქტავიანე.

⁷ ევრიპიდე, „ელექტრა“. ბერძნულ ტრაგედიის მიხედვით პელოპეს გვარი დაწყველილია.

ბოქარი და მძვინვარე ხდება¹. პირველ ყოვლისა, როსტრაზე მის მიერ დადგმულ ქანდაკებას² ეს წააწერა: „მამას დიად საქმეთა გამო“. ისე რომ ახლა არათუ მკვლელებად, მამის მკვლელებადაც მოინათლებით³. თუმც რატომ ვამბობ, „მოინათლებით“, როცა მოვინათლებით-მეთქი, უნდა მეთქვა. ხომ ამბობს კიდევ „ბობოქარი“¹, რომ მე ვიყავი თქვენი დიდებული საქმის მოთავე. ოჰ, ნეტავ მართლა ვყოფილიყავ! მაშინ ხომ ამდენ უსიამოვნებას ვეღარ მოგვაყენებდა⁴. მაგრამ რაღაი გვიანია, მინდა ახლა მაინც გირჩიოთ რამე. მაგრამ ისიც რომ აღარ ვიცი, მე თვითონაც რა გზას დავადგე. განა ძალადობას რით მიაგებ სამაგიეროს, თუ არ ძალადობითვე?

2. მაგრამ მთელი მათი ზრახვა ხომ ის არის, კეისრის სიკვდილის გამო იძიონ შური. ამიტომაც ოქტომბრის ნონებამდე ხუთი დღით ადრე, როცა კანუნიციუსმა კრებაზე იგი¹, სიტყვის სათქმელად გამოიყვანა, მართალია, დიდად თავშერცხვენილი კი წავიდა, მაგრამ სამშობლოს მხსნელებზე მაინც მოახერხა იმის თქმა, რაიც მოღალატეებზე უფრო ითქმოდა, ჩემზე კი უყოყმანოდ განაცხადა, რომ თქვენც ჩემი რჩევით მოიმოქმედეთ ეს ამბავი და კანუნიციუსიც ჩემი რჩევით იქცევა ახლაც² სხვა დანარჩენზე იმით იმსჯელე, რომ შენს ლეგატს გზის ფული წაართვეს. როგორ გგონია, რითი ახსნეს თავიანთი საქციელი? ესო მტრისათვის მიჰქონდაო. ვაი ჩვენი ბრალი! ბატონი ჩვენ ვერ ავიტანეთ, მის მონა-ამხანაგს¹ კი ვემონებით. და მაინც — თუმც სურვილი უფრო მეტი მაქვს, ვინემ იმედი — ახლაც კი შენს სიქველესა და ვაჟკაცობაზე ვამყარებ ყველაფერს. მაგრამ სადაა ძალა? რაც შეეხება დანარჩენს, მირჩევია, ჩემს ნათქვამზე მეტად საკუთარ გულისხმას უსმინო... კარგად მენახე.

**დეციმუს იუნიუს ბრუტუს ალბინას,
იმიერბალიის პროვინციაში
რომი, 44 წ.**

მარკუს ციცერონი სალამს უთვლის კონსულად არჩეულ იმპერატორ ბრუტუსს.

1. მაშინ როცა ჩვენი ახლო მეგობარი

¹ ანტონიუსი.

² იულიუს კეისრის ქანდაკება.

³ გაიუს კასიუსი და მარკუს ბრუტუსი იყვნენ კეისრის მოკვლის შეთქმულების მეთაურნი.

⁴ ციცერონი კეისრის მოკვლის შემდეგ ანტონიუსის მოკვლის მომხრეც იყო.

ლუპუსი, შენგან ჩამოსული, რამდენიმე დღე რომში დარჩა, მე იქ ვიყავი, სადაც, ჩემი აზრით, საფრთხე ნაკლები მელოდა. ამიტომაც ჩემი წერილის გარეშე მოემგზავრება შენთან, თუმცაღა მაინც მოახერხა შენი წერილი ჩემთვის გადმოეცა. რომში მე ჩამოვედი დეკემბრის იღებამდე ოთხი დღით ადრე და უპირველეს ყოვლისა პანსი მოვინახულე, ვისგანაც შევიტყვე, რის შეტყობაც ყველაზე მეტად მეწადა შენზე. ამიტომაც აღარ გჭირდება სხვისი რჩევა-დარიგებანი, როგორც არ გჭირდებოდა მაშინ, როცა ის საქმე მოიმოქმედე, ადამიანთა ხსოვნას რომ მასზე დიდი არაფერი შემოუნახავს⁵.

2. მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, ერთი რამ უნდა აღვნიშნო მოკლედ: რომაელი ხალხი ყოველივეს შენგან მოელის და შენზე ამყარებს ყველა იმედს მომავალში თავისუფლების აღორძინებისა. უკეთუ შენ არც დღე, არც ღამე არ დაივიწყებ, რა დიდი საქმე მოიმოქმედე, ცხადია, არც იმას დაივიწყებ, რა დიდი საქმენი გაქვს კვლავაც მოსამოქმედი. თუკი პროვინციას ის ჩაიგდებს ხელში, ვისი მეგობარიც მე მუდამ ვიყავ, ვინემ არ მივხვდი, რომ იგი სიხარულით ომობს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვატყობ, მაშინ ხსნის იმედიც გადაგვიწყდება.

3. ამიტომაც გაფიცებ და გეაჯები, როგორც აფიცებს ხოლმე სენატი და რომაელი ხალხი — რომ სამუდამოდ იხსნა სახელმწიფო მეფეთა ბატონობისაგან და დასასრულიც დასაწყისის საკადრისი ჰქმნა. ეს შენი ამოცანაა, შენი ხვედრი. სახელმწიფო ანუ, უკეთ, მთელი ტომები არათუ მოელიან ამას შენგან, კიდევ ითხოვენ, თუმცა, როგორც თავში მოგწერე, შენ ჩემი რჩევა არ გჭირდება და ამიტომაც ბევრ სიტყვასაც აღარ დავხარჯავ. ვიქმ იმას, რაც ვალად მმართვეს — შეგპირდები ჩემს სამსახურს, თავდადებას, ზრუნვას, ფიქრს, რასაც შენი ქება-დიდებასთვის ექნება მნიშვნელობა. ამიტომ დარწმუნებული იყავ, როგორც სახელმწიფოს გულისთვის, მე რომ სიცოცხლეს მირჩევნია, ისე შენთვის, ვისი ერთგულიც ვარ, ვისი ღირსების განდიდებაც მინდა, ჩემს ხელშეწყობას არ მოვაკლებ შენს უსპეტაკეს ზრახვებს, მაღალ წოდებასა და დიდებას.

**მარკუს იუნიუს ბრუტუსი ციცერონს,
რომი, მაკედონიის ბანაკი, 43 წ.**

ბრუტუსი მიესალმება ციცერონს.

1. მე წავიკითხე ნაწყვეტი იმ წერილისა, შენ რომ ოქტავიანეს გაუგზავნე, ატიკუსმა კი

⁵ იგულისხმება იულიუს კეისრის მოკვლა.

მე გადმომიგზავნა. შენს ერთგულებასა და ჩემზე ზრუნვას ჩემთვის ახალი სიამოვნება არ მოუგვრია. ყოველდღე მესმის შენს თაობაზე ის, რაც შენ ჩემი ღირსების დასაცავად ვითქვამს და ვიმოქმედია. მაგრამ წერილის იმ ნაწილმა, სადაც ჩემზე ოქტავიანეს სწერ, დიდი ჭმუნვა მაგრძნობინა. შენ ხომ ისეთ მადლობას უხდი სახელმწიფოს სახელით, ისე მორჩილად და თავმოდრეკილად ანდობ ჩვენს ხსნას (აბა რომელ სიკვდილზე უარესი არაა იგი?), რომ ნათლად ამულავნებ, ბატონობა კი არ მოისპო, ბატონი გამოგვეცვალა მხოლოდ. გაიხსენე შენი სიტყვები და გაბედულე თქვა, რომ ამას მონა არ შესთხოვს ბატონს. შენი სიტყვებით გამოდის, რომ მას ეაჯებიან და მისგან ელიან მხოლოდ ერთს— თანხმობას იმაზე, რომ ხელი არ ახლოს იმ მოქალაქეთ, ვისზეც ქველნი ვაუკაცნი და ხალხი რომისა ეგზომ დიდი აზრისაა. როგორ, თუ მან არ ინება, ჩვენ არ უნდა ვიყოთ? მაშ სჯობს არ ვიყოთ, ვინემ მისი თანხმობით ვიყოთ.

2. ვფიცავ ერთგულების ღმერთს, არა მგონია, ღმერთები ისე შემოსწყრომოდნენ რომის ხალხის ხსნას, რომ საჭირო იყოს ოქტავიანეს შევევდროთ რომელიმე მოქალაქის, აღარ ვიტყვი — მთელი ქვეყნის განმათავისუფლებლების, ხელუყოფლობას. მჭევრმეტყველება საამო და, ყოველ შემთხვევაში, მართებულია უმეცართა და უცოდინართ წინაშე,—თუ რისი უნდა გეშინოდეს ერთის გამო ან რა შესთხოვო მეორეს. შენ მიგაჩნია, ციცერონო, ოქტავიანეს ეს ძალუძს და მეგობრად უდგები ამიტომ? ან იქნებ მიზეზი ისაა, რომ მე შენთვის ძვირფასი ვარ და გინდა რომში მიხილოს ხალხმა, თუმცა იცი, მე რომ იქ ყოფნა შემეძლოს, ჩემი ბედი ამ ყმაწვილს¹ უნდა ჩაუგდო ხელში. რად უხდი მადლობას, თუკი საჭიროდ სცნობ ჩვენი ხელუყოფლობისათვის მისი თანხმობა ითხოვო? ან იქნებ წყალობად უნდა ჩავთვალოთ ის ამბავი, რომ მან ამჯობინა თვითონ იყოს და არა ანტონიუსი ის კაცი, ვისაც ეს სთხოვონ? აბა ვის შეეხვეწებიან უვნებლად დატოვოს სახელმწიფოს წინაშე დიდად ღვაწლმოსილნი, სხვისი ბატონობისაგან განმათავისუფლებულს თუ მემკვიდრეს?

3. მაგრამ თქვენმა სიჯაბანემ და უსახობამ, თუმცა ამაში შენ სხვებზე მეტი ბრალი არ გიძღვის, შთაუნერგა კეისარს სამეფო ხელისუფლებისკენ ეგზომი ლტოლვა, მისი სიკვდილის შემდეგ კი შეაგულიანა ანტონიუსი მოკლულის ადგილი დაეჭირა, ახლა კი ისე განაღიდა და ცაში აიყვანა ყმაწვილი¹, რომ შენ გგონია, ჩვენი თანა მოქალაქეთა ხსნა

სვეწნა-ვედრებით უნდა გამოითხოვოს კაცმა, რომ თუ ჩვენ გადავრჩით, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ გულმოწყალება იქნება ერთისა, ისიც არა მოწიფულისა¹. ჩვენ რომ ვვხსომებოდა, რომაელები ვართო, ბატონობისაკენ ლტოლვა არ იქნებოდა ჩვენს წინააღმდეგობაზე უფრო ძლიერი და კეისარის მეფური ძალაუფლება უფრო ნაკლებ წააქეზებდა და ამხედრებდა ანტონიუსს, ვინემ მისი სიკვდილი შეაშინებდა.

4. შენ კი, კონსულიარო და სასჯელის მიმგებო ეგზომ მიმიე დანაშაულთა გამო — ვაითუ მათი აღკვეთით შენ მხოლოდ მცირე ხნით გადადე დაღუპვის ვადა—როგორ შეგიძლია მოითმინო საქმის ასეთი ვითარება ეგზომ იოლად და მორჩილად, რომ ისეთ კაცს ჰგავდე, ვინც იწონებს ამას? მაგრამ რა პირადი მტრობა გქონდა შენ ანტონიუსთან? რასაკვირველია, შენ საჭიროდ სცან იარაღი აგელო ხელში, რა არის მისთვის ბატონობა აღგვეკვეთა, რამეთუ იმან მოითხოვა, რომ ჩვენ, ვისი ხელითაც თვითონ მიიღო თავისუფლება, მისი წყალობით ხელუყოფელნი დავრჩენილიყავით, რომ მას გადაეწყვიტა სახელმწიფო წყობის საკითხი. მაშასადამე, ოღონდაც იმას არ მივცეთ ნება, ჩვენ ვთხოვთ ახლა სხვას¹ უფლება დაგვრთოს მის ადგილზე დავაყენოთ — რადი სახელმწიფო თვითონ არ არის თავისი თავის ბატონ-ბატრონი და ჩვენც შემთხვევით მონობა კი არა, მონობის პირობები უკუგვიგდია. მაგრამ ჩვენ ხომ კეთილი ბატონის ანტონიუსის ხელში არათუ ბუდის მოთმინებით ატანა, მონაწილეთა კვალობაზე ყველანაირი წყალობითა და პატივით დატკობაც შეგვეძლო. მართლაცდა რაზე უტყოდა უარს იგი იმათ, ვისი მოთმინებაც მისი ხელმწიფობის უდიდეს ბურჯად გამოდგებოდა? მაგრამ ჩვენ არ გვეგულვის ქვეყნად არა საუნჯე, რომლის ფასადაც გავყიდდით ერთგულებასა და თავისუფლებას.

5. რაც შეეხება მაგ ყმაწვილს¹, ვისაც კეისარის სახელი, როგორც ეტყობა, კეისარის მკვლელთა წინააღმდეგ აგულიანებს, უკეთუ აქვს გარიგების საშუალება, რა მნიშვნელობა ექნება მისთვის, ჩვენ რომ მრჩევლებად ვეყოლოთ და ჰქონდეს ძალა, რახან ჩვენ გვინდა სიცოცხლე, გვინდა ქონება და კონსულიარების სახელი? თუმცა ამაოდ ხომ არ დაიღუპა იგი², ვისმა დაღუპვამაც ჩვენ გავგახარა, თუკი მისი სიკვდილის მიუხედავად მაინც მონებად უნდა დავრჩეთ. სხვებს, მართალია, ეს არ ადარდებთ, მაგრამ მე კი დაუღმერთებმა და ქალღმერთებმა ყველაფერი წამარ-

¹ ოქტავიანე

² იულიუს კეისარი.

თვან და დამაკარგვინონ, ვინემ არათუ მის მემკვიდრეს, მე რომ მოვკალი, მივცე იმის ნება, რაიც ამ უკანასკნელს არ მივეცი, არამედ ჩემი საკუთარი მამა, კიდევ რომ გაცოცხლდეს, ჩემი დასტურით კანონებსა და სენატზე ვამძღავრო. ან იქნებ მართლა გგონია, რომ სხვები იგემებენ თავისუფლებას იმის¹ ხელში, ვისი ნების გარეშეც ჩვენთვის ამ სახელმწიფოში ადგილი არ მოიძებნება. ან მიაღწევ კი იმას, რისკენაც ილტვი? შენ ხომ თანხმობას ითხოვ მისას, ჩვენ ხელუყოფელნი რომ დაგვტოვოს, მაშასადამე, შენ გგონია, თუ სიცოცხლე გვარგუნეს, ხელუყოფლობასაც გვარგუნებენ? მაგრამ როგორ უნდა ვირგუნოთ, უკეთუ ჯერ ღირსებასა და თავისუფლებას გვიწევს უარის თქმა.

6. ან იქნებ გგონია, რომ რომში ცხოვრება ხელუყოფლობას ნიშნავს? ვითარებამ და არა ადგილმა უნდა უზრუნველჰყოს იგი. მე კეისრის სიცოცხლეშიც ხელუყოფელი ვიყავ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის საქმე მოვიმოქმედე და არ შეიძლება გაძევებული მერქვას, ვინემ მონობა და მორჩილება უპატიოსნებისა უფრო მეტად მეძულება ბოროტების ყველა სახეობას შორის. ვანა იგივე წყვილიაღში მონვედრა არაა, როცა ტირანის სახელის მიმთვისებელს¹ ეხვეწებიან, ბატონობისგან განმათავისუფლებელნი და მისი მომსპობნი ხელუყოფლად დატოვეო? ანკი უნდა მეწადოს იმ სახელმწიფოს ხილვა და ანკი სახელმწიფოდ ჩავთვალო იგი, ვისაც არ ძალუძს გინდაც თავსმოხვეული თავისუფლება დაიბრუნოს, ვისაც ყველაზე მეტად გზიდან ჩამოცილებული მეფის სახელი აფრთხობს, თუმცაღა თავისი თვალთ იხილა, რომ უდიდეს საშუალებათა მპყრობელიც კი გზიდან ჩამოაცილა რამოდენიმეთა სიქველემ? ისე რომ ამას იქით ნულა მიანდობ ჩემს ბედს მაგ შენს კეისარს და ნურც შენს თავს, თუ დამიჯერებ. შენ მეტისმეტად ძვირად აფასებ იმ წელთა რაოდენობას, რაიც ასაკის მიხედვით დაგრჩენია, თუკი ამ მიზეზით აპირებ მაგ შენს ყმაწვილს შეემუდარო.

7. ისიც იცოდე, რაც ასე დიდებულად გააკეთე და ახლაც აკეთებ ანტონიუსის წინააღმდეგ, ვაითუ შეიცვალოს და შენი ნაქები სულის სიმხნევე შიშად მოინათლოს: შენ თუ მოგწონს ოქტავიანე და საჭიროდ სცნობ მას გამოთხოვო ჩვენი ხელუყოფლობა, იხე არ გამოჩნდეს, რომ ბატონს კი არ გაექეცი, უფრო მწყალობელ ბატონს ეძებდი. ხოტბას რომ ასხამ იმის გამო, რაც აქამდე მოიმოქმედა, დიანაც მომწონს და საქებრადაც მიმაჩნია, უკეთუ ის საქმენი თავისი გამლიგ-

რებისათვის კი არა, სხვისი² ძლიერების წინააღმდეგ ჩაიდინა. მაგრამ რახან სცნობ, რომ იმას არათუ აქვს ამის უფლება, არამედ შენვე უნდა მიანიჭო ჩვენი ხელუყოფლობის მოთხოვნით, მეტისმეტ დიდ საზღაურს უნიშნავ და აზრად არ მოგდის შემდეგი: თუ ოქტავიანეს ეგების ასეთი პატივი, იმიტომ რომ ანტონიუსს ებრძვის, მაშ ამ ბოროტებას ვინც თავი მოკვეთა, იმათ სიკეთეს რომის ხალხი ვერასოდეს ვერ გადაიხდის.

8. ისიც ინიშნე, რამდენად უფრო ძლიერია ადამიანებზე ძალა შიშის, ვინემ ხსოვნისა: რახან ანტონიუსი ცოცხალია და იარაღს მოჰკიდა ხელი, ხოლო კეისრის მიმართ რაც უნდა მომხდარიყო, მოხდა და ამას ვერაფერი შეცვლის, მაშ ოქტავიანე ის კაცია, ვის მსჯავრსაც ჩვენზე გამოელის რომაელები, ჩვენ კი — ისინი, ვის ხელუყოფლობასაც, როგორც ჩანს, ამ კაცს შესთხოვენ. მე კი მანდ თქვენთან დაბრუნების თაობაზე არათუ მუდარას არ ვაპირებ, არამედ მზადა ვარ ავლაგმო ისინიც, ვინც მოითხოვენ, მემუდარეთო. ან არადა შორს გავეცლები ძლიერებებს და რომად შევრაცხ ყოველ ადგილს, სადაც ადამიანს შეუძლია თავისუფალი იყოს. თქვენ კი, ვისაც ვერც ასაკმა, ვერც პატივმა და ვერც სხვათა სიქველემ ვერ შეგიმცირათ ცხოვრების სიტკბოების განცდა, მხოლოდ შევიცოდებთ და შეგიბრალებთ.

9. ხოლო მე მაშინ ჩავთვლი თავს ბედნიერად, თუ ნიადაგ დარწმუნებული ვიქნები, რომ ჩემი ერთგულება სახელმწიფოს მიმართ დაფასებულია. ვანა რა სჯობია, როცა კმაყოფილი ხარ პატიოსანი საქმეებისა და თავისუფლების მოგონებით? მაგრამ, ასეა თუ ისე, მე არ დავნებლები დანებებულთ და ვერ მძლევს ისინი, ვისაც სწაღიათ დაძლეულ იყვნენ, გამოვცდი და ვსინჯავ ყოველივეს და არ დავაკლებ ცდას, ჩვენი თანამოქალაქენი მონობას განვარინო. თუკი გვეწია ბედი, ყველა გავინარებთ, არადა მე მაინც ვინარებ: ვანა მართლაც რას უნდა შევწირო ცხოვრება, თუ არა იმ საქმეთ და ზრახვათ, ჩემს თანამოქალაქეთა გასანთავისუფლებლად რომ არის მიმართული?

10. ვთხოვ და ვირჩევ, ციცერონო, ნუ დაიბეჩავებ თავს და ნუ დაკარგავ რწმენას; არსებულ უბედურებათა აცილებისას მუდამ გაარკვიე აგრეთვე მომავალიც, თუკი წინასწარ არ იყო ხმარებული ზომები იმ უბედურებათა არიდებისა, და ჩათვალე, რომ მამაცი და თავისუფალი სული, რის წყალობითაც შენი კონსულობის და ამჟამად კონსულიარობის ხანს ქომავად ედექ სახელმწიფოს,

¹ ოქტავიანე

² ანტონიუსი.

სამართლიანობისა და სიმტკიცის გარეშე არა-
რაობაა. მე ხომ ვიცი, რომ აშკარად ქმნილი
სიქველე მალულად ქმნილზე უფრო ძნელია.
ჩვენ პატიოსან საქმეთ ვითხოვთ, ვითარც მარ-
თებულსა და ჯეროვანს; რასაც დასასრული
სხვა აქვს, ჩვენ, მოტყუებულთა პირობაზე,
უსიამო გრძნობით გავკიცხავთ, ამიტომ, რო-
ცა ციცირონი წინააღმდეგობას უწევს ანტონი-
ნიუსს, არავის რჩება საკვირველად, რადგან
გვგონია, რომ ყოფილი კონსულის დამსახუ-
რება აღმატება ახლანდელ კონსულიარისას.

11. მაგრამ იგივე ციცირონი, უკეთუ თვის
მსჯავრს მიაქცევს სხვების წინააღმდეგ ისევე
მედგრად და დიდებულად, როგორც ანტონი-
უსის განსადევნად მოიმოქმედა, არათუ მო-
ინვეჭს დიდებას მომავლისას, დაჩრდილავს
კიდევ წარსულისას (მისდათავად დიდებული
ხომ არა არის გარდა იმისა, რაიც საყოველ-
თაო აზრით არის ბეჭედდასმული), ვინაიდან
არავის ისე არა ჰხამს უყვარდეს სახელმწიფო
და იყოს ქომაგი თავისუფლების თუ ჭკუით,
თუ საქმით, თუ თავდადებითა და საყოველ-
თაო დაუინებელი მოთხოვნით. ამიტომაც ოქ-
ტავიანეს კი არ უნდა შესთხოვო ჩვენი ხელ-
უყოფლობა, შენ თავს ჩაუნერგე ის ფიქრი,
რომ სახელმწიფო, სადაც შენ უდიადესი საქ-
მენი მოგიმოქმედა, თავისუფალი და პატივ-
დადებული იქნება, თუკი ხალხს ჰყავს წინა-
მძღოლი უპატიოთა ზრახვების ხელშესაშლე-
ლად.

გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანეს

ციცირონის სალამი ოქტავიანეს.

1. თუ რომ ჩემი სახელისა და რომის
ხალხისადმი მეტისმეტად მტრულად განწყო-
ბილ შენს ლეგიონებს ნება მოეცათ მე სე-
ნატში მოვსულიყავი და პირადად მემსჯელა
სახელმწიფოს მდგომარეობაზე, ამ ამბავს ხა-
ლისზე მეტად აუცილებლობა გამაკეთებინებ-
და, რადგან ყველაზე უფრო მტკივნეული მა-
ლამო ხომ ჭრილობაზე დადებული განმკურ-
ნავი და მომშუშებელი მალამოა. მაგრამ რა-
ღაი სენატს, შეიარაღებული კოჰორტებით
გარშემორტყმულს, არ ძალუძს გულწრფელად
მიიღოს სხვა რაიმე დადგენილება გარდა ში-
შით ნაკარნახევისა, — კაპიტოლიუმში დროშე-
ბია, რომში დაძრწიან ჯარისკაცები, ველად¹
ბანაკებია დაცემული, მთელი იტალია გადა-
თელილია ჩვენი დამონებისათვის შეგროვილ
და ჩამოყვანილ ლეგიონებით და უცხო ხალ-
ხთა მხედრობით — ამიტომ მე წავალ და
შენ დაგიტმობ ფორუმს, კურიასა და წმი-

¹ იგულისხმება მარსის ველი.

დათაწმიდა ტაძრებს, სადაც ერთი პირობა
თავისუფლებამ მკვდრეთით აღდგომა დააპირა
და ხელახლა ისევ მოსრულ იქნა, სადაც სე-
ნატი არაფერზე არ ბჭობს, ბევრის ეშინია და
ყველაფრის ხელშემწყობია.

2. მოკლე ხანში კი, რახან ვითარებამ ასე
ინდომა, დავუტევ რომსაც, რადგან ვერ შევძ-
ლებ დამონებულს მე მას ვუყურო. მე ხომ
იმისთვის ვინსენ იგი, თავისუფალი რომ ყო-
ფილიყო. დავუტევ ამ ჩემს სიცოცხლესაც,
შფოთით და მღელვარებით რომაა სავსე, მაგ-
რამ თუ იგი სახელმწიფოსათვის მაინც სარ-
გოა, მომავლის კეთილ იმედს მისახავს. ეს
რომ დავკარგო, უყოყმანოდ ხელს ავიღებ სი-
ცოცხლეზე, ოღონდ ისე კი, აშკარად ჩანდეს,
თითქოს ბედმა მიმტყუნა და არა სულის
სიმძნევემ. იმაზე კი, რამაც ამას წინ მწუხა-
რების გრძნობით აგვავესო, რაც წარმოადგენს
უსამართლობის საბუთს წარსულში, იმაზე
ვიტყვი, რომ არ დავაყოვნებ პასუხი მოგ-
თხოვო სახელმწიფოსა და ჩემი სახელით. რომ
ვამბობ „ჩემი სახელით-მეთქი“, ისე გამოდის,
თითქოს ჩემი გადარჩენა სარგო იყოს ან სა-
ხელმწიფოსათვის ან საერთო ხსნასთან ჰქონ-
დეს რამე კავშირი. მაგრამ ვფიცავარ უკვდავ
ღმერთთა ქომაგობას — თუკი ამოდ არ ვუბ-
ნობთ იმათ, ვინც აღარ გვაპყრობს ყურს
და ზურგი გვაქცია — ვფიცავარ რომაელთა
ფორტუნას, ახლა რომ გვმტრობს, მაგრამ
ერთ დროს კი გვწყალობდა და იმედი მაქვს,
კვლავაც გვიწყალობებს, ვინ არის ისეთი არა-
კაცი, ისეთი მტერი ამ ქალაქის სახელისა
და ადგილისა, რომ ან დამალოს ან არ იღარ-
დოს ან, თუკი სახელმწიფოს სნებათ ვერ
უმკურნალებს, სიკვდილის გზით მაინც არ
აიცილოს, რაც პირადად მას ემუქრება?

3. რომ ჩამოვყვეთ თავიდან ბოლომდე,
რომ უკანასკნელი ამბები პირველთ შევუდა-
როთ — განა გვქონია ისეთი დღე, წინა
დღეზე მწარე არ ყოფილიყო და ისეთი წამი,
წინა წამზე ვაგლახი არ გამომდგარიყო რომა-
ელთათვის? მას აქეთ, რაც ეგზომ მამაცუ-
რად, მაგრამ ეგზომ მცირედ საბედნიეროდ
მოვიშორეთ გაიუს კეისარი, რათა სახელმწი-
ფოზე აღარ ებატონა, მარკუს ანტონიუსმა,
ფრიად გულოვანმა ვაჟკაცმა (ნეტამც ზრახვა-
ნიც ასევე ბრძნული ჰქონოდა!) მოინდომა
პირველობა. უფრო მეფური, ვინემ თავისუ-
ფალ სახელმწიფოში მოითმინებოდა: იგი
ფლანგავდა სახელმწიფოს ფულებს, აცარი-
ელებდა ხაზინას, ამცირებდა ხარკს და ბეგა-
რას, ათავისუფლებდა ქალაქებს და ხალხებს
გადასახადებისაგან, ანხორციელებდა დიქ-
ტატურას, თავს გვახვევდა კანონებს, აბრკო-
ლებდა დიქტატორის დანიშვნას, თვითონ მე-

ფობდა კონსულობის უამს, მარტომ მოინდო-
მა ყველა პროვინციის ბატონპატრონობა. განა
ამ კაცის რა იმედი უნდა გვქონოდა?

4. გამოჩნდი შენ, ვით დამცველი ჩვენი
თავისუფლების, უპატიოსნესი, როგორც, ყო-
ველ შემთხვევაში, მაშინ გვეგონე—ოჰ, ნეტამც
არ გაგვცრუებოდა არც ჩვენ მოლოდინი და
არ შევეცდინეთ არც შენს ერთგულებას!—
ჰოდა, მოუყარე რა თავი ვეტერანებს და
უნამე რა ორ ლეგიონს სახელმწიფოს დაღუბ-
ვისაგან გადასარჩენად, მოულოდნელად გაგ-
ვიცოცხლე უკვე გამქრალი იმედები და ზე
წამოაყენე მიწასთან გასწორებული სახელმწი-
ფო. რა არ მოგცა და არ მოგანდო სენატმა,
ვიდრე შენ თვითონ მოითხოვდი,—განა იმა-
ზე მეტი არა, ვინემ გინდოდა და იმედი
გქონდა? მან მოგცა წკეპლები¹, იმიტომ რომ
მის ქომავს ავტორიტეტი გქონოდა და არა
იმიტომ, რომ თავისსავე წინააღმდეგ სამხე-
დრო ძალით აღეჭურვე; მან გამოგაცხადა იმ-
პერატორად, მოგანიჭა და მოგაგო პატივი,
როცა მტრის ჯარი აოტე, არა იმიტომ, რომ
შენივე ხელით განადგურებულ და ოტებულ
ჯარს იმპერატორად გამოეცხადებინე; მან და-
ადგინა ფორუმზე დაედგათ შენი ქანდაკება,
ადგილი მოეცათ სენატში, უმაღლესი პატივი
მოეგოთ ვადამდე ადრე.

5. თუ დარჩა კიდე რაიმე მოსაცემი,
იმასაც მოგცემს., მაგრამ არის კი ისეთი
რამ, უფრო მეტი, რისი მიღებაც შენ გწა-
დია? ხოლო თუ იმაზე მეტი მოგეცა, ვინემ
ასაკით გერგებოდა, ვინემ წესით და კანონით
არის განსაზღვრული, იმაზე მეტიც, ვინემ
მოგვდავის კვალბაზე მოგეგებოდა, მაშ რა-
ლად ატყუებ სენატს აგრე სასტიკად, თითქოს
და იგი უმაღური ყოფილიყო, ან აგრე ბორო-
ტად, თითქოს იმას არ ახსოვდეს შენი სი-
კეთე? სად გაგაგზავნეთ ჩვენ? ვისგან ბრუნ-
დები? ვის წინააღმდეგ² აღგჭურვეთ ჩვენ ია-
რალით? ვის წინააღმდეგ გინდა აღმართო ეგ
იარალი? ვისგან მიგყავს ჯარი? ვის წინააღ-
მდეგ აწყობ მათ? რად სტოვებს განზე შენი
ლაშქარი მტერს და მის მაგივრად მოქალა-
ქის³ წინააღმდეგ მიისწრაფვის? შუაგზიდან
რატომ მობრუნდა ჯარი, რად აქცია ზურვი
მტრის ბანაკს და რომისკენ დაიძრა? მტრის
იმედის მოცემა ჩვენ ვგაიძულებს ზოგი რა-
ღაცის გვეშინოდეს.

6. ჰოი, თურმე არასოდეს ვყოფილვარ
ბრძენი და ტყუილად მთვლიდნენ ოდესღაც
იმად, რაც არ ვიყავი! როგორ შემცდარხართ,
რომაელნო, ჩემს შეფასებაში! ჰოი, ჩემო ბე-

¹ ლიქტორებს, მაღალი თანამდებობის
პირთ რომ უძლოდნენ წინ, ხელთ წკეპლები
ეპყრათ.

დასლო სიბერე! ჰოი, ლაფდასხმულო ჭალა-
რავ ამ ჩემს მოხუცებულ და უგუნურ სიბე-
რეში! მე წავაქეზე და ავამხედრე მამა-სენა-
ტორნი ძმათამკვლელბაზე, მე მოვატყუე სა-
ხელმწიფო, მე ვაიძულე სენატი თვითონ გაე-
თხარა თავისი სამარე, როცა ვუთხარი, რომ
შენ იუნონას ნაშობი ძე ხარ და ნაყოფი დე-
დაშენისა—არის ოქრო. მაგრამ ბელისწერამ
წინასწარ რქვა, რომ მამულისთვის იქნებოდი
შენ პარისი, შენ გაანადგურებ რომს ცეცხ-
ლით, იტალიას ომით, ბანაკებს დასცემდი
უკვდავ ღმერთთა ტაძრებში, სენატს კი ბა-
ნაკში შეკრებდი!

7. ვაჰ, უბადრუკო და მოკლე ხანში ეგზომ
სწრაფო, ეგზომ საოცარო ცვლილება სახელ-
მწიფოში! ვის ჭკუას ძალუძს ეს ყოველივე
ისე აღწეროს, რომ სიმართლეს ჰგავდეს და
არა მონაჭორს? ვინ იქნება ისე ჭკუამსუბუ-
ქი, რომ ზღაპრად არ ჩათვალოს ყოველივე,
უტყუარ მოგონებებს რომ შემოუნახავს? აბა,
იფიქრე — ანტონიუსი მტრად შეირაცხა, მან
აღყა შემოარტყა კონსულად რჩეულს³, სა-
ხელმწიფოს მამად ჩათვლილს, შენ დასძარ ჯა-
რი კონსულის გასანთავისუფლებლად და
მტრის მოსასპობად. მტერი² აოტე, კონსული
გაანთავისუფლე ალყისაგან, შემდეგ კი ოტე-
ბული ისევ უკან მოიწვიე, ვით თანამემკვიდ-
რე, სახელმწიფოს სიკვდილის შემდეგ, რომ
რომაელთა ავლა-დიდებას დაეპატრონოს. კონ-
სულად რჩეული ისევ იქაა გამომწყვდეული და
კედლები კი არა ქალაქისა, მთანი და მდინა-
რენი იცავენ მხოლოდ. ვინ იკისრებს, რომ
გადმოსცეს ეს ყოველივე? ვინ გაბედავს, რომ
დაიჯეროს? ნუ მიეგება ამ ცოდვისათვის მას
სამაგიერო, მონანიება იყოს მხოლოდ მისი
სასჯელი!

8. მე მართალს ვიტყვი: დასტურ გვიჯობ-
და შენ არ გაგვეგდე, ანტონიუს, ვითარც
ბატონი! არა იმიტომ, ვისმე მონობა
სასურველია, არამედ ღირსეული ბატო-
ნის ხელში მონის ხვედრი უფრო ნაკლებ
სამარცხვინოა, ორი ჭირიდან კი გონივრულია
უფრო იოლი ამოირჩიო და უფრო მიძიმეს გა-
ნერინო. ის² იხვეწებოდა, მომეცითო, შენ
ძალითა გვგლეჯ, იგი კონსულის პირობაზე
გვთხოვდა პროვინციას, შენ კერძო პირის
კვალბაზე გინდა ჩაიგდო! ის სასამართლო
კანონებს გვთავაზობდა არამზადათა გადასარ-
ჩენად, შენ უპატიოსნესთა დასაღუპავად. იგი
იცავდა კაპიტოლიუმს, რა არის მონებს სისხ-
ლით არ შეებლალათ და არ გადაეწვათ: შენ
გინდა ყოველივე სისხლით მორწყო და ცეცხ-

² ანტონიუსი.

³ ბრუტუსი.

ლით დაბუგო. თუკი იგი მეფობის ხანს კასიუსთ და ბრუტუსთ პროვინციებს აძლევდა, რას იზამს იგი, ვინც სიცოცხლეს ასალმებს ამ ხალხს? თუ ტირანი ვრქვა იმას, ვინც რომიდან გაყარა იხინი, რაღა დაგარქვათ შენ, ვინც გასაძევებელ ადგილსაც აღარ უტოვებ?

9. და თუ ჩვენს წინაპართა დამარხულ ნაშთებს რამის გაგება კიდევ ძალუძთ, თუ სხეულთან ერთად ყველა გრძნობა არ მოუშთია იგივე ცეცხლს, მათ კითხვაზე, როგორ ცხოვრობს რომის ხალხი, რა პახუსს გაცემს ყველა ჩვენგანი, ვინც მალე წავა იმ სამუდამო საბინადარში? ან რა ამბავს შეიტყობენ თავიანთ შთამომავლობაზე ჩვენს ძველები — აფრიკელები, მაქსიმუსები, პაულუსები და სციპიონები? რას შეიტყობენ თავიანთ მამულზე, რომში მოპოვებულ აბჯარსაჭურვლით და ტრიუმფებით ეგრე რიგად რომ შეამკეს და დაამშვენეს? რომ არისთ ვილაც ყმაწვილი, თვრამეტი წლისა, ვისაც პაპა ზარაფი ჰყავდა, გარიგებათა მოწმე კომამა, ორივე სხვისი წყალობით იღებდა შვიმოსავალს, ერთი თითქმის სიბერემდე, მეორე კი. სიყრმიდანვე. ჰოდა, ამიტომაც არ შეუძლია თვითონვე არ თქვას: რომ მოქმედობს და სახელმწიფოს ის იტაცებს, ვისაც ეს ძალა სახელოვნებამ, ომისა და ბრძოლის გზით

სახელმწიფოსათვის მიერთებულმა პროვინციებმა, წინაპართა დამსახურებამ და ღირსებამ კი არ შესძინა, არამედ გარეგნობამ სიცხვილის ფასად მიანიჭა ფული და უნამუსობით შებილწული წარჩინებული სახელი, ვინც აიძულა იულიუსის ჭრილობებითა და სიბერით დაუძლურებული გლადიატორები, კეისრის სკოლის ეს მათხოვრული ნაშთები, ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ, იმათით ზურგმოცემულმა არივ-დარია ყველაფერი, არ ინდობს არავის, ცხოვრობს მარტო თავისათვის; ვინც ანდერძით დატოვებულ სახელმწიფოს ისე ფლობს, თითქოს მზითვეში ერგო?

16. ისმინოს ორივე დეციუსმა, რომ მოქალაქენი, ვინც რომის მტერზე გამარჯვებას შესწირეს თავი, მონობაში აღმოჩნდნენ; ისმინოს გაიუს მარიუსმა, ვისაც ჯარისკაცებმც კი ნამუსიანი სურდა ჰყოლოდა, რომ ჩვენ უნამუსო მბრძანებელს ვემორჩილებით; ისმინოს ბრუტუსმა¹, რომ ის ხალხი, ვინც ჯერ მან, შემდეგ კი მისმა ნაშეიერებმა მეფეებისგან იხსნეს, მონად არის გაყიდული სხმარცხვინო გარყვნილების ფასად. თუ სხვა არა, მე მაინც მალე მივუტან ამ ცნობას, ვინაიდან თუ ამ ამბებს სიცოცხლეში ვერ განვერინე, მაშ ამ ამბებთან ერთად სიცოცხლესაც განვერინები².

თ ა რ გ მ ნ ა რუსულან ქეზულაქე

¹ გადმოცემის მიხედვით რომი მეფეებისგან გაანთავისუფლა იუნიუს ბრუტუსმა, იგი იყო მარკუს ბრუტუსის პეპერა.

² როგორც დღესდღეობით გაირკვა, ეს წერილი უცნობი რიტორიკოსის შეთხზული უნდა იყოს, თუმცა იგი თითქმის ყველა ჩვენამდე მოღწეულ ციცერონის წერილების ხელნაწერშია შემონახული.

ამეღო მოღიღიანი

„საწყალი ნიკალაო“, იტყოდნენ სოღმე ძველ თბილისში, როცა ფიროსმანიშვილის სახელს ახსენებდნენ. ასევე პარიზის მონმარტრსა თუ მონპარნასზე „საცოღავი ამეღო“ შეარქვეს მოღიღიანის. თუმცა, კაცმა რომ თქვას, „საწყალი“ ან „საცოღავი“ რა სახსენებელია, როცა ისეთ შესანიშნავ მხატვრებზეა ლაპარაკი, როგორც ნიკო ფიროსმანიშვილი და ამეღო მოღიღიანი. მათ თითქოს არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან. არც ხატვის მანერა აქვთ ერთნაირი, მაგრამ მაინც... ფიროსმანიშვილისა და მოღიღიანის მიერ შექმნილ უბრალო აღამიანთა გატანჯულ სახეებს რომ ვუყურებთ, მღუმარე სევდითა და სასოწარკვეთით სავსე თვალებს, ფერებში ამეტყველებულ გულუბრყვილო გაოცებას, ტკივილნარევ ღიმილს, უმწეოდ ჩამოცვენილ მხრებს თუ მოკვეთილად დაშვებულ ხელებსა და რაღაც იღუმალი ურუანტელით გარინდებულ სხეულებს, არ შეიძლება „საწყალ ნიკალასთან“ ერთად ის „საცოღავი ამეღოც“ არ გაგვახსენდეს. იქნებ იმიტომაც, რომ ორივეს ერთნაირი უწილბედო ცხოვრება ჰქონდა. ორივე ერთნაირად ებრძოდა შიმშილსა და უიმედობას...

უსახლკარო და ულუკმაპურო ნიკალა სამიკიტნოებში ქმნიდა თავის შეღევრებს. ამეღოც მონპარნასის კაფეებში ეძებდა მუშტარს. თუ ვინმეს მოიხელთებდა, წინასწარ ეტყოდა, ხომ იცით, ჩემი ფასი ერთ სენსში ათი ფრანკი და ბოთლი ღვინოაო. არც მეტი, არც ნაკლები: ათი ფრანკი, რაც მას ღლიურ სარჩოდ ჰყოფნიდა. იგი ისე საოცარი სისწრაფით მუშაობდა, რომ ერთ ღღეზე მეტს არც ანდომებდა შეკვეთილი სურათის ხატვას. რამდენიმე წუთში ოციოდე ესკიზს გააკეთებდა და ყველას ისე გადაყრიდა, რომ არც აკვირდებოდა და არც ასწორებდა. როგორც ჩანს, ამით იგი მხოლოდ „ხატვის ექსტაზში“ შედიოდა და ხელს იწაფავდა; თან ერთი-ორჯერ ბოთლს მოიყუდებდა და შემოქმედების რაღაც იღუმალი ცეცხლით აღვზნებული მივარდებოდა მოღბერტს, რომ „ერთი ამოსუნთქვით“ დაემთავრებინა სურათი.

ერთხელ მისი მეგობარი და კოლექციონერი ლ. ზბოროვსკი მივიდა მასთან ახალშერთულ მეუღლითურთ და სთხოვა, ჩვენი პორ-

ტრეტი დახატო. ამეღო დათანხმდა. ჯერ რამდენიმე ათეული ესკიზი გააკეთა, მერე გაშმაგებული შეუღვა ხატვას და საღამოს გამოუცხადა, მგონი, დავამთავრე კიდეცო...

ზბოროვსკის შერცხვა, ასეთ შეღევრში ათი ფრანკის მიცემა როგორ ვკადროო, მაგრამ კარგად იცოდა, ზედაც რომ გადაკვდომოდა, ამეღო მეტს არ აიღებდა, და სთხოვა, მოღო, მუშაობა ხვალაც განვაგრძოთო.

— თუ ვინღათ პორტრეტი გავაფუჭო, კეთილი, განვაგრძოთ, — მიუგო ამეღომ.

„უბრალო ნახატებში“ იგი უფრო ნაკლებს იღებდა. როტონდის ან სხვა რომელიმე კაფეში ვინმე მოხეტიალე უცხოელს გამოიჭერდა, მიუსვ-მოუსვამდა ფანქარს და ეტყოდა:

— ხუთი ფრანკი, მაღამ!..

როცა მუშტარს ვერ იშოვიდა, ადრე დახატულ სურათებს იღლიაში ამოიჩრიდა ან ძველ, დაღლეჯილ ჩემოდანში ჩააწყობდა და კარდაკარ დადიოდა ღლიური სარჩოს საშოვნელად. ასე მიაღვა იგი თავის მეგობარ იტალიელ მწერალს და მიუტანა ღღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი ოთხი შიშველი ნატურა.

— თითოში ორმოცღაათ ფრანკს ვთხოვლობ, — უთხრა წინასწარ.

მწერალს სიცილი აუტყდა:— ორმოცღაათი ფრანკი კი არა, საუზმის ფულიც არა მაქვს და, ხომ ხეღავ, ლოგინიღან არ ვღგები; კიდეც რომ მქონღეს, ოთხი შიშველი ქალის სურათი რა ოხრად მიღდა...

მოღიღიანიმ შემღევ ეს სურათები მონმარტრის რომელიღაც მაღაზიის ვიტრინაში გამოფინა გასაყიღად, მაგრამ „ზნეობის დამცველმა“ პოლიციელმა ნება არ ღართო. ამეღოს გარღაცვალეზიღან ორიოდე წლის შემღევ კი ვიღაც ამერიკელმა კოლექციონერმა ამ ოთხი სურათიღან მხოლოდ ერთში რვაასი ათასი ფრანკი გადაიხაღა, მერე მოღიღიანის სურათებზე მილიონებიც დაატრიაღეს. „საცოღავი ამეღო“ კი ქუჩა-ქუჩა დაწანწალებღა ლუკმა-პურის საშოვნელად და სურათების მუშტარს რომ ვერ შოულობღა, იხვეწებოღა, ეს ძველი ჩემოდანი მაინც იყიღეთო.

ასეა, „გენიღალურ აღამიანებს სიცოცხლეში არა მარტო დიღებაზე, არსებობის წყაროზეღაც ეუზნებიან უარს, სიკვდილის შემღევ

კი გუნდრუკს უკმევენო“,—წერს ჩეზარე ლომბროზო.

ა. კრონინმა ლომბროზოს ეს სიტყვები ეპიგრაფად წარუმიძვარა თავის რომან „ჯვაროსნის ძეგლს“, სადაც ამედლო მოდილიანი ეუბნება მხატვარ სტეფენსს:

— თქვენ წინაშე დგას სილატაკით, მაგარი სასმელებით და უზომო ნიკოტინით განადგურებული უსახელო ადამიანი. მე სრულიად მარტო ვარ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სტუდენტ გოგონას, რომლის უბედურება ისაა, რომ მე ვუყვარვარ. ნუგეშად ისლა მრჩება, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ხელოვნებისთვის ერთხელაც არ მილატნია...

ასე იყო „საწყალი ნიკალაც“. მარტო ნუ დამტოვებთო, ემუდარებოდა თურმე ნაცნობებს, მაგრამ მაინც ისე უპატრონოდ მოკვდა შიმშილისაგან დაოსებული, რომ, ჩვენდა სამარცხვინოდ, საფლავიც კი არ ვიცით მისი...

მას შემდეგ აგერ ნახევარმა საუკუნემ განვლო და... „საწყალი ნიკალას“ სურათები ესტუმრა იმ „საცოდავი“ ამედლოს პარიზს, რათა თავისი „გულუბრყვილო გენიალობით“ მოეხიბლა „მხატვრებისა და პოეტების დედაქალაქი“. სიცოცხლეში კი არც ფიროსმანი-შვილსა და არც მოდილიანის ერთი ხეირიანი გამოფენაც არ ღირსებიათ, არც სახელი, არც დიდება, არაფერი, გარდა შიმშილისა და უიმედობისა...

... მოდილიანი 22 წლის წაბუკი იყო, როცა იტალიიდან პარიზში გადასახლდა. ადრე იგი მშობლიურ ქალაქ ლივორნოში ცხოვრობდა, გაკოტრებული ბანკირის ოჯახში. ერთხანს ფლორენციაში, რომსა და ვენეციაში დაეხეტებოდა და საკმაოდ ცნობილ პედაგოგებთან სწავლობდა ხატვას. მერე ყველაფერი მიატოვა, ადრეული ნამუშევრები გაანადგურა და, სულის გარდა, რომ არაფერი ებადა, ისე შეუერთდა მონმარტრის „მონეტიალე გენიოსთა“ ჯგუფს.

ლათინურ კვარტალში მაშინ უამრავი ბედის მაძიებელი მხატვარი და პოეტი იყრიდა თავს. მონმარტრი მათთვის პარნასიც იყო და გოლგოთაც. ბევრმა აქ დიდების შარავანდით შემოსა თავისი სახელი, ბევრიც სრულიად უსახელოდ ჩაკვდა მის ვიწრო ქუჩებსა და ბნელ სარდაფებში. ეს ის დრო იყო, როცა სეზანის გარდაცვალების შემდეგ მოდერნიზმის ტალღები მოაწყდა პარიზს. ყველა ახალ გზას ეძიებდა და ახალ მიმართულებას ქმნიდა. ფრანგებიცა და სხვა ქვეყნებიდან გადმოსვნილი უცხოელებიც: უორჟ რენო და ფრანსის პიკასია, რობერტ დელონეი და ანდრე

დერენი, უორჟ ბრაკი და ფერდინანდ ლეჟე; ესპანელი პაბლო პიკასო, გერმანელი პაულ კლეე, ემილ ნოლდე და ფრანც მარკი; იტალიელი კარლო კარა, უმბერტო ბოჩონი და ჯინო სევერინი; ამერიკელი ჯონ მარტენი და რუსეთიდან ჩამოსული ვასილ კანდინსკი, მარკ შაგალი, პიერ არნიპენკო და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ბედის მაძიებელი, ბედნიერი თუ უბედური მხატვარი და პოეტი...

მათ შორის დადიოდა ამედლოც, მაგრამ თითქმის არავისთან არ მეკობრობდა. ისიც „საკუთარ გზას“ ეძიებდა და სულაც არ უნდოდა ვინმეს „მოწაფე“ ყოფილიყო. როგორც ჩანს, თავდაპირველად არც ის იცოდა, რა უნდა ყოფილიყო მისი მოწოდების საქმე: პოეზია თუ მხატვრობა. მოქანდაკე ჟაკ ლიფშიცი წერს, როცა მოდილიანიზე ვფიქრობ, მის სახელს რატომღაც პოეზიას ვუკავშირებო. ნაცნობების გადმოცემით, ამედლო ისე არავის უნახავს, ჯიბეში რომ რომელიმე თავისი საყვარელი პოეტის ლექსების კრებული არ ჰქონოდა ჩაჩრილი: დანტე, ვიონი, ემერსონი, უიტმენი, ბოდლერი, რემბო ან სხვა ვინმე. შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა და უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად, ხმამაღლა კითხვა უყვარდა. დათვრებოდა თუ არა, მოჰყვებოდა დეკლამაციას დღისით თუ ღამით ქუჩაში, მოედანზე, კაფეში, პარკში თუ ვინმეს ბინაზე—ეს მისთვის სულ ერთი იყო. იგივე ლიფშიცი წერს:

— მახსოვს, ერთ ღამეს, ძალიან გვიან, დაახლოებით სამ საათზე, ძლიერმა ბრახუნმა გამომაღვიძა. ავდექი, ლამპა ავანთე და კარი გავაღე... მოდილიანი იყო, საშინლად მთვრალი... შემოვიდა, წიგნის თაროები შეათვალიერა და ჩახლეჩილი ხმით თქვა, ერთხელ აქ ვიონის ლექსების კრებულს მოვკარი თვალი და მინდა მოვძებნო...

მეგონა, წიგნს წაიღებდა და წავიდოდა, მაგრამ არა... იგი ნებვირობდა, ჩაჯდა სავარძელში და დაიწყო ვიონის ლექსების ხმამაღლა კითხვა. მეზობლებს გაეღვიძათ და ერთი ამბავი ატეხეს: კედლებზე, ჭერზე, იატაკზე აბრახუნებდნენ და ყვიროდნენ, ხმაური შეწყვიტეთო. ამედლო ამას აინუნშიაც არ აგდებდა, იჯდა მოჩვენებასავით და ლამპის მბუუტავ შუქზე უფრო ხმამაღლა განაგრძობდა კითხვას, სანამ ძალა არ გამოეღია.

ამედლო და ოცი წლის ანა ახმატოვა კოკისპირული წვიმის დროსაც საათობით ისხდნენ ლუქსემბურგის პარკში უზარმაზარი შავი ქოლგის ქვეშ და ორხმად ზეპირად კითხულობდნენ ბოდლერის, ვერლენის, ლაფორგისა და მალარმეს ლექსებს, უფრო ხშირად კი ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერას“. ად-

რე ამედეოც წერდა ლექსებს, მაგრამ არ აქვეყნებდა. პოეზიასთან კავშირი მას არც შემდეგ გაუწყვეტია. შეიძლება ითქვას, რომ იგი მხატვრობაშიც პოეტი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს მისი პოეტური ფერწერა. მოდილიანის სურათები რაღაც მაგიური ძალით აერთიანებენ პოეზიას, მხატვრობასა და მუსიკას. ვილაცას უთქვამს, „მხატვრობა მუნჯი პოეზიაა“. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს; ის კი ნამდვილია, რომ მოდილიანის ნაწარმოებები, უწინარეს ყოვლისა, ფერებისა და ხაზების პოეტური მეტყველებაა. ამიტომაც ამბობენ, მოდილიანის ნახატები „მდუმარე საუბარია“, დიალოგიათ მხატვარსა და ნატურას შორის. ნაცნობ-მეგობრები კაფეში რომ ისხდნენ და საუბრობდნენ, მოდილიანი დუმდა და ხატავდა. ამით იღებდა იგი მონაწილეობას სხვათა საუბარში. მწუხარება, სევდა, სიჩუმე, ტკივილი, სილამაზე, მშვენიერება— ყველაფერი ფერებსა და ხაზებში სახიერდებოდა. იგი უფრო თვალებით აღიქვამდა სამყაროს, ვიდრე გონებით, თუმცა იმას კი არ ხატავდა, რასაც ხედავდა, არამედ რასაც წარმოიდგენდა. თვითონაც ამბობდა: „ადამიანს კი არ უნდა უყურო და ხატო, არამედ წარმოიდგინო“. ასეც იყო. „წარმოიდგინოს“ იგი ფერებად და ხაზებად აქცევდა და ზუსტ ფსიქოლოგიურ მსგავსებას ქმნიდა. გალაკტიონი ამას „ირიბი ხაზების ამეტყველებას“ უწოდებდა, მოდილიანი—„ხაზებით საუბარს“. მართლაც გასაოცარია მისი ნახატების არაბესკული სინატიფე, ოვალური და ირიბი კომპოზიციების უაღრესად ფაქიზი და ლაკონური ფორმა.

— მოდილიანის ნახატები დახვეწილი ელვანტურობაა,—წერს ჟან კოკტო,—მისი ხაზები ხშირად ისე მკრთალია, გეგონებათ, ერთი ხაზის სპექტრიაო. ისინი არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს და სიამის კატის მოქნილობით უვლიან გვერდს ყოველგვარ დაბრკოლებას...

ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მოდილიანის „სნეული ფერების“ ავადმყოფური სიმსუბუქე. ზოგჯერ ფერი ნისლივით აღნება ტილოს და გაურკვეველი ბურუსით იმოსება („ცისფერკაბიანი გოგონა“, „ჭაბუკი“ და სხვ.), ზოგჯერ კი თვალისმომჭრელი ელვარებით აკიაფდება („შიშველი ნატურები“). ფერებისა და ხაზების ამგვარი „პოეტური ამეტყველება“ კი, როგორც წესი, უაღრესად მუსიკალურია. მუსიკა მოდილიანის ნახატების ისეთივე აუცილებელი კომპონენტია, როგორც პოეზია. ამიტომაც აქვს მას ასეთი იდუმალი მიდრეკილება ფერწერის პოლიფონიური უღერადობისადმი. მისი ერთი სურათი თითქოს

მეორეში მთავრდება, მეორე—მესამეში და ასე იქმნება ერთი და იმავე თემის ფუგისებური ვარიაციები. ამგვარი ვარიაციები უმთავრესად კვარტეტის ფორმით ვლინდება (ქვის ოთხი ფიგურა, ოთხი შიშველი ნატურა, ჰებუტერნის ოთხი პორტრეტი, კარიკატების ოთხი ესკიზი და სხვ.), ისევე, როგორც თომას სტერნზ ელიოტის პოეზიაში. საკვირველი ის არის, რომ მოდილიანი ამის მიღწევას მარტო ფერწერაში კი არა, ქანდაკებაშიც ცდილობდა. ოთხ ქვას ერთად დააყენებდა, ჯერ ორღანოს მიღების ფორმას მისცემდა, შემდეგ კი ამ „ქვის კვარტეტის“ პოლიფონიურ აუღერებას ცდილობდა. მასალად მხოლოდ ქვას იყენებდა. მხოლოდ ქვის თლა მიაჩნდა მას მოქანდაკის კეთილშობილურ საქმედ. სამაგიეროდ, ძერწვა არ უყვარდა. „თიხის ზელასა და ტალახის თითხნას არც ჰკადრებდა“ მის მიერ ჩაფიქრებულ პოეტურ სახეებს. როდენის შემდეგ ძერწვამ თავისი დრო მოჭამაო, — უმტკიცებდა მოქანდაკე ლიფშიცს. პეიზაჟების ხატვას ხომ სულ ვერ იტანდა. ამის გამო ერთხელ ცნობილ ესპანელ მხატვარ დიეგო რივერასაც წაეჩხუბა.

— პეიზაჟი არ არსებობს!—ყვიროდა გამბაგებული მოდილიანი.

— პეიზაჟი არსებობს! — უპასუხებდა რივერა.

ძლივს გააშველეს, მაგრამ ვერ შეარიგეს. ამედეო თუ ერთხელ რამეს აიჩემებდა, აღარც გადათქვამდა. არც არასოდეს უცდია პეიზაჟების ხატვა. მაინცდამაინც არც ნიკო ფიროსმანიშვილს უყვარდა „შიშველი პეიზაჟები“. იგი მხოლოდ ფონად იყენებდა ბუნების სურათებს. ამედეო კი სულაც უარყოფდა მათ, მარტო ადამიანებს ხატავდა, მეტადრე მათ, ვისაც იცნობდა და ვინც უყვარდა, უმთავრესად პოეტებს, მხატვრებსა და უბრალო ადამიანებს: ჟან კოკტოს, ბლევ სანდრანს, მაქს ჟაკობს, ზბოროვსკის, კისლინგს და სხვებს. ამედეომ ანა ახმატოვას თექვსმეტი სურათი დახატა. ამათგან ერთის მეტი ყველა დაიკარგა. ის ერთივე უფრო ქანდაკების ესკიზსა ჰგავს, ვიდრე ნახატს. ესეც დამახასიათებელია. როგორც სპეციალისტები წერენ, მოდილიანის არასოდეს გაუწყვეტია კავშირი იტალიური რენესანსის მხატვრობასთან. ზოგიერთები მას ბოტიჩელისაც ადარებენ. ახმატოვას სურათი კი ძალიან ჰგავს ჯულიანო მედიჩის სარკოფაგის სახურავზე გამოსახულ ალეგორიულ სკულპტურულ ფიგურას, რაზედაც წერენ, ქალის ყველაზე იდუმალი და მნიშვნელოვანი სახე არისო მიქელანჯელოს ნაწარმოებთა შორის. მოდილიანის მიერ შექმნილი ფიგურაც ეგვიპტური სფინქსის მსგავსად

მყარ, მტკიცე საფუძველზეა დაყრდნობილი. თვითონ ახმატოვა წერს:

— იმ დროს მოდილიანი ეგვიპტეზე ოცნებობდა, მას ხშირად დაყვავდი ლუვრის ეგვიპტურ განყოფილებაში და მარწმუნებდა, სხვა ყველაფერი toutede riste — ყურადღების ღირსიც არ არისო... იგი მხატვრად ეგვიპტელი დედოფლის ან მოცეკვავე ქალის ტანისამოსსა და სამკაულებში...

სულ ასეთ ძიებაში იყო მოდილიანი, ვიდრე „თავის თავს იპოვიდა“. მან კიდევაც შექმნა სრულიად თავისებური სტილი ისე, რომ ადვილად განერიდა კუბიზმისა და სხვა მოდერნისტულ მიმართულებათა მოძალებას. ლიფშიცის აზრით, მას არასოდეს არ შენელებია ინტერესი ხალხისადმი და ხატავდა მათ თავდავიწყებითა და დიდი ინტენსიურობით, ისე, როგორც ამას გრძნობა უკარნახებდა და ხედვა უბიძგებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ, ზანგებისა და საერთოდ პრიმიტიული ხელოვნებისადმი თაყვანისცემის მიუხედავად, არასოდეს განუცდია მათი ძლიერი გავლენა, ისევე, როგორც კუბიზმისა. მას არ სურდა აბსტრაქცია გრძნობებშიც შეჭრილიყო, ან მასა და საგნებს შორის ჩამდგარიყო. ამიტომაც ქმნიან მისი პორტრეტები შესანიშნავ ხასიათებს და ამიტომაცაა მისი შიშველი ნატურები ასე სექსუალურად გულახდილი... იქნებ იმის გამოც, რომ სიყვარულის ღმერთს არასოდეს მოუკლია მისთვის მოწყალება, არც თვითონ შეუწუხებია თავი ზედმეტი მოკრძალებით.

— მთელი ჩემი ვნება ერთ თასში უნდა მოვათავსო, — ამბობდა იგი.

— რასაც დაიპყრობ, იმის მფლობელი ხარ! — ესეც მისი სიტყვებია.

ან კიდევ:

— ცხოვრება იმ აღიღებულ მდინარედ მესახება, სინარულით რომ გადმოდის ნაპირებიდან...

ამას ამბობდა უკიდურესი სილატაკითა და ავადმყოფობით დატანჯული ადამიანი, ვისაც საკუთარი დემონური გენია უბიძგებდა შურისმაძიებლობისა და ცხოვრების უარყოფისაკენ, მაგრამ მაინც ისე გულწრფელად უყვარდა სიცოცხლე, რომ, გოლგოთაზე შემდგარმა, „უმაღლესი ფორმისა და ეფექტური თვითშემუსვრის“ ფორმად აქცია იგი. ამიტომაც ამბობენ, ამედრო სიკვდილს გაშმაგებით ეძებდაო. ამასვე ადასტურებს მისი ხანმოკლე ცხოვრებისა და ფიქრების ელვისებური უწყესრიგობა.

ნაცნობ-მეგობრების გადმოცემით, იგი გასაოცარი სილამაზის ახალგაზრდა იყო. შავი გრუნა თმა ჰქონდა, ამაყი შუბლი, დიდი

ლურჯი თვალები და თეთრი ფერმკრთალი სახე. სულ მუდამ ხავერდის გახუნებული შარვალი ეცვა, ქუდი ცხვირამდე ჰქონდა ჩამოფხატული, ხელები ჯიბეში ჩაწყობილი. ტანის ელეგანტური რხევით დადიოდა მონმარტრის ქუჩებში. მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზის მძიმე სენით იყო დაავადებული, მაინც უწყესრიგო ბოქემურ ცხოვრებას ეწეოდა, მაგარ სასმელებსა და ჰაშიშს ეტანებოდა, ქუჩებსა და პარკებში ათენ-ალამებდა. უან კოკტო წერს:

— თვალს რომ დავხუჭავ, ასეთი სურათი წარმომიდგება: მთვრალი ამედრო დგას მოედანზე და დათვივით ბუქნაობს. კისლინგი მეთათსეჯერ იმეორებს: „წავიდეთ, მოდი, წავიდეთო“, მაგრამ იგი უარს ამბობს, ხუჭუჭა თავს აქნევს და ანიშნებს, არაო. კისლინგს ძალა ელევია, წითელ ქამარზე ჩაავლებს ხელს და ექაჩება. მაშინ მოდილიანი სხვა ცეკვას იწყებს, მკლავებს მალლა სწევს, თითებს ესპანელივით ატკაცუნებს და ციბრუტივით ტრიალებს... კისლინგი შორდება. მოდილიანი ხარხარებს და უფრო მეტი გატაცებით ცეკვავს...

— თვალს რომ გავახელო, რას ვხედავ? — განაგრძობს კოკტო, — ისევე მოედანს, ხალხითა და მანქანებით სავსეს. მოდილიანი საათობით დგას როდენის ბალზაკის პოზაში გაქვავებული და არაფრის დიდებით არ მოგვეყვება შინ.

თუმცა რა უნდა ექნათ, „საცოდავი ამედრო“ უყვარდათ ისეთიც, როგორც იყო. არც ის აკლებდა თავის სიყვარულს უბრალო ადამიანებს და გატაცებით ხატავდა მათ. ასეთია მისი სურათები: „მსახური ქალი“, „მერძევე გოგო“, „მწყემსი ბიჭი“, „ვიოლონჩელის დამკვრელი“, „ვექილი ნიკუა“ (ასე ძლიერ რომ ჰკავს ფიროსმანიშვილის ნახატს), ყველაზე ან მწვანეკაბიანი პატარა ავადმყოფი გოგონები და, რა თქმა უნდა, პორტრეტები თაყვანისმცემლებისა, რომელთა უბედურება ის იყო, რომ უყვარდათ იგი. მათ შორის: ელვირა, დუნია, მარგარიტა, არიანე, ბეატრიჩე, უფრო ხშირად კი უანა ჰეზუტერნი, რომელმაც ქალიშვილი ნანოლი შესძინა ამედროს. ყველას რაღაც საოცრად რბილი, სათნო და კეთილი გამომეტყველება აქვს, ყველა რაღაცით შევიწროებულია, შეწუხებული...

ფიროსმანიშვილი ადამიანებსა და ცხოველებს ფართოდ გახელილ თვალებს უხატავდა. ისინი გაოგნებით მისჩერებიან ქვეყნის საოცრებას. მოდილიანი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სულაც არ ხატავდა თვალებს. თვალურ, ოდნავ დამრეცილ სახეზე ის ორ ფერად ლაქას დაადებდა, ისიც არაპროპორ-

ციულს, ალმაცერს, და ეს იყო ყველაფერი. თუმცა კაციშვილი ვერ გაიგებს, ხელოვანის რა მაგიური ძალა აძლევს ამ „ლაქებს“ ასეთ გამომეტყველებას!.. ამედეოს მიერ დახატულ სახეებს რომ უყურებ, გული ტკივილისაგან გეკუმშება, იმდენი სევდა, ტკივილი, ტანჯვა და მორჩილებაა მათში აღბეჭდილი. თვითონ ამედეოც ამბობდა, ხელოვანმა მშვენიერება ტკივილით უნდა განიცადოსო. იგი მხოლოდ მაშინ ხატავდა „სერიოზულად“, როცა განცდას ტანჯვის სიმაღლემდე აიყვანდა. იქნებ ამიტომ ქმნიდა თავის საკუთარ ჯოჯოხეთს. მკურნალობას რომ ურჩევდნენ, ბრანდებოდა. თითქოს სიკვდილს ეძებდა. ამბობდა, მხატვარმა ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური ცხოვრებით (une vie brève mais intense) უნდა იცხოვროსო...

... და, მართლაც, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მოდილიანიმ უამრავი ნაწარმოები შექმნა. საქმეში ჩახედულ ადამიანთა ცნობით, პირველი მსოფლიო ომის წინ, მარტო ორი წლის განმავლობაში მან სამასამდე სურათი დახატა. სხვა დროს — კიდევ უფრო მეტი, მაგრამ, დანტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, მაინც ცხოვრების შუა გზაზე შემოაღამდა...

იმ საბედისწერო დღეს, 1920 წლის იანვრის სუსხიან ამინდში გვიან ღამემდე პარკში იყო მთვრალი. ბევრი ეხვეწნენ, წამოგვეყვიო, მაგრამ გაჯიუტდა და მარტო დატოვეს... თოვლში... ყინვაში...

დილით გათოშილი ამედეო საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ უკვე ამ ქვეყნისა აღარ იყო.

— Cara Italia, cara!—წამოიძახა თურმე სიკვდილის წინ და, ვიდრე სული გაეყარა სხეულს, ვილაცის ლექსებს ჩურჩულებდა.

მწუხარებისაგან გაოგნებული ჟანა ჰებუ-

ტერნი ძლივს ააგლიჯეს „საცოდავი ამედეოს“ ცხედარს. მერე შინ წავიდა, მაგრამ მშობლებმა უარი უთხრეს მიღებაზე... გამობრუნდა, მენუთე სართულზე ავიდა, იქიდან გადმოვარდა და ფილაქანს დაენარცხა, ისიც და მისი დაუბადებელი ბავშვიც. ჟანა მაშინ მეორე შვილს ელოდა ამედეოსაგან და მეცხრე თვეში იყო გადამდგარი...

ის „უბედური სტუდენტი გოგონაც“ მალე მოკვდა დარდისაგან...

ვინ იცის, ამ ტრაგიკულმა ამბებმა თურაღაც სხვა გუმანმა მთელი ლათინური კვარტალი შეძრა. ამედეოს დასაფლავებაზე ზღვა ხალხი მოვიდა... მის კუბოს ცოცხალ ყვავილებს უფენდნენ წინ.

ასე შედიოდა მკვდარი ამედეო უკვდავებაში...

ლათინური კვარტალი კი თითქოს დაცარიელდა... მეგობრებმა მოდილიანის „მონპარნასის უკანასკნელი ელეგანტური წარმომადგენელი“ უწოდეს. იგი მაშინ ოცდათექვსმეტი წლისა იყო. თუმცა ესეც ვინ იცის! ამედეოს არ უყვარდა, როცა ეკითხებოდნენ, რამდენი წლისა ხარო. მაგრამ თუ არ მოეშვებოდნენ, პასუხის ნაცვლად ბოდლერის ღლიურებიდან ამოკითხულ სიტყვებს შეასვენებდა:

— ჩემზე ამბობენ, ოცდაათი წლისააო, მაგრამ მე თუ ყოველ წუთში სამ წუთს ვცხოვრობ, რატომ ოთხმოცდაათისა არ ვიქნები?!

მართლაც! ამედეო მოდილიანიმ ისეთი ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა, რომ ოცდათექვსმეტისა კი არა, რატომ ასზე მეტისა არ იქნებოდა!..

ან თუნდაც ჩვენი „საწყალი ნიკალა“, ისეთივე ბედუკუდმართი ცხოვრება რომ ჰქონდა, როგორც იმ „საცოდავ ამედეოს“.



იუმორი □ უცხოური □ იუმორი

სიბრძნის მამა

სიფრთხილე — სიბრძნის დედაა. მხოლოდ ცნობილი არ არის, ვინ იყო მისი მამა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სიფრთხილე თვითონ იყო გაუფრთხილებელი.

თ ა მ ა შ ი

პატარა იასხს შინ მისვლა დაგვიანდა.

— სად იყავი ამდენ ხანს? — უსაყვედურა დედამ, როცა ის დაბრუნდა.

— ფოსტალიონობას ვთამაშობდი, — უპასუხა იასმა, — მეზობლებს სულ ნამდვილი წერილები ჩამოვურიგე.

— ნამდვილი? სად გქონდა?

— შენს კარადაში ეწყო, წითელ ლენტშემოკრული.

ზღაპრის დასასრული

— „... და მაშინ ისინი დაქორწინდნენ“, — დაამთავრა ბებია ზღაპარი.

— ბებია, რატომ მთავრდება ყველა ზღაპარი, როგორც კი შეყვარებულები დაქორწინდებიან?

— როცა გაიზრდები, თვითონვე მიხვდები, — ჩაიბუზღუნა ბებია.

ფსიქიატრი

ფსიქიატრის კაბინეტში ძალზე ადრე ვეზული ქალი შევიდა.

— ექიმო! — მიმართა მან. — მიშველეთ, უმკურნალეთ ჩემს ქმარს. რაღაც უცნაურობა დასჩემდა.

— სახელდობრ? — ცნობისწადილმა შეიპყრო ექიმი.

— ეჩვენება, რომ ის მე ვარ, მე კი ის...

— საკვირველია, — თქვა ფსიქიატრმა, — გთხოვთ, მოიყვანოთ ჩემთან.

— რა საჭიროა! — გაუკვირდა ქალს. — მე ხომ ჩემი ქმარი გახლავართ...

მანამდე და შემდეგ

— დედა, მე ის ვაჟი არ მომწონს. თვალები სულ დახუჭული აქვს.

— ნუ გეშინია, შვილო, ქორწინების შემდეგ აეხილება.

კუპუს ბავშვები

— შენ უკვე დადიხარ?

— აბა, რა ვქნა, თუკი მალაზიაში საბავშვო ეტლი არ იყიდება?

უბედური შემთხვევა

— გაიგე? ზიგმუნდმა ამას წინათ ვილაც ქალს მანქანა დააჯახა, ახლა კი ცოლად ირთავს.

— ჰო, ასეთი შემთხვევები ხშირად რომ ხდებოდეს, შოფრები უფრო გაფრთხილებოდნენ.

კ ი თ ხ ვ ა

ბავშვი იძინებს.

— დედიკო, უკვე შემძლია დავიძინო, თუ კიდევ იმღერებ იავნანას?

ს ი უ რ პ რ ი ზ ი

— დედიკო! მე ისეთი სიურპრიზი მაქვს შენთვის!

— როგორი, იას?

— ლურსმანი გადავყლაპე...

შ უ რ ი ს კ ი მ ე ბ ა

ორი მსახიობი ქალი ჭორაობს მესამეზე:

— ზელიამ მაინც იძია შური იმ თეატრალურ კრიტიკოსზე, ასე საძაგლად რომ სწერდა მასზე.

— როგორ იძია შური?

— ცოლად გაჰყვა.

სახლის გზა

ღამეა. მთვრალი კაცი გამვლელს აჩერებს:

— მ-მ-მაპატიეთ, რამდენი კოპი მაქვს შუბლზე?

— ოთხი.

— მაშასადამე, კიდევ ორი ელექტრონის ბოძი... და შინ ვიქნები.

იუმორი □ უცხოური □ იუმორი

ინდური სიბრძნიდან

თუ შენზე ლაპარაკობენ ცუდს, გიხაროდეს, რომ არ გლანძღავენ. თუ გლანძღავენ, გიხაროდეს, რომ არ გირტყამენ. თუ გირტყამენ, გიხაროდეს, რომ არ გკლავენ. თუ გკლავენ, გიხაროდეს, რომ შენ სტოვებ ასე საძაგლად მოწყობილ წუთისოფელს.

მოდა

ცოლი მოდების ჟურნალს ათვალეირებს და ქმარს ეუბნება:

— წელს უდიდო პერანგები იქნება მოდაში.

— წარმოგიდგენია! — პასუხობს ქმარი, — გამოდის, რომ მე თხუთმეტი წელიწადია მოდურად მაცვია.

შესაკლებელია

პარიზის ერთ პატარა მაღაზიაში მათხოვარი შევიდა. მეპატრონე საბუღალტრო წიგნებს სინჯავდა და მოსულს სთხოვა, ცოტა ხანს დაიცადეო. მათხოვარი მოთმინებით ელოდა, ბოლოს განაწყენებულმა უთხრა:

— ნახევარი საათია გელოდებით. კიდევ დიდხანს ვიდგე?

— მოითმინეთ ერთი წუთიც. დავამთავრებ ბალანსს და შესაძლებელია ორივე ერთად წავიდეთ სამათხოვროდ...

შოუს რჩევა

ერთმა აბეზარმა ქალბატონმა შოუს პკითხა:

— როგორ უნდა წერო ისე, რომ ცნობილი მწერალი გახდე?

— მარცხნიდან მარჯვნივ! — უპასუხა შოუმ.

მირაჟი

ბენზინის სვეტი აფრიკის უდაბნოში. ზედ დიდი აბრაა:

„გაავხეთ ავზი და ყველა კანისტრა. სამი

შემდეგი ბენზინის სადგური მირაჟი გახლავთ“.

წერილი

— ბიცოლა, თქვენ ბავშვები გყავთ?

— არა, ძვირფასო. წერომ არ მომიყვანა.

— ეე! თუ თქვენ კვლავაც წეროს იმედზე იქნებით, უბავშვოდ დარჩებით.

კითხვა და პასუხი

ერთმა ყოველკვირულმა გაზეთმა თავისი მკითხველისაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„ვინაიდან თქვენ ყველა დარგის სპეციალისტები გყავთ, გთხოვთ მომცეთ კვალიფიციური კონსულტაცია — რატომ ხუჭავენ გოგონები თვალებს კოცნისას?“

რედაქციამ უპასუხა:

„გამოგვიგზავნეთ თქვენი ფოტოსურათი რეტუშის გარეშე. მაშინ ალბათ შევძლებთ ავიხსნათ ეს მოვლენა“.

სიზუსტე

დონ ალვარო დუელიდან დაბრუნდა. ცოლმა შესძახა:

— დაჭრილი ხარ?

— არა.

— დონ კარლოსი? მოჰკალი?

— არა. ცოცხალია და უვნებელი.

— მაშ დუელი არ შემდგარა?

— შედგა, მაგრამ ჩვენ ისე ზუსტად ვიხროდით, რომ ტყვიები შუა გზაზე შეეჯახნენ ერთმანეთს....

გამოუსწორებელი მოსწავლე

მასწავლებელს მოსწყინდა უზრდელი მოსწავლისათვის გაუთავებელი შენიშვნების მიცემა და ერთხელაც უთხრა:

— ძალიან მინდა სულ სამი დღით ვიყო შენი დედა. მაშინვე გამოიცვლებოდი.

— კარგი, — უთხრა ბავშვმა, — მოველაპარაკებო მამაჩემს, იქნებ დათანხმდეს...

თარგმნა ბექან ასათიანმა

კლავს ლილქა

მარჯვე ოინები თუ ამოუცნობი ფენომენი?

დროდადრო ბურჟუაზიულ პრესაში იბეჭდება სენსაციური ამბავი და დიდხანს არ სცილდება სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს. უკანასკნელ ხანს დასავლეთის პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ერთი ადამიანის ამბავმა, ვისი გასაოცარი ნიჭი ჯერაც ამოუცნობია. ჟურნალ-გაზეთების უმეტესობა ამჯერად თავს იკავებს რაიმე გადამწყვეტ ახსნა-განმარტებაზე, რადგანაც ასეთმა გაზვიადებულმა სენსაციებმა ბევრჯერ განაცდევინეს მათ მარცხი.

„შტერნი“, ჰამბურგი

... ბავარია, კიმზეეს ტბა. ახალგაზრდა კაცი რამდენიმე წუთს დაჟინებით მისჩერებია საბაგირო გზის სამართავ პულტს. სახელური, რომელსაც არავინ მიკარებია, უცრად ძირს ეშვება და პატარა ვაგონი 140 მეტრის სიმაღლეზე უძრავად ჩერდება ჰაერში.

ჯერმანტაუნი (ა. შ. შ.). იგივე ახალგაზრდა კაცი „კოსმოსის კონსტრუქტორ“ ვერნერ ფონ ბრაუნის თანდასწრებით ხელს ადებს მწყობრიდან გამოსულ პორტატიულ საანგარიშო ხელსაწყოს და ხელსაწყოს ელექტრული მექანიზმიც მყის მუშაობას იწყებს. „ჯადოქარი“ დაჟინებით უმზერს მეცნიერის მუშტში დამალულ ნიშნობის ბეჭედს — ბეჭედი დეფორმაციას განიცდის. ფონ ბრაუნი იმდენად გაოცებულია, რომ თავს იკავებს ყოველგვარ კომენტარებზე.

ამ ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ური გელერი ჰქვია, 27 წლისაა და ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს. ვინ არის იგი — თვალთმაქცი თუ „ზეადამიანი“, თაღლითი თუ „ბუნების საოცრება“?

ჩვენ შევხვდით ური გელერს ნიუ-იორკში, თავის ბინაზე. იგი მაღალი, აშოლტილი ყმაწვილია. ნერვიული თითები აქვს, შავი

გრუზა თმა. მის თაფლისფერ თვალებს რალაც უცნაური ფერი დაჰკრავს. თავის თავზე ძუნწად გვიამბობს: ერთხელ, შვიდი წლის ასაკში, საათს დავხედე და შევამჩნიე, ჩემმა მზერამ საათის ისარი გალუნაო. ამის შემდეგ ნაირ-ნაირი ოინებით და ფოკუსებით ვართობდი ჩემს თანაკლასელებსო. საიდან გაუჩნდა ეს ნიჭი და უნარი, გელერი ვერ გეტყვით. სამაგიეროდ ახლა კარგად იცის, როგორ გამოიყენოს ეს უჩვეულო ნიჭი.

სკოლის დამთავრების შემდეგ გელერი მუშაობდა საექსპორტო ფირმაში, შემდეგ ფოტომანეკენობა სცადა, გროშებს იღებდა. ერთ დღეს კი გადაწყვიტა: თავისი ეს არჩვეულებრივი ნიჭი შემოსავლის წყაროდ ექცია. 1970 წლიდან ური გელერიც შეუდგა საქმეს და პატარ-პატარა სეანსები გამართა, რამაც სახელი მოუხვეჭა. ორი წლის განმავლობაში მან ათასამდე სეანსი ჩაატარა.

მეც გავხედე საკუთარ თავზე გამომეცადა მისი ეს გასაოცარი ნიჭი და უნარი. გელერი მთხოვს, რაიმე მარტივი ნახატი დამიხატეო. და აი, ჩემს უბის წიგნაკში ხეს ვხატავ. იგი ზის, თვალებზე ხელი აქვს მიფარებული. ამ სცენას „შტერნის“ ფოტორეპორტიორი კრეტცი ესწრება. ჩემი ნახატი ანტენას უფრო ჰგავს. „მხოლოდ ნახატზე იფიქრეთ, — მეუბნება გელერი, — და შეეცადეთ ეგ თქვენი ნახატი ჩემს საფეთქელზე მოხაზოთ“. გონების თვალთ წარმოვიდგენ ხის მოხაზულობას და დაჟინებით ვუყურებ გელერის საფეთქელს. გელერი თვალებს ხუჭავს და თხუთმეტიოდე წამის შემდეგ ამბობს: „ეს არის ერთი ვერტიკალური ხაზი, რომლის ზედა წვეროდან ყოველ მხარეს მიემართება სხვა ხაზები“. სწორედ ასე გამოიყურება ჩემი ხე-ანტენაც. იქნებ გელერმა რალაც იეშმაკა? — კრეტცი უარყოფის ნიშნად თავს აქნევს.

გელერი მოხვს ჩემი ბინის გასაღებს, მერე ხელისგულზე მიდებს მას, საჩვენებელ თითს უსვამს გასაღების ენას. ანაზღად ვხედავ: გასაღები ოღნავ გაიღუნა. ეს ისე სწრაფად მოხდა, თვალი ვერაფერს ვერ შევასწარი. იქნებ მან წამით ჩვენი ყურადღება სხვა საგანზე გადაიტანა და ამ დროს რაღაც იარაღით სწრაფად გაღუნა გასაღები? ნეტა რა უნდა დაერქვას ამ ამბებს?

მე წავიკითხე პატარა ბროშურა — სტენფორდის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის (კალიფორნია) ანგარიში. ინსტიტუტის თანამშრომელთა თანდასწრებით გელერმა რამდენიმე სეანსი ჩაატარა. ანგარიშში, კერძოდ, ნათქვამია: „არც ერთი ილუზიონისტი აქამდე არასოდეს არ დათანხმებულა ჩაეტარებინა ცდა ლაბორატორიაში, ანუ ისეთ პირობებსა და გარემოში, სადაც კონტროლი ებარა მეცნიერებს და არა თვითონ მას. აღრიცხული იყო ცალკეული ფენომენები, რომელთაც მეცნიერული ახსნა ვერ მოგვინახეთ“.

ათიდან რვაჯერ გელერმა ზუსტად ამოიცნო დამჯდარი კამათლების ქულათა ჯამი, კამათლები კი ლითონის დახურულ ყუთში იყო მოთავსებული. ასეთი დამთხვევა მილიონიდან ერთია შესაძლებელი.

მეცნიერებმა თორმეტჯერ სთხოვეს გელერს გამოეცნო, ფოტოფირის ათი ალუმინის კოლოფიდან რომელში იყო მოთავსებული საგანი. თორმეტივეჯერ გელერის პასუხი ზუსტი აღმოჩნდა.

გელერის არყოფნაში დახატეს შვიდი სურათი. დაბეჭდილ კონვერტებში მოთავსებული ნახატები წინ დაულაგეს მაგიდაზე. შედეგი — შვიდი თითქმის „ზუსტი ასლი“. გელერის ხელების მიახლოებისთანავე ამომრავდა მაგნიტური ველის საზომი ხელსაწყო ისრები.

ექსპერიმენტის შედეგები იმდენად განსაცვიფრებელი და აუხსნელი იყო მეცნიერების ტრადიციული თვალსაზრისით, რომ სტენფორდის ინსტიტუტის კედლებს გარეთ ექსპერტებს ეჭვი დაეხადათ: ხომ არ გააცურა ინსტიტუტი გელერმა თავისი მარჯვე თიხებით?

ისიც უნდა ითქვას, რომ ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ, იმის შიშით, სასაცილოდ არ აგვიგლონ და ინსტიტუტის სახელს ჩრდილი არ მივაყენოთ, მეცნიერებს არ უხსენებიათ თავიანთ ანგარიშში ზოგიერთი მართლაც რომ მისტიური ამბავი. ასე, მაგალითად, ცდების დაწყებამდე ქვემო სართულში მწყობრიდან გამოვიდა კომპიუტერები, რომლებშიც ჩადებული იყო საი-

ღუმლო მონაცემები პენტაგონისათვის. პენტაგონმა გამოსაძიებლად სამი კაცისაგან შემდგარი კომისია გაგზავნა, მაგრამ რამ გამოიყვანა წყობიდან მანქანები, ამის დადგენა დღემდე ვერ მოხერხდა.

„ყ ვ ე ლ ა ნ ი თ ა ლ ლ ი თ ო ბ ე ნ ,
მ ე კ ი ა რ ა“

უძველესი დროიდან მოყოლებული, დროდადრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე „ზებუნებრივი“ ძალის მქონე ადამიანები. მათ ეშმაკის მსახურებს, ჯადოქრებს ეძახდნენ, დასცინოდნენ, დევნიდნენ და ხშირად ამხელდნენ კიდეც, როგორც ნიჭიერ თალღითებს. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ცდილობენ მეცნიერული თვალსაზრისით გამოიკვლიონ „ზეცნობიერი აღქმის“ ფენომენები. ვინ იცის! ჯერ კიდევ ორმოცდაათიოდე წლის წინათ ადამიანებს ხომ დაუჯერებლად მაჩინდათ მთვარეზე გაფრენა. ასეთ წინასწარმეტყველებას სულელურ ფანტაზიად თვლიდნენ და დასცინოდნენ. ამგვარად, აქვს თუ არა ური გელერს „გრძნეული ძალა?“ თვითონ ის ამბობს: „თითქმის ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებ, ილუზიონისტებსაც შეუძლიათ გააკეთონ, ოღონდ ისინი თალღითობენ, მე კი არა“.

ყოველი სეანსის მერე მას ეკითხებიან: შეგიძლიათ თუ არა ავადმყოფებისა და ხეიბრების მკურნალობაო. აი, რას იხსენებს ამასთან დაკავშირებით გელერი:

„კალიფორნიის უნივერსიტეტში, ერთ-ერთი ლექციის შემდეგ მე შევეცადე ჩემი ზემოქმედების უნარი გამომეყენებინა კოჭლი სტუდენტი გოგონას მოსარჩენად, მაგრამ ამაოდ. იმდენად სასოწარკვეთილი ვიყავი, რომ გადავწყვიტე აღარასოდეს მეცადა ასეთი რამ“.

თუ ცდა მარცხით მთავრდება — ასეც ხდება ხოლმე ზოგჯერ — მაშინ გელერი პატიოსნად აღიარებს ამას, ზოგჯერ კი ისე ბრწყინვალედ გამოსდის, რომ დარბაზში მჯდომი ხალხი შეძრწუნებული აწყდება სცენას და აცხადებს, გასაღები პირდაპირ ჯიბეში გაგვეღუნაო.

რა არის ეს — მასობრივი ჰიპნოზი თუ მასობრივი ისტერია?

მე და კრეტცი ვეძებთ ახსნას, ვცდილობთ აღმოვუჩინოთ უმავთულო მიკროფონები, დამალული იარაღები, საიდუმლო ქიმიური სუბსტანციები, მაგრამ ისევე, როგორც ალბათ ჩვენამდე ათობით ყურნალისტი და მეცნიერი, ვერაფერს ვპოულობთ. სუფრის კოვზი, რომელიც გელერს წინ უდევს მაგიდაზე, მოულოდნელად შუაზე ტყდება;

გელერი პირველი ამჩნევს ამას, გულწრფელად უკვირს და უხარია შემთხვევითი წარმატება. ჩვენ კი სკეპტიკურად ვართ განწყობილი და ვთხოვთ ჩაგვიტაროს პატარა სეანსი ვიწრო წრეში. იგი ღუნავს დანას, კრეტცს რომ მაგრად ჩაუბლუჯავს ხელში, და მოულოდნელად გვეუბნება, რომ ხედავს სამ აფრიკულ ნიღაბს, რომლებიც ჰამბურგში თავისი ბინის კედელზე უკიდია კრეტცს (ეს ნამდვილად ასეა). ჩვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს. გელერი და მე ვატარებთ სეანსს. ეს არის ცდა ფიქრის მანძილზე გადაცემისა. ჩემგან მალულად ის წერს ციფრს და ცდილობს ეს ციფრი „შთამაგონოს“. ვხუჭავ თვალებს და ვგრძნობ, რომ გონებაში ამომიტივტივდა ციფრი „3“. მართალია, სხვა ციფრებმაც გამიელვეს, მაგრამ ეს „სამიანი“ მოსვენებას არ მაძლევს და ვასახელებ მას. გელერი ფურცელს გვიჩვენებს. ფურცელზე წერია „3“.

ხელისგულზე გასაღებს ვიღებ. მანამდე მე ის გულდაგულ შევამოწმე. გელერი ფრთხილად უსვამს თითებს, გასაღები არ იღუნება. გავიდა ხუთი, ათი წუთი — არავითარი შედეგი. მე კი ეს საკმაოდ სულელურ თავშესაქცევად მეჩვენება. „მეტიმეტად სკეპტიკურად ხართ განწყობილი, —

მეუბნება გელერი, — ეს კი მაბრკოლებს“. ხოლო მე უფრო მიორკეცდება უნდობლობა და არც ერთი წამით აღარ ვაცილებ გასაღებს მზერას.

გელერი მზად არის შეწყვიტოს სეანსი. „ვცდი უკანასკნელად, — აცხადებს იგი, — მაგრამ თქვენ უნდა დამეხმაროთ, უნდა მონდომოთ, რომ გასაღები გაიღუნოს“. მეც ეგ მინდა! მაგრამ უნდობლობა ჩემდა უნებურად მეზრდება. უცებ ვიგრძენი, რომ გასაღები გაიღუნა ჯერ ათი გრადუსით, შემდეგ ოცით, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ოცდაათი გრადუსითაც კი. თვალებს არ ვუჯერებ, კრეტცი მიდასტურებს: დიახ, ყველაფერი სწორია. მას ყველა ფაზა ფირზე გადაუღია.

გასაღებს კვლავ ჯიბეში ვინახავ, მაგრამ უნდობლობა მაინც ვერ დავძლიე. სამი საათის შემდეგ ისევ ვიღებ გასაღებს და შიშით ვკრთები: 90°-იანი კუთხით გაღუნულა. მასასადამე, ჯიბეში თავისთავად და თანდათან იღუნებოდა. სხვანაირად როგორ ავხსნა, არ ვიცი. შარვალი არ გამომიცვლია და არც ახლოს გამკარებია ვინმე. გელერმა თქვა, ეს სავსებით ნორმალურია, ყოველთვის ასე ხდება ჩემი ცდების შემდეგ.



ჰაინესა და ფოიხტვანგერის პრემიის ლაურეატები

1973 წ. ჰაინრის ჰაინეს პრემიის ლაურეატები გახდნენ პოეტესა ზარა კირში და მწერალი გერჰარდ ჰოლც-ბაუმერტი. პრემიების საზეიმო გადაცემისას პროფესორმა ჰანს კაუფმანმა აღნიშნა, რომ „ამ მწერალთა შემოქმედებაში შემონახულია დიდი ჰაინეს სული“. ზარა კირშის ლექსების კრებული „ვედრება“ მან დაახასიათა, როგორც მეტად ახლებური და ლექსიკურად ძალზე მდიდარი კრებული. გერჰარდ ჰოლც-ბაუმერტს კი უწოდა ბავშვის სულიერი სამყაროს ღრმა მცოდნე და თეორეტიკოსი. ლიონ ფოიხტვანგერის პრემია მიენიჭა მწერალ ჰედა ცინერს, მწერალმა კარლ-გეორგ ეგელმა განაცხადა, რომ ამ შემოქმედის ისტორიულ მასალაზე დაფუძნებული ნაწარმოებები გზას გვიხსნიან ისტორიის გაგებასა და გააზრებაში.

რეი ბრედბერი — ღრამატურბი

გამოჩენილმა ფანტასტმა რეი ბრედბერიმ გააოცა კრიტიკოსები და მკითხველი საზოგადოება იმით, რომ გამოსცა სამი პიესა და თან განაცხადა, ამას მოჰყვება ჩემი ლექსების კრებული.

რეი ბრედბერის პიესების კრებულს ეწოდება „ნაყინისფერი გასაოცარი კოსტუმი“. იგი წარმოადგენს ბრედბერისეული სამი მოკლე მოთხრობის კომპოზიციას. წინასიტყვაობაში ბრედბერი წერს თავის ადრინდელ გატაცებაზე თეატრით. მაგრამ ფანტასტიკის ოსტატს კრიტიკოსების თვალში ეს აღიარება მაინც არ ამართლებს.

ინგლისურ ჟურნალ „ბუკს ენდ ბუკმენის“ მიმომხილველმა ჯონ ბოლანდმა გამოთქვა სინანული, რომ ფანტასტიკის ისეთ ოსტატს, როგორცაა ბრედბერი, არ ძალუძს ადექვატურად გამოხატოს თავისი აზრი სცენიური საშუალებებით. ამას, ბო-

ლანდის აზრით, ობიექტური მიზეზებიც გააჩნია. ამას გარდა ძალზე ძნელია მეცნიერული ფანტასტიკის სცენაზე ხორცშესხმა ტექნიკური სირთულის გამო. აქ წარმოსახვა ფრთაშეკვეცილია, ყველაფერი თვალსაჩინო უნდა იყოს.

„დაე, ბრედბერი ისევ დაუბრუნდეს რომანებს და მოკლე მოთხრობებს და კვლავინდებურად გაგვაკვიროს და დაგვზაფროს თავისი ქმნილებებით“, დაასკვნის ჯონ ბოლანდი.

პატრიკ უაიტი ნობელის პრემია მიენიჭა

1973 წელს ლიტერატურის განხრით ნობელის პრემიის ლაურეატი შეიქნა ავსტრალიელი მწერალი პატრიკ უაიტი. ეს მაღალი ჯილდო მას ერგო თხრობის ფსიქოლოგიურობისა და ეპიური ოსტატობისათვის.

უაიტის დაჯილდოება სხვადასხვაგვარად იქნა აღქმული. ფრანგულმა გაზეთმა „მონდმა“ გამოაქვეყნა საკმაოდ გესლიანი შენიშვნა და გაცემა გამოთქვა ნობელის კომიტეტის პოლიტიკის გამო. „ეს მწერალი არცთუ დიდი მხატვრული უნარითაა დაჯილდოებული და პოპულარულიც არ გვხლავთ“. „ტაიმს ლიტერერ საბლიმენტი“ კი წერს, რომ პატრიკ უაიტი „სიტყვის დიდოსტატია, თუმცა არაპოპულარული. ეს უაიტის პროზის სირთულისა და ფსიქოლოგიურობის შედეგია“. ამ სირთულეს უკავშირებენ „ცნობიერების ნაკადს“, რომელიც პ. უაიტის პროზაში შემოვიდა ჯეიმს ჯოისის გავლენით. ინგლისელი რეცენზენტები სთვლიან, რომ მწერლის 8 წიგნიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ბოლო რომანი „გული ქარიშხლისა“. მრავალი კრიტიკოსი აღნიშნავს ამ რომანის სტილისტურ სრულყოფას.

ბაირონის წერილები და დღიურები

1974 წლის ივლისში შესრულდა 150 წელი ბაირონის დაბადებიდან. ინგლისში ჯონ მერეის გამომცემლობამ გამოსცა ორი ტომი მისი დღიურებისა და წერილებისა. „ობსერვერის“ კორესპონდენტი წერს, რომ ანალოგიური რამ განხორციელდა 23

წლის უკან. ახლახან გამოსული კრებული კი აღრინდელთან შედარებით უფრო სრულია და უფრო სარწმუნოც. ორთავე გამოცემა მოამზადა პროფ. მარჩანდმა. ბაირონის წერილებისა და დღიურების ამჟამინდელ კრებულის I ტომს ეწოდება „დღენი ჩემი ცეცხლოვანი სიყმაწვილისა“, მეორეს კი „მახსოვს, ძალზედ იყო ცნობილი“. პროფ. მარჩანდს მიაჩნია, რომ ეს დიდად საჭირო საქმეა. იგი იმოწმებს ჯონ რესკინის სიტყვებს: „ბაირონი წერდა ისევე იოლად, ვით ფრენს შევარდენი, მისი პროზა კი ისევე გამჭვირვალეა, როგორც ტბაში არეკლილი შუქნათელი“.

ეჟენ იონესკოს რომანი

„აბსურდის თეატრის“ ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, დრამატურგმა ეჟენ იონესკომ პირველად მიმართა რომანის ჟანრს და დაწერა რომანი „განდეგილი“, რომელიც გამოსცა „მერკიურ დე ფრანსის“ გამომცემლობამ. ამ ნაწარმოებმა ვერ მოიპოვა კრიტიკოსთა აღიარება.

წიგნის მაშრნალი

ლენინგრადის სალტიკოვ-შიჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის მთავარ რესტავრატორს ი. ნიუშკას ახლახან მიენიჭა მისი პროფესიისათვის ერთი შეხედვით შეუფერებელი ხარისხი... ხარისხი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორისა. საქმე იმაშია, რომ მან მიაკვლია ქალაქისათვის მავნე მიკრობთა მრავალსახეობასა და მათთან ბრძოლის საშუალებებს. მისი ხელმძღვანელობით ამ ბიბლიოთეკასთან დაარსდა საამქრო, სადაც ანახლებენ ათას ხელში განატარებულ სოკოსა და მიკრობთაგან დაქიაქებულ წიგნებს. მათ აღსადგენად იყენებენ საგანგებო ხსნარს. საამქროდან გამოშვებულ წიგნებს იოტის ოდენა ბებკიც არ ეტყობათ. ამ წიგნებს დიდზე დიდი საგარანტიო ვადა აქვთ — ასობით წლები. მყიფე ფურცლებს აღდგენით პროცესში ენიჭებათ სიღბო, ისინი უძლებენ დიდ სიციხესა და ყინვას.

ი. ნიუშკას გამოგონება მალე ფართოდ დაინერგება ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებში.

ვასილ უუკუინი (დაიბადა 1931 წ.)

თანამედროვე რუსი მწერალი. მისი რომანები, მოთხრობები, პიესები ძალზე პოპულარულია და თარგმნილია მრავალ ენაზე. ამავე დროს იგი ცნობილი კინორეჟისორი და მსახიობია.

ქართულ ენაზე აქამდე გამოქვეყნებული იყო ვ. უუკუინის სამიოდე მოთხრობა. ამჟამად გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ გამოდის მისი მოთხრობების კრებული.

□

კარელ ჩაპეკი (1890—1938) გამოჩენილი ჩეხი მწერალი. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობათა მრავალი კრებული.

ალმანახში დაბეჭდილი მოთხრობა ამოღებულია კარელ ჩაპეკის მოთხრობების პირველი წიგნიდან, 1967 წელს რომ გამოიცა პრაღაში.

□

მიხას სტრელცოვი (დაიბადა 1937 წ.)

ბელორუსი მწერალი. მისი ორიგინალური, ლირიული პროზა კარგა ხანია გასცდა მშობლიური რესპუბლიკის საზღვრებს.

წინამდებარე მოთხრობა ახალგაზრდობის თემაზეა დაწერილი და თავისებური კუთხით აშუქებს მეტად საჭირობოროტო ზნეობრივ საკითხებს.

ამ მოთხრობით ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა ნიჭიერი ბელორუსი მწერლის მხატვრულ ნააზრევს.

□

ფრანც კაფკა ავსტრიელი მწერალია. დაიბადა 1883 წ. ებრაულ ბურჟუაზიულ ოჯახში. წერდა გერმანულ ენაზე. ეს იყო მისი მშობლიური ენა. ერთხანს დაუახლოვდა პრაღელი ექსპრესიონისტების წრეს. 1909 წლიდან ჟურნალებში გამოჩნდა მისი რამდენიმე მოთხრობა. გამოიცა კრებულები. 1915 წელს კაფკა დაჯილდოვდა გერმანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიით. ეს იყო ფონტანეს პრემია.

სიკვდილის წინ (1924 წ.) კაფკამ ანდერძი დატოვა, — მისი ხელნაწერები დაეწვათ. მაგრამ მისმა მეგობარმა და ანდერძის აღმსრულებელმა მაქს ბროდმა 1925—26 წ. მაინც გამოსცა კაფკას სამი დაუმთავრებელი რომანი: „ამერიკა“, „პროცესი“, „ციხე-სიმაგრე“ და გამოუქვეყნებელი მოთხრობების კრებული — „ჩინეთის კედლის მშენებლობაზე“, ეს უკანასკნელი — 1931 წ; საყოველთაო, მსოფლიო აღიარება მისმა შემოქმედებამ ჰპოვა მეორე მსოფლიო ომის წლებში და მეტადრე ომის შემდეგ.

მრავალი დასავლეთეგროპელი თუ ამერიკელი მკვლევარი კაფკას ირაციონალის-

ტად, მისტიკოსად მიიჩნევს და ეკზისტენ-
ციალისტური ტიპის მწერლად თვლის.
მარქსისტულმა კრიტიკამ ცხადპყო მისი
შემოქმედების ისტორიულ-საზოგადოებ-
რივი სიშართლე და ჰუმანისტური მსოფლ-
მხედველობა (ე. ფიშერი, რ. რეიმანი,
ფ. ვეისკოფი, ლ. არაგონი და სხვ.).



ალექსი ტოლსტოი — გამოჩენილი
რუსი საბჭოთა მწერალი (1882—1945). სამ-
წერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წელს.
მას შემდეგ იგი ზედიზედ აქვეყნებს მო-
თხრობებსა და რომანებს. შესანიშნავ მო-
თხრობაში „კოჭლი ბატონი“ მან აღწე-
რა აზნაურთა დანგრეული ბუდეები.
ა. ტოლსტოიმ დაწერა ტრილოგია „გზანი
წამებისანი“. იგი წარმოადგენს რევოლუ-
ციისა და სამოქალაქო ომის მატყანეს. მწე-
რალმა შექმნა ისტორიული ტილო — „პეტ-
რე პირველი“. მის კალამს ეკუთვნის აგ-
რეთვე მშვენიერი საბავშვო ნაწარმოები
„ოქროს გასაღები ანუ ბურატინოს თავგან-
დასავალი“.

ფრანსუაზ საბანა (ფრანსუაზ კუარე—
1935 წ.) თავისი პირველი რომანი „სალა-
მი, სევდავ!“ 1954 წელს გამოაქვეყნა. ამ
წიგნმა მაშინვე გაუთქვა სახელი. მის კა-
ლამს ეკუთვნის „ლიმილის მაგვარი რამ“,
„გიყვართ თუ არა ბრამსი?“ „საოცარი
ღრუბლები“, კომედიები და მოთხრობები.



ისა ჰუსეინოვი (1928 წ.) თანამედ-
როვე აზერბაიჯანელი მწერალია. იგი უკვე
მრავალი წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოე-
ბები თარგმნილია საბჭოთა და საზღვარგა-
რეთის ხალხთა მრავალ ენაზე. მწერლის
რომანები და მოთხრობები: „მხურვალე
გული“, „ცისკარი“, „შინაურნი და გარე-
ულნი“, „საზი“, „ქოლდუ ქოხა“, „წუთები
და წლები“ და სხვ. დიდი აღიარებით სარ-
გებლობს მკითხველთა შორის.

ისა ჰუსეინოვი ქართველი მკითხვე-
ლისთვის ცნობილია ჯერჯერობით ერთი
მოთხრობით — „წუთები და წლები“, გა-
მომცემლობა „ნაკადულმა“ რომ გამოსცა
„ერთი მოთხრობის“ სერიით.




«САУНДЖЕ»
Двухмесячный литературно-художественный альманах
(на грузинском языке)

№ 2

1 9 7 4

Издательство «Мерани»
380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.



მთავარი რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ზრეგვაძე, ნანა ღარჩია (პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ ღუმბაძე, მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კობეტიშვილი, ელგუჯა მალრაძე, ოთარ ნოდია, მორის ფოცხიშვილი, ნიკო ყინასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, ვახტანგ ჭელიძე.

ყდა მხატვარ სპარტაკ ცინცაძისა. ტექნოლოგიური რედაქტორი იმნაიშვილი.



გადაეცა წარმოებას 11/VIII-74 წ. ხელმოწერილია და-საბეჭდად 11/IX-74 წ. ქალაქის ზომა 70x108¹/₁₆ ნაბეჭდი თაბახი 28, საარტიცხოვო-საგამომცემლო თაბახი 21,61, ტირაჟი 10.000, შეკვ. № 623.

ფასი 1 მან. 8 კაპ.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა-თა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი კამოს ქ. № 18.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси, ул. Камо № 18.

68. 11/43

